პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 მარტი სამშაბათი 2014
№056 (14 277) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანკავას სამგზის აღიარეს



4

საქართველოს ჩემპიონატი. XXIII ტური

## ზედა ექვსეული იწყება!



2

სიონი-ჩიხურა

## ასეთი ხმაური აქამდე არ ყოფილა

### ტოტალიზატორი და გარიგებული თამაშები

3

## დვალიშვილმა 4 თვის შემდეგ პირველად გაიტანა

წუხელ პოლონეთის ჩემპიონატში ვარშავის „ლეგიას“ გმირად **ლადო დვალიშვილი** მოევლინა - „პიასტთან“ მატჩის 94-ე წუთი მიმდინარეობდა, საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ ლიდერი ზედიზედ მეოთხე ტურში ვერ მოიგებდა, როცა მოედანზე 58-ე წუთზე შესულმა ლადომ ახლო მანძილიდან ფაქტობრივად ცარიელ კარში გაიტანა გამარჯვების გოლი - 1:2, „ლეგია“ 54 ქულით ისევ პირველია.

ეს იყო ქართველი ფორვარდის მე-10 გოლი ჩემპიონატში და პირველი 2014 წელს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლადო დვალიშვილი (მარცხნივ) გოლს ზეიმობს

ევროპული ფეხბურთი

5



იუნაიტედი თანაქალაქელ სიტისთან რევანშისთვის ემზადება - პირველ წრეში 1:4 წააგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**25.03. თბილისი. დინამო არენა**

**18:00**

**დინამო (თბ)** – **გურია**

ურთიერთშეხვედრები: 23: +18 =3 -2 (70:14)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 4:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 0:1 (სჩ) |
| ტორპედო-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ, ტმ) |
| ჩიხურა-დინამო (თბ) | 1:5 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:2 (სთ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |
| დილა-გურია | 1:3 (სჩ) |
| გურია-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |

**25.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე**

**18:00**

**ზესტაფონი** – **მეტალურგი**

ურთიერთშეხვედრები: 22: +9 =7 -6 (23:16)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-მერანი | 2:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 3:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 4:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 0:2 (სჩ) |
| მერანი-მეტალურგი | 0:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |

**25.03. ივანწმინდა**

**15:00**

**ჩიხურა** – **სიონი**

ურთიერთშეხვედრები: 6: +2 =2 -2 (8:7)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-სიონი | 2:1 (სთ) |
| ჩიხურა-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-დინამო (თბ) | 1:5 (სჩ) |
| სპარტაკი-ჩიხურა | 2:3 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 2:1 (სთ) |
| სიონი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 0:2 (სჩ) |
| სიონი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| დინამო (თბ)-სიონი | 1:2 (სჩ) |

# უარი უცნაურობებს, გატარებას, გამოტარებას...

დღეიდან ჩემპიონატის გადამწყვეტი, მეორე ეტაპი იწყება; უფრო ზუსტად, დღეს ზედა ექვსეულის გუნდები იასპარეზებენ, ხვალ კი ქვედა ექვსეულის შეხვედრები გაიმართება. "ლელოს" გუშინდელ ნომერში XXV ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდარი გამოქვეყნდა და დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად აღმოაჩენდა მორიგ "თავისებურებს": მეორე ეტაპის ბოლომდე ორივე ექვსეულის გუნდებმა ათ-ათი მატჩი უნდა ჩაატარონ და მხოლოდ და მხოლოდ ორი შემთხვევა იქნება, როცა ზედა და ქვედა ექვსეულის მატჩები ერთსა და იმავე დროს გაიმართება.

ეგ კი არა, ორ და სამ დღეზე განერილი ტურებიც გველოდება, ოღონდ, არავინ იფიქროს, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ჩემპიონატის სატელევიზიო ტრანსლაციების ინტერესებიდან გამომდინარე ხდება! მიზეზი, ვფიქრობთ, ბევრისთვის ნაცნობია: ისევ და ისევ აქტუალური რჩება სტადიონების პრობლემა, უფრო ზუსტად, მათი რაოდენობა; მოგეხსენებათ, რომ უმაღლესი ლიგის ზოგიერთი გუნდი საკუთარი სტადიონის მოუწესრიგებლობის გამო პირველ ეტაპზე მეტოქეებს ნეიტრალურ მოედნებზე მასპინძლობდა, ზოგიერთ სტადიონს დისკვალიფიკაცია აქვს, ზოგიერთ გუნდს კი საკუთარი სტადიონი არც არასდროს ჰქონია!

ჰოდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ჯაფა დაადგებოდათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის თანამშრომლებს მეორე ეტაპის კალენდრის შედგენისას; განსაკუთრებით კი ქვედა ექვსეულში: ერთბაშად სამმა გუნდმა, ბოლნისის "სიონმა", ქუთაისის "ტორპედომ" და ცხინვალის "სპარტაკმა" საშინაო მატჩები ხომ თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა ჩაატაროს! აი, ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, ალოგიკურადაც გვეჩვენება მავანთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ "ქართული საკლუბო ფეხბურთის დონის ამაღლება-აღორძინებას", თურმე, მხოლოდ და მხოლოდ 16-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარება უშველის!

არადა, უკვე მერამდენედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ, მთელი სეზონის განმავლობაში ოთხი-ხუთი გუნდი თუ იყო, საშინაო მატჩებს რომ საკუთარ სტადიონზე ატარებდა, დანარჩენებს კი აქეთ-იქით უხდებოდათ მგზავრობა და, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მოედნებზე მოასპარეზეთ "მასპინძლის" სტატუსიც მხოლოდ და მხოლოდ პირობითად ჰქონდათ!

დაბოლოს, ვისურვოთ, რომ დღეიდან (ზედა ექვსეულში) და ხვალიდან (ქვედა ექვსეულში) სტადიონზე წასვლის სურვილის ჯერ კიდევ მქონე გულშემატკივარი, რაც შეიძლება მცირე რაოდენობის "უცნაურ მატჩებს" იხილავს; არადა, ყველამ ყველაფერი კარგად იცის, აი, თუნდაც ის, რომ "უცნაურობები" თუ "გატარება-გამოტარება" სწორედაც ახლა იწყება!..



დინამო-გურია 3:1. უტევს გიორგი მერებაშვილი

## დინამო-გურია

პირველი ეტაპი 1:2, 3:1

ერთი შეხედვით, ამ წყვილში ფავორიტის გამოცნობა ძნელი საქმე არ უნდა იყოს: ერთპიროვნული ლიდერი ხომ ისეთ გუნდს მასპინძლობს, რომელმაც სეზონის წინ დასახული უმთავრესი მიზანი (უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება) უკვე შეასრულა. ეგ კი არა, მოკრძალებული მატერიალური რესურსის მქონე "გურიამ" იმდენი შეძლო, რომ ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, ზედა ექვსეულშიც "შეაღწია"! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატის ბოლომდე **დავით მახარაძის** გუნდს ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილი ექნება და ნურც ის გაუკვირდეს ვინმეს, ამ დარჩენილ ათ ტურში "ვილაც-ვილაცებიც" რომ გაამწაროს...

აი, "დინამო" კი იმ მართლაც "მოჯადოებული წრის გარღვევას" შეეცდება: **მალხაზ ჟვანიას** ხელმძღვანელობით ხომ გუნდმა ჩემპიონატის ბოლო სამი საშინაო მატჩი... წააგო! ჰო, ასეა: ჩემპიონატში საკუთარ მოედანზე "დინამომ" ბოლოს 2013 წლის 4 დეკემბერს მოიგო და მეტოქედ "გურია" ჰყავდა! როგორც მერე გაირკვა, ის შეხვედრა, თურმე, უკანასკნელი ყოფილა "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დუშან უჰრინისათვის**; არადა, პირველი ტაიმი **ვილი ისიანის** გოლით "გურიამ" მოიგო, შესვენების შემდეგ კი **ჩისკომ, გიორგი მერებაშვილმა** და **ჯაბა დვალმა** სამი უპასუხო გოლი გაიტანეს ლანჩხუთელთა გუნდის კარში და დუშან უჰრინიც გამარჯვებული გააცილეს სამშობლოში...

აი, რაც შეეხება ამ გუნდების პირველი წრის დაპირისპირებას, ეს მატჩი ამ სეზონის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად იქცა: უმაღლეს ლიგაში 12-წლიანი პაუზის მერე დაბრუნებულმა "გურიამ" საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მეორედ შეძლო ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის დამარცხება (ლანჩხუთელთაგან გოლები ვილი ისიანმა და **ალექსანდრე შენგელიამ** გაიტანეს, "დინამოდან" კი - **გიორგი მერებაშვილმა**). აღსანიშნავია, რომ "გურიამ" 21-წლიანი პაუზის შემდეგ მოუგო "დინამოს"...

**სულ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 15 | 3 | 4 | 51 | 17 | 48 |
| 2 | ზესტაფონი | 22 | 12 | 4 | 6 | 30 | 15 | 40 |
| 3 | ჩიხურა | 22 | 11 | 5 | 6 | 40 | 33 | 38 |
| 4 | სიონი | 22 | 9 | 6 | 7 | 27 | 23 | 33 |
| 5 | მეტალურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 26 | 25 | 33 |
| 6 | გურია | 22 | 11 | 0 | 11 | 25 | 29 | 33 |

**შინ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გურია | 11 | 8 | 0 | 3 | 16 | 7 | 24 |
| 2 | დინამო (თბ) | 11 | 7 | 1 | 3 | 24 | 11 | 22 |
| 3 | მეტალურგი | 11 | 6 | 4 | 1 | 16 | 6 | 22 |
| 4 | ჩიხურა | 11 | 7 | 1 | 3 | 23 | 14 | 22 |
| 5 | ზესტაფონი | 11 | 6 | 3 | 2 | 18 | 8 | 21 |
| 6 | სიონი | 11 | 4 | 2 | 5 | 14 | 15 | 14 |

**სტუმრად**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 11 | 8 | 2 | 1 | 27 | 6 | 26 |
| 2 | სიონი | 11 | 5 | 4 | 2 | 13 | 8 | 19 |
| 3 | ზესტაფონი | 11 | 6 | 1 | 4 | 12 | 7 | 19 |
| 4 | ჩიხურა | 11 | 4 | 4 | 3 | 17 | 19 | 16 |
| 5 | მეტალურგი | 11 | 3 | 2 | 6 | 10 | 19 | 11 |
| 6 | გურია | 11 | 3 | 0 | 8 | 9 | 22 | 9 |

## ზესტაფონი-მეტალურგი

პირველი ეტაპი 0:0, 2:1

დისკვალიფიკაცია: **დენის დობროვოლსკი** (მეტალურგი)

ზამთრის პაუზის მერე "ზესტაფონმა" მართლაც შთამბეჭდავი სერია შემოგვთავაზა: **გია გეგუჩაძის** გუნდმა ხუთივე მატჩი ისე მოიგო, საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია! არადა, ამ პაუზას იმერული კლუბი VII ადგილზე მყოფი შეხვდა და მეორეადგილოსან "ჩიხურას" ათი ქულით, ხოლო "დინამოს" კი - 17 (!) ქულით ჩამორჩებოდა; აი, დღესდღეობით კი აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა და როგორც ადრე ვივარაუდეთ, "ზესტაფონი" უკვე "საჩემპიონო ბრძოლაშიც" არის ჩართული და "დინამოსაც" მხოლოდ 8 ქულით ჩამორჩება.

მოგეხსენებათ, რომ ზედა ექვსეულის ზოგი გუნდისგან განსხვავებით, "ზესტაფონიც" და "მეტალურგიც" თასზე აღარ აგრძელებენ ასპარეზობას და, აქედან გამომდინარე, მთლიანად ჩემპიონატზე იქნებიან კონცენტრირებულნი. რა თქმა უნდა, ნაადრევი დასკვნების გაკეთება ხანდახან მცდარი გამოდისხოლმე, თუმცა მაინც გვგონია, რომ "ზესტაფონი" ევროტურნირების საგზურს აუცილებლად მოიპოვებს; აი, "მეტალურგს" კი მესამე (შესაძლოა, მეოთხეც საკმარისი იყოს) ადგილის დასაკავებლად სერიოზული კონკურენცია მოუწევს "სიონთან" და "ჩიხურასთან".

თუმცა, რუსთაველთა გუნდმა ეს მიზანი თუ ვერ შეასრულა, არც არავინ უნდა დაზრახოს: ზამთრის პაუზის დროს **ვარლამ კილასონიას** გუნდი ხომ 90 პროცენტით გადახალისდა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გია გეგუჩაძე და ვარლამ კილასონია ხუთწლიანი პაუზის მერე უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს...

## ჩიხურა-სიონი

პირველი ეტაპი 2:2, 1:1

დისკვალიფიკაცია: **გივი კვარაცხელია** (ჩიხურა) - **გიორგი კახელიშვილი** (სიონი)

ამ მეტოქეებს შორის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში თანაფარდობა იყო და ამ სეზონშიც გრძელდება. პირველ ეტაპზე "ჩიხურასა" და "სიონის" ორივე მატჩი ფრედ დამთავრდა; ეგ კი არა, თითქმის იგივე გამეორდა სულ ახლახან თასის მეოთხედფინალშიც, როცა პირველ შეხვედრაში კვლავაც საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა და მეორე მატჩიც ანალოგიური "სცენარით" (1:1) მთავრდებოდა, თუმცა არბიტრის მიერ წამატებულ დროში საჩხერელთა შემტევმა **ნიკა კვასხვაძემ** "ჩიხურა" ზედიზედ მეორედ გაიყვანა ნახევარფინალში.

აი, იქ კი "იღბლიანი" წილისყრის შემთხვევაში უკვე ფინალისათვის მომზადებაც შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ **სოსო ფრუიძის** გუნდმა ჩემპიონატი მეორეხარისხოვნად მიიჩნიოს. ჰო, თასის ნახევარფინალების წილისყრა ჯერ ხომ არ ჩატარებულა (ანუ, ფინალში გასვლაც ჯერ არავის აქვს გარანტირებული) და, აქედან გამომდინარე, საკუთარ სტადიონზე დაბრუნებული "ჩიხურაც" მაქსიმალურად ეცდება დღესდღეობით ერთობ კომფორტული, მესამე პოზიციის შენარჩუნებას.

"სიონს" რაც შეეხება, ბოლნისელებს მხოლოდ ჩემპიონატიდან დარჩა ევროტურნირებზე მოხვედრის შანსი და ჩვენი აზრით, **ლადო ბურდულის** გუნდს რეალურად შესწევს ამ მიზნის შესრულება. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია წარმატებით თამაში; ამასთან, "სიონის" კიდევ ერთ სერიოზულ პლუსად ის ფაქტიც მიგვაჩნია, რომ დებიუტანტ-მწვრთნელს ლადო ბურდულს ძირითადი შემადგენლობის როტაცია უმტკივნეულოდ შეუძლია.

ისე, ხუთი დღის განმავლობაში ერთი და იმავე მეტოქესთან თამაში ყველასათვის ძნელია; უფრო ზუსტად, იგივე შედეგის ჩვენებაა ძნელი...

**გია ტუხაშვილი**

**XVIII ტური. A ზონა**

| | |
|---|---|
| გაგრა-ჩხერიმელა | 2:0 |
| დინამო 2 (თბ)-ალგეთი | 7:3 |
| ადელი-მეშახტე | 2:2 |
| იმერეთი-კახეთი | 4:0 |
| სძური-მერცხალი | 2:1 |
| შუქურა-საპოვნელა | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 16 | 14 | 1 | 1 | 40-7 | 43 |
| 2. შუქურა | 16 | 13 | 2 | 1 | 53-14 | 41 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 17 | 9 | 3 | 5 | 46-23 | 30 |
| 4. საპოვნელა | 16 | 9 | 3 | 4 | 30-15 | 30 |
| 5. გაგრა | 17 | 7 | 6 | 4 | 30-18 | 27 |
| 6. ალგეთი | 16 | 8 | 1 | 7 | 26-23 | 25 |
| 7. მეშახტე | 16 | 6 | 5 | 5 | 28-23 | 23 |
| 8. ჩხერიმელა | 16 | 5 | 3 | 8 | 21-35 | 18 |
| 9. სძური | 17 | 5 | 2 | 10 | 18-37 | 17 |
| 10. იმერეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 17-35 | 15 |
| 11. ადელი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-49 | 12 |
| 12. მერცხალი | 17 | 3 | 2 | 12 | 12-36 | 11 |
| 13. კახეთი | 17 | 3 | 2 | 12 | 16-42 | 11 |

**XVIII ტური. B ზონა**

| | |
|---|---|
| სულორი-დინამო (ბთ) | 0:4 |
| ლოკომოტივი-სტუ | 7:0 |
| საბურთალო-სამგურალი | 4:1 |
| კოლხეთი (ხ)-ბეთლემი | 2:1 |
| დილა 2-მაჭახელა | 0:2 |
| სამტრედია-ბახმარო | 9:3 |
| სასკო-ჭიათურა | 4:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 18 | 14 | 2 | 2 | 41-17 | 44 |
| 2. დინამო (ბთ) | 18 | 13 | 1 | 4 | 37-11 | 40 |
| 3. მაჭახელა | 18 | 11 | 5 | 2 | 31-12 | 38 |
| 4. სასკო | 18 | 11 | 2 | 5 | 34-16 | 35 |
| 5. ჭიათურა | 17 | 10 | 1 | 6 | 30-23 | 31 |
| 6. სამგურალი | 18 | 7 | 4 | 7 | 31-32 | 25 |
| 7. საბურთალო | 18 | 7 | 3 | 8 | 28-24 | 24 |
| 8. ლოკომოტივი | 17 | 7 | 2 | 8 | 38-25 | 23 |
| 9. ბეთლემი | 18 | 7 | 2 | 9 | 21-24 | 23 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 18 | 6 | 4 | 8 | 22-39 | 22 |
| 11. სტუ | 18 | 6 | 2 | 10 | 32-39 | 20 |
| 12. დილა 2 | 18 | 5 | 3 | 10 | 19-32 | 18 |
| 13. ბახმარო | 18 | 0 | 7 | 11 | 17-50 | 7 |
| 14. სულორი | 18 | 1 | 2 | 15 | 8-45 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტუალური თემა



# ასეთი ხმაური აქამდე არ ყოფილა...

## ჩაწყობა-გარიგება, პირველ ყოვლისა, კლუბებს შორის ხდება

„საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობისას არა ერთ მატჩზე გამოითქვა ვარაუდი არასპორტული, გარიგებული შედეგით დასრულებასთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება, როგორც კონკრეტული კლუბის, ისე მთლიანად ქართული ფეხბურთის იმიჯზე. სამწუხაროდ, დანაშაულებრივი ბიზნესი ხშირად ტოტალიზატორებსა და ფსონების დამდებ პირებამდე მიდის. შეგახსენებთ, რომ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და მსგავსი ფაქტების აღკვეთაზე მუდმივად მუშაობენ ფეხბურთის მმართველი საერთაშორისო ორგანოები - ფიფა და უეფა. სწორედ ამიტომ, სფფ-ის წერილობითი თხოვნა უკვე დაეგზავნება საქართველოში მოქმედ ტოტალიზატორებს, რათა უმოკლეს ვადებში სფფ-ს ეგიდით გამართული ყველა მატჩი კლიენტებზე შეთავაზებული ფსონების სიიდან ამოიღონ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული ტოტალიზატორების მფლობელები გაგებით მოეკიდებიან სფფ-ის თხოვნას და ამით დამატებით მაპროვოცირებელ ფაქტორს მოხსნიან მატჩების ჩაწყობის მსურველი სუბიექტებისათვის", - ნათქვამია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო განცხადებაში.

არადა, ვინც ტოტალიზატორში თამაშობს, მან კი იცის, რაც ხდება ქართულ სათამაშო სახლებში, სადაც საქართველოს ჩემპიონატის მატჩების შეტანა 6-7 წლის წინ დაიწყეს, თუმცა თამაშების ჩაწყობა გაცილებით ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. ასეთი მატჩები კი განსაკუთრებით ბოლო დროს გახშირდა. თითქმის ყოველი ტურის შემდეგ იყო სალაპარაკო, რომ რომელიღაც შეხვედრა გარიგებული იყო. არადა, ერთი კაციც ვერ ასახელებს მატჩს, რომელიც ჩაწყობილი იყო, თუმც ყველამ იცის, რაც მოხდა... მათ შორის - ფედერაციამაც, მაგრამ სადღეისოდ, შეტევა ქართულ ტოტალიზატორებზეა, თითქოს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ისინი აწარმოებენ.

ქართული ტოტალიზატორების ადვოკატად ნამდვილად არ გამოვდგები, მაგრამ გულზე ხელი რომ დაიდო, ისინი რა შუაში არიან?! ხშირად მათ გუნდების საგურნირო მდგომარეობაც არ იციან და კოეფიციენტებს უცხოური ტოტალიზატორებიდან გადმოიღებენ. უცხოეთში კი ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე „გამაზვა" 15-16 წლის წინ დაიწყეს და მახსოვს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის უფროსობამ სიამაყითაც გვამცნო, რომ, მაგალითად, „სამტრედია"-„ზუგდიდის" მატჩზე ფსონებს ცნობილი ევროპული ტოტალიზატორები იღებდნენ. არადა, სწორედაც რომ ტოტალიზატორში თამაშის მრავალფეროვნებისთვის იყო ეს გაკეთებული და არა ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის, როგორც მაშინ ამბობდნენ. და ისიც ხომ ვიცით, რომ უცხოურ ტოტალიზატორებში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გაგაძია „ლაივებიც" მიდის და იქ ამბები ხდება (გადახედეთ გუშინდელი ტურის ანგარიშებს)...

- დიახ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს და ჩვენც თანახმანი ვართ, რომ ჩვენი ჩემპიონატის თამაშები პროგრამიდან ამოვიღოთ. არადა, საქართველოს ჩემპიონატი ჩვენს პროგრამაში მხოლოდ ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის შევიტანეთ, თორემ აქედან ნაგების მეტი არაფერი გვქონდა, - გვითხრა საქართველოს საბუქმეიქერო კანტორის „ლიდერბეთის" მთავარმა მენეჯერმა **აკაკი შუბითიძემ.**

**- საქართველოს ჩემპიონატის მატჩებით ტოტალიზატორს მოგება არ დარჩენია?** - ვკითხეთ მას.

- მოგების ცალკეული შემთხვევები ყოფილა, მაგრამ ძირითადად ტოტალიზატორში მოთამაშეები საქართველოს ჩემპიონატზე იგებენ.

**- ყოფილა შემთხვევა, როცა საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე დიდი ფულის დადებას აპირებდნენ?**

- რამდენჯერმე ყოფილა, მაგრამ ფსონი არ მიგვიღია. საქართველოს ჩემპიონატზე ერთ მატჩის შედეგზე ფსონს ისედაც არ ვიღებთ. ვითხოვთ, რომ მოთამაშემ ბილეთში მინიმუმ სამი შედეგი გადააბას.

**- ფიქრობთ, რომ თქვენს ტოტალიზატორში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონების არმიღება საქმეს გამოასწორებს?**

- არა, ეს საქმეს ვერ უშველის, რადგანაც, თითქმის ყველამ იცის, რომ ჩაწყობა-გარიგება, პირველ ყოვლისა, სწორედ კლუბებს შორის ხდება. სწორედ კლუბებიდან გამოდის ხმა, რომ კონკრეტული მატჩი ჩაწყობილია და იმ კლუბის წარმომადგენლის ახლობელი მერე ჩვენთან თანხას დებს.

**- თქვენს ტოტალიზატორში მოსულან დიდი ფულის დადების თხოვნით?**

- მოსულით მოსულან, მაგრამ ფსონი არ მიგვიღია, რადგანაც საეჭვო იყო. სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატზე ჩვენ რამდენიმე წელიწადია, ფსონებს ვიღებთ, მაგრამ აქამდე ასეთი ხმაური არ ატეხილა. რა ხდება და რატომ არის საქართველოს ჩემპიონატში ასეთი ამბები, ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ვფიქრობ, პირველი ეტაპის ბოლო იყო და გუნდები უკეთესი ადგილების დასაკავებლად ყველაფერზე მიდიოდნენ, მეორე ეტაპზე კი, ალბათ, ასეთი ამბები აღარ იქნება.

**კობა ინასარიძე**

ლეგიონერები

# ქართველები მაინც დაუშვეს...

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლატვიის ვირშლიგაში (უმაღლესი ლიგა) რიგის „სკონტო" არ დაუშვეს. როგორც ითქვა, იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია არ მისცა და ქართულ სამეულს ახალი კლუბის ძებნა მოუწევდა. „სკონტოს" თამაზ პერტია წვრთნის, გუნდის შემადგენლობაში კი ლაშა დვალი, ლადო დათუნაშვილიდა ირაკლი კლიმიაშვილი თამაშობენ. კლიმიაშვილს ეროვნულ გუნდშიც უთამაშია, დვალი კი ახალგაზრდული ნაკრებისა და 19-წლამდელთა წევრია. ბუნებრივია, მოახლოებული ელიტრაუნდის წინ, ვასილ მაისურაძის გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურის უგუნდოდ დარჩენა არ გვესიამოვნა და ლაშას რიგაში დავუკავშირდით:**

- ეს პრობლემა „სკონტოს" მართლაც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ, ლიცენზია მაინც მოგვცეს.

**- ...მაგრამ გუნდი უმაღლეს ლიგაში რომ არ თამაშობს?**

- როგორ არ თამაშობს?! „სკონტო" ვირშლიგაშიც დაუშვეს და სეზონსაც ვითამაშებთ. თავიდან, დაქვეითებას მართლა გვიპირებდნენ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და დადებითი პასუხიც მიიღო.

**- პირველი ტური რომ გამოტოვეთ, წაგება ჩაგეთვლებათ?**

- რამდენადაც ვიცი, ეს შეხვედრა გამოტოვებულად არ ითვლება, რადგან „სკონტო" გათამაშების ცხრილშიც არ ფიგურირებდა. გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, წაგებას არ ჩაგვითვლიან და ყველა შეხვედრას ჩავატარებთ.

როგორც დავადგინეთ, ვირშლიგის ლიცენზიას არ აძლევდნენ ერთდროულად ორ კლუბს - რიგის „სკონტოსა" და დაუგავპილსის „დაუგავას". ვფიქრობთ, ჩვენი კლუბების მდგომარეობიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება, რას ედავებოდა ლატვიის ფედერაცია „სკონტოსა" და „დაუგავას".

რიგელებს კლუბების თანამშრომლების, მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და სახელმწიფო უწყებების მიმართ საკმაოდ დიდი დავალიანება დაუგროვდათ. ლატვიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მესვეურებმა სააპელაციო კომისიას ვალის გასტუმრების სახელმწიფო შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული გრაფიკი წარუდგინა. კერძოდ, მითითებული იყო, რომ ამ თანხას „სკონტო" ბელგიის „ბრიუგეში" გაშვებული **ვალერი შაბალას** ტრანსფერიდან გადაიხდიდა.



ლაშა დვალისა (თეთრ მაისურაში) და ქართველების სკონტო ისევ ვირშლიგაში ითამაშებს

აქვე ვიტყვით, რომ ეს პრობლემები ქართველებიდან მხოლოდ დვალს არ ეხება: *„ხელფასს და საცხოვრებლის ფულს „რედინგი" მიხდის, რომელმაც ლატვიაში იჯარით გამომიშვა. მაგრამ „სკონტოს" ფინანსურად მართლაც გაუჭირდა და მე რაც ვიცი, ამჟამად პრემიებს ვერ არიგებენ".*

რაც შეეხება „დაუგავას", აქ პრეტენზია ახალგაზრდულ საფეხბურთო აკადემიას ეხებოდა. კლუბი ფედერაციას არწმუნებდა, რომ საკითხი არც ისე ცუდად არის და რომ მისი აკადემია ქალაქ რეზეკნეში მდებარეობდა. თუმცა უეფას ლიცენზირების წესებით, აკადემია კლუბის ოფისიდან (ან ქალაქიდან) 50 კმ-ზე მეტით არ უნდა იყოს დაშორებული, რეზეკნე კი დაუგავპილსიდან 100 კილომეტრშია.

20 მარტს, სეზონის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ „სკონტოსა" და „დაუგავას" ლიცენზია მაინც მისცა. საინტერესო ისაა, რომ ჩვენთან მოთამაშეთა დავალიანება არაერთ კლუბს აქვს, მაგრამ რომელი მათგანი წარადგენს ფედერაციაში საშემოსავლო სამსახურთან შეთანხმებულ გრაფიკს და უმაღლესი ლიგის რამდენ კლუბს აქვს საკუთარი საფეხბურთო აკადემია?..

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ეს ბიჭი რატომ არ არის ჩვენს სიაშიო?..

## ფაბიო კაპელოს საბა კვირკველია მოსწონებია

23 მარტს, „არენა ხიმკიზე" მოსკოვის „დინამომ" ყაზანის „რუბინს" უმასპინძლა და ვერაფერს გახდა - 0:0. შეხვედრა სრულად ჩაატარა ყაზანელთა ცენტრალურმა მცველმა **საბა კვირკველიამ**, რომელსაც გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის, **კევინ კურანის** განეიტრალება ევალებოდა. ვინც ეს თამაში იხილა, დაგვეთანხმება, რომ 21 წლის ქართველმა დავალებას თავი ჩინებულად გაართვა - მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი **დან პეტრესკუ** იძულებული გახდა, კურანი შეეცვალა.

კვირკველიას ყაზანელთა დამრიგებელი **რინატ ბილიალეტდინოვი** უფრო და უფრო ენდობა - წლეულს, ევროპის ლიგაზე „ბეტისთან" ჯერ შეცვლაზე ათამაშა, საპასუხო მატჩში კი ძირითადში დააყენა და ახლა მოსკოვის „დინამოსთანაც" სასტარტოში გაამწესა.



საბა კვირკველია

საქართველო პატარაა და ხმები უცებ ვრცელდება. მატჩის შემდეგ საინტერესო ამბავი შევიტყვეთ - თურმე, მატჩს რუსეთის ნაკრების იტალიელი თავკაცი **ფაბიო კაპელო** ესწრებოდა, რომელსაც კვირკველია მოეწონა. ისიც გვითხრეს, რომ ამის შემსწრე თბილისის „დინამოს" ორი ყოფილი მოთამაშე ყოფილა - მოსკოვის „დინამოს" სელექციონერი **ახრიკ ცვეიბა** და კლუბის სპორტული დირექტორი **გურამ აჯოევი.**

კვირკველიას მენეჯერი, ლეგენდარული ფეხბურთელი **რევაზ ჩელებაძე.** მან ეს ამბავი დაგვიდასტურა.

*„გეტყვით, როგორც იყო. მატჩი რომ ვნახე, საბას თამაში ძალიან მომეწონა და ახრიკ ცვეიბას ველაპარაკე. მან კი მოულოდნელად მითხრა, რომ კვირკველიათი შეხვედრაზე მყოფი კაპელო დაინტერესდა. მისი თქმით, იტალიელი სპეციალისტი პრემიერლიგის შეხვედრებს არ აცდენს და რუსეთის ნაკრებისთვის ფეხბურთელებს არჩევს. მატჩის შემდეგ უკითხავს, ეს ბიჭი რატომ არ არის კანდიდატების სიაში და საერთოდ, ვინ არისო? აუხსნეს, რომ კვირკველია საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატია და რომ ამ გუნდის სახელით ნათამაშები ჰქონდა. იცით, როგორი რეაქცია ჰქონია? ძალიან დასანანია, ეს ბიჭი რუსეთის ნაკრებშიც გამოგვადგებოდაო, უთქვამს. კაცს „მილანში", „რეალში", „იუვენტუსში" და ინგლისის ნაკრებში უმუშავია, ფეხბურთელების ამოცნობის საოცარი ნიჭი აქვს და მიხარია, რომ საბა მოეწონა. კვირკველიას პერსპექტივა მართლაც აქვს და დარწმუნებული ვარ, „რუბინის" ძირითადშიც ადგილს ნელ-ნელა დაიმკვიდრებს",* - ამბობს ჩელებაძე.

აღსანიშნავია, რომ წლეულს გერმანულმა ინტერნეტ-სააგენტო „ტრანსფერმარკტმა" კვირკველიას ტრანსფერის ფასი გაზარდა - მის გრაფაში, 500 ათასის ნაცვლად ახლა 700 ათასი ევრო წერია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი თაობა

# ევროპა კარგია, მაგრამ მოიცდის


ლივერპულის ლეგენდა ჯეიმი კარაგერი (მარცხნივ) და ჯიმი ტაბიძე

**დღეს ორი სამტრედიელი ფეხბურთელის ამბებს მოგითხრობთ. ორივე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და პირველი ლიგის კლუბ "საბურთალოს" მოთამაშეა. აღსანიშნავია, რომ ორივე სამტერდიელი ერთი წლით უფროსების ნაკრებში მიიწვიეს, რაც პატარა ამბავი არ არის. და მთავარიც - ამ ნიჭიერი ბიჭებით ევროპული გრანდები დაინტერესდნენ.**

## ჯიმი ტაბიძე: ლივერპულმა ბევრი მასწავლა

"ლელო" უკვე წერდა, რომ 18 მარტს "საბურთალოსა" და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **ჯიმი ტაბიძე** "ლივერპულის" მიწვევით ინგლისში გაემგზავრა. ალბიონზე ის "საბურთალოს" სპორტულ დირექტორ **გიორგი ჭიაბრიშვილთან** ერთად იმყოფებოდა. 18 წლის ტაბიძემ ინგლისურ გრანდში რამდენიმე დღე ივარჯიშა და საქართველოში დაბრუნდა.

*"რამდენიმე დღე ვივარჯიშე "ლივერპულის" ახალგაზრდულ გუნდთან ერთად. წასვლამდეც ვთქვი, რომ ინგლისში დარჩენა არაევროკავშირელი ქვეყნების ნაკრების წევრებისთვისაც ძნელია - პრემიერლიგაში სათამაშოდ ფეხბურთელს მთავარ ნაკრებში შეხვედრების 75-პროცენტიანი სტატისტიკა მოეთხოვება. გამომდინარე აქედან, არც მქონია ილუზია, რომ "ლივერპულის" ფეხბურთელი გავხდებოდი. ეს იყო სტაჟირება, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა"*, - ამბობს ტაბიძე.

18 წლის ფეხბურთელმა ინგლისური შთაბეჭდილებები გაგვიზიარა: *"მიუხედავად ხანმოკლე სტაჟირებისა, "ლივერპულში" ვარჯიშმა ძალიან ბევრი რამ შემძინა. ამ ერთ კვირაში იმდენი ვნახე და გადავაფასე, დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ძალიან ბევრი მაქვს შესაცვლელი და გასაუმჯობესებელი. ინგლისში აბსოლუტურად სხვა დონე და ტემპია. სულ სხვა სისწრაფეებზეა ვარჯიში, თამაში, ორთაბრძოლები და ტექნიკა-ტაქტიკა. გუნდი გასაოცარ პირობებში ვარჯიშობდა, მაგრამ ეს არავისთვის სიახლე არ უნდა იყოს. ასეთ პირობები რამდენიმე ქართულ გუნდს მაინც რომ გვქონდეს, გაცილებით სხვა დონეზე ვითამაშებდით".*

19-წლამდელთა ცენტრალური მცველი ინგლისიდან იმედიანად დაბრუნდა: *"ლივერპულის" ტემპთან უცებ შეგუება ძალიან ძნელი იყო. მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს შევძელი. მგონი, ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია, რადგან ბოლოს ინგლისელებმა მითხრეს, მოგვეწონეო. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია"*, - ამბობს ტაბიძე.

შეგახსენებთ, რომ "საბურთალოს" ცენტრალური მცველი "ლივერპულის" სკაუტმა **დევიდ ვისკაინომ** 2013 წლის დეკემბერში, თბილისში, "სალერის თასის" გათამაშების დროს შენიშნა და ეს ინგლისური ვოიაჟიც ამის შედეგია.

## ტრანსფერზე ფიქრი ნაადრევიაო...

**გიორგი თევზაძის** მიმართ "ლივერპულისა" და მადრიდის "ატლეტიკოს" ინტერესის შესახებ "ლელო" დეკემბერშიც წერდა. 19-წლამდელთა ნაკრების მარცხენა მცველი გულშემატკივარს კარგად უნდა ახსოვდეს, რადგან შეტევებში ძალზე ეფექტურად და სასარგებლოდ ერთვებოდა.

თევზაძეც ტაბიძის "ხაზით" წავიდა: სამტრედიის შემდეგ, ზუგდიდის "ზაიაში" თამაშობდა და ამის შემდეგ მოხვდა "საბურთალოში". დეკემბერში, "სალერის თასის" გათამაშებაში, დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ასაკობრივი გუნდიც მონაწილეობდა. უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე "დნიპროს" აკადემიის ხელმძღვანელმა **ჟორდი გრატაკოსმა** თქვა: *"ტურნირზე იყვნენ "ლივერპულისა" და "იუვენტუსის" სკაუტები. გადაწყდა, რომ "საბურთალოს" ერთ-ერთი აღზრდილი "ლივერპულში" წავა (ჯიმი ტაბიძე ან გიორგი თევზაძე - ავტ) "ატლეტიკოში" კი, სავარაუდოდ, გიორგი ხარაიშვილი გაემგზავრება".*

თევზაძის თქმით, 19-წლამდელების წარმატების მთავარი წინაპირობა ერთსულოვნება და გონივრული ტაქტიკაა: *"გიორგი დევდარიანმა 17-წლამდელთა ნაკრებში გამომიძახა, მაგრამ მაშინ ფიზიკურად კარგად მომზადებული არ ვიყავი და არ დამტოვეს. მერე ეს ნაკლი გამოვასწორე და ძალიან მიხარია, რომ მაისურაძის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი გავხდი. ელიტრაუნდისთვის თურქეთში სასარგებლო შეკრება გვქონდა - "გალათასარაისა" და "ქასიმფაშას" ასაკობრივ გუნდებს მოვუგეთ. იმედია, ელიტრაუნდში შვეიცარიასთან, ისრაელთან და კვიპროსთანაც კარგად ვითამაშებთ და კვლავ მოვხვდებით ევროპის ჩემპიონატზე. 19-წლამდელთა ნაკრები შეკრული, ერთსულოვანი გუნდია. იქ ვარჯიშიც სასიამოვნოა და კიდევ - ვასილ მაისურაძე და მისი შტაბის წევრები ფეხბურთელებს დავალებას ისე გვაძლევენ, კითხვა არ გვრჩება. პლუს, მაისურაძეს აქვს მოთამაშეთა დამუხტვის იშვიათი უნარი, რის შემდეგაც მოედანზე სხვაგვარი ენერგიით გავდივართ".*

არის ინფორმაცია, რომ "ატლეტიკოს" გარდა, თევზაძით სანკტ-პეტერბურგის "ზენიტიც" დაინტერესდა. თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ტრანსფერებზე ლაპარაკს ერიდება:

*"ყველა ფეხბურთელი იმიტომ თამაშობს, რომ ძლიერი ლიგის ძლიერ გუნდში მოხვდეს და ქვეყანა და საკუთარი ოჯახი ასახელოს. ცხადია, მე გამონაკლისი არ ვარ და უცხოეთში წასვლა მინდა. ბოლო დროს ხშირად მესმის კიდეც, რომ ჩემით ესა თუ ის კლუბი დაინტერესდა. მაგრამ გულწრფელად ვამბობ: სულ მახსენდება წინა თაობის უნიჭიერესი მოთამაშეები, რომლებმაც აქეთ-იქით სირბილსა და გაურკვევლობაში დრო დაკარგეს, გაზრდის ნაცვლად უკან-უკან წავიდნენ და ნიჭი გაფლანგეს. ჩამოყალიბებამდე კი მე ჯერ ძალიან ბევრი რამ მაკლია. ახლა ვარჯიშისა და ელიტრაუნდის ნაცვლად, ფულზე რომ ვიფიქრო, ნაკრებშიც დავკარგავ ადგილს და ამ პერსპექტივასაც. არსად მეჩქარება, სანაკრებო მატჩებისთვის კარგად მოვემზადები და თუ ეს კლუბები ჩემით მართლა არიან დაინტერესებულები, დალაპარაკებას ელიტრაუნდის შემდეგაც არ მოერიდებიან".*



გიორგი თევზაძეს ევროპაში არ ეჩქარება

ლეგიონერები

# კანკავას ჰეთ-თრიკი


ჯაბა კანკავა

უკრაინის ჩემპიონატის 22-ე ტურში დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" „დონბას-არენაზე" დონეცკის „შახტარი" 2:0 დაამარცხა. სტუმართა ქართველმა საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯაბა კანკავამ** შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. ინტერნეტ-გამოცემა „ფუტბოლმა" ჯაბა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა და ეს გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა:

*„უკრაინის ჩემპიონატის ლიდერებთან შეხვედრებში, კანკავას შრომისუნარიანობასა და თითოეული ბურთისთვის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მან ამ მატჩშიც მეტოქის მრავალი შეტევა შეაჩერა და, სხვათა შორის, საამისოდ განსაკუთრებული შრომა არ დასჭირვებია. მსგავს დაპირისპირებაში ეს საყრდენი ნახევარმცველის მშვენიერ თამაშზე მიუთითებს. საინტერესო ფაქტია, რომ გაზაფხულის საწყის ორ შეხვედრაში კანკავამ თამაშის წესები 12-ჯერ დაარღვია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყვითელი ბარათით არ დაუსჯიათ"*, - წერს „ფუტბოლი".

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი უკრაინის პრემიერლიგის 22-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში კიდევ ორმა გამოცემამ - „ფუტბოლ.უა-მ" და „ფუტბოლნი კლუბ-მა" შეიყვანა.

*„ტურის ცენტრალურ მატჩში ქართველმა ლეგიონერმა მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა. საყრდენების ზონაში, როტანთან წყვილში, კანკავა ახერხებდა დონეცკელთა შეტევების ნეიტრალიზაციას და პლუს, „დნიპროს" სწრაფი კონტრშეტევების წამოწყებას. ჯაბამ სივრცე შეუზღუდა ტეიშეირას, ხოლო შეტევებში წასულ ფედეცკისა და მატეუშს აზღვევდა"*, - ეს უკვე „უა-ფუტბოლ-ის" სიტყვებია, რომელმაც მიმდინარე სეზონში ქართველი სიმბოლურ ნაკრებში უკვე მეხუთედ დაასახელა.

*„ქართველმა „დნიპროს" მოედნის ცენტრი შეადუღაბა და ახლანდელი „შახტარის" მთავარ ფიგურას, ალექს ტეიშეირას, გასაქანი არ მისცა. მან არა ერთი ორთაბრძოლა მოიგო და მცველებს შეტევების შეჩერებაშიც ეხმარებოდა. შეიძლება ითქვას, რომ კანკავამ „დნიპროს" ამ გამარჯვებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა თქვა"*, - წერს „ფუტბოლნი კლუბი".

მურთაზ დაუშვილი

# სწორედ ეს მაძლევს იმედს...

**მურთაზ დაუშვილი საქართველოს ნაკრებსაც დაუბრუნდა და ლვოვის „კარპატისაც". კლუბთან კონფლიქტი წარსულს ჩაბარდა. უკრაინის პრემიერლიგის ბოლო ტურში, რომელიც „კარპატიმ" უჟგოროდში „ჰოვერლა-ზაკარპატიესთან" 0:1 წააგო, დაუშვილმა მინდორზე 90 წუთი დაყო. „ლელომ" მას მცირე ინტერვიუ ჩამოართვა...**


მურთაზ დაუშვილი

**- უკრაინის ჩემპიონატში თქვენი მატჩების ფრაგმენტები ვნახეთ და გამოჩნდა, წონაში საკმაოდ დაგიკლიათ...**

- როცა „კარპატისთან" კონფლიქტი მომივიდა, არ მათამაშებდნენ და მაშინ წონაში საკმაოდ მოვიმატე. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე ყველაფერი თავის ადგილას დადგა - ოპტიმალური წონაც დავიბრუნე და ფორმაც.

**- ახლა სათამაშო პრაქტიკაც გაქვთ...**

- მიხარია, რომ მწვრთნელი სევიდოვი კვლავ მენდობა, შეკრებაზეც ყველა შეხვედრაში მათამაშა და უკრაინის ჩემპიონატშიც. დუბლებში გადაყვანის შემდეგ მოედანზე გასვლა მენატრებოდა და კარგია, ახლა ამის საშუალება რომ მომეცა.

**- უკრაინაში რაც ხდება, ყველამ იცის. საფეხბურთო ჩემპიონატი როგორ ვითარებაში ტარდება?**

- ვერ ვიტყვი, რომ სტადიონებზე დაძაბული ვითარებაა. საერთოდაც, იმედია, ადრე თუ გვიან, უკრაინა დამშვიდდება. არადა, საწყისი ტურები რომ გადაიდო, ხალხი ნერვიულობდა. საბედნიეროდ, ჩემპიონატი განახლდა. მოედნებს პოლიტიკური ამბები ნაკლებად შეეხო.

**- „კარპატი" ყველაზე ნაციონალისტურად განწყობილ უკრაინულ ქალაქსა და რეგიონს წარმოადგენს. ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდება, როცა ეგრეთ წოდებულ პრორუსულ ქალაქებში ითამაშებთ...**

- მე პოლიტიკაში ვერ ვერკვევი და ამ თემაზე ლაპარაკი არც მსურს. ყირიმსა და სევასტოპოლში რაც ხდება, ამის გაგება ჩემგან არ გჭირდებათ. იმედია, პრობლემები არ იქნება. სხვათა შორის, ადრეც არანაირი აგრესია და სიძულვილი არ გვიგრძვნია. თამაშები ნორმალურ ატმოსფეროში ტარდებოდა. ჩემი სურვილია, უკრაინაში მშვიდობა იყოს. ეს ყველასათვის კარგი იქნებოდა.

**- საქართველოს ნაკრებზეც გკითხავთ. ლიხტენშტაინთან ამხანაგურ შეხვედრაში რაიმე დამაიმედებელი თუ დაინახეთ?**

- მართალია, ლიხტენშტაინის ნაკრები გრანდი არ არის და არც საუკეთესო ფეხბურთი არ გვითამაშია, მაგრამ ეს წელი მოგებით დავიწყეთ და მაინც სასიამოვნოა. იმედია, ეს განწყობა მთელი წელი გაგვყვება.

**- უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს წარმატების ახლა ნაკლებად სჯერა. თქვენ გაქვთ რაიმეს იმედი?**

- როცა გუნდს ოთხი წლის განმავლობაში ერთი მწვრთნელი ავარჯიშებს, შემადგენლობა მეტ-ნაკლებად შეთამაშებული ხდება. მართალია, წინა ორი ციკლი ჩავაგდეთ, მაგრამ ვამჩნევ, რომ წინსვლაა, ახალგაზრდა ბიჭებიც დაგვემატნენ, განსაკუთრებით - შეტევის ხაზში. სწორედ ეს მაძლევს ახალ ციკლში უკეთესობის იმედს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტურის შეჯამება

# წელში გატეხილი არსენალი

სიმბოლური ნაკრები




პრემიერლიგის პირველ წრეში, როცა „ჩელსი" კარის მშრალად შენახვას ახერხებდა, უფრო გამონაკლისად ითვლებოდა. მოყოლებული დეკემბრის ბოლოდან **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა უკანა ხაზი გამართეს და ბოლო 15 ტურში 10-ჯერ შეძლეს **პეტ ჩეხის** ნინ გაუვალ კედლად აღმართვა. 10-დან 8 შეხვედრაში დასავლეთლონდონელთა ძირითადში **ჯონ ტერისა და გარი კეჰილის** დუეტმა ითამაშა. ფეხბურთელები ამბობენ, რომ შაბათის დაპირისპირებაში მთელმა გუნდმა იცოდა, როგორ უნდა ეთამაშა პრინციპულ მეტოქესთან. შესაბამისად, უკანა ხაზმაც იოლად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ ამოცანას:

**ჯონ ტერი:** „არსენალი" ბურთით ძალიან სახიფათოა და თუკი მან მოახერხა თამაშის გაკონტროლება, შეუძლია მეტოქეს დიდი პრობლემები შეუქმნას. განსაკუთრებული მადლობა პეტრ ჩეხს, ვინც პირველივე სახიფათო მომენტი მოიგერია, რამაც გუნდს თავდაჯერება შემატა. მოურინიო მე და გარის თამაშამდე ცალკე გველაპარაკა, გვთხოვა, პირველივე წუთებიდან განსაკუთრებული ყურადღებით გვეთამაშა. ეტოოს გოლისა და გიბსის წითელი ბარათის შემდეგ თამაშს სრულად ვაკონტროლებდით. შესვენებაზე ვილაპარაკეთ იმაზეც, რომ სეზონის მიწურულს გოლების სხვაობამ შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს, შესაბამისად, ზენოლა ბოლომდე იყო საჭირო. „არსენალთან" სხვაობა უკვე სოლიდურია, „ლივერპულსა" და „სიტისთან" კი ბრძოლა ჯერ კიდევ ნინ გველის".

**გარი კეჰილი:** „ნინასნარ რთული შეხვედრისთვის ვემზადებოდით, თუმცა „გალათასარაისთან" მატჩის მსგავსად კარგი დებიუტი გამოგვივიდა, რამაც საბოლოო ჯამში შედეგი გამოილო კიდეც. წითელმა ბარათმა მეტოქე წელში გატეხა, თუმცა ამას ჩვენს საბრძოლო განწყობაზე არ უმოქმედია. ბურთისთვის ზუსტად ისე ვიბრძოდით, როგორც ამას თანაბარი შემადგენლობის შემთხვევაში გავაკეთებდით. მიმაჩნია, რომ ანგარიშის მიუხედავად „არსენალი" კარგი გუნდია, თუმცა განსაკუთრებულად მოტივირებულ „ჩელსისთან" ნებისმიერ კაცნაკლულ მეტოქეს გაუჭირდებოდა. ჩვენთვის ამ მოგებას განსაკუთრებული ფასი აქვს".

## ტურის ფაქტები

„არსენალთან" **სამუელ ეტოომ** სეზონში მე-11 გოლი გაიტანა და ყველა „სტემფორდ ბრიჯზე".

მესამედ მოხდა, რომ „არსენალმა" ტაიმში 4 გოლი გაუშვა. პირველად „მანჩესტერ იუნაიტედთან" 2001 წლის თებერვალში, მეორედ - „ლივერპულთან" 2014 წლის თებერვალში.

გრძელდება ჟოზე მოურინიოს წაუგებელი სერია **არსენ ვენგერთან** - 11თ, 6მ, 5ფ.

გრძელდება ჟოზე მოურინიოს წაუგებელი სერია „სტემფორდ ბრიჯზე" - 76თ, 60მ, 16ფ.

არსენ ვენგერი „არსენალს" მე-1000 შეხვედრაში გაუძღვა. მან მე-500 შეხვედრაც „სტემფორდ ბრიჯზე" ითამაშა (2005 წლის აგვისტო) და მაშინაც დამარცხდა (0:1).

ვენგერისთვის ეს იყო ყველაზე დიდი მარცხი 2011 წლის აგვისტოს შემდეგ (მანჩესტერ იუნაიტედთან 2:8).

„არსენალი" ტურის ბოლო სამი სასტარტო შეხვედრიდან სამივეში განადგურდა - 3:6 „მანჩესტერ სიტისთან", 1:5 „ლივერპულთან" და 0:6 „ჩელსისთან".

■ ■ ■

2014 წელს **ლუის სუარესმა** პირველად მოახერხა ზედიზედ 3 შეხვედრაში თავის გამოჩენა.

სუარესმა გაიმეორა **რობი ფაულერის** 1995/96 წლების სეზონის მიღწევა და სეზონში „ლივერპულის" რიგებში 28 გოლი გაიტანა.

სუარესს შეუძლია **ენდი კოულის** შემდეგ (1993/94-ის სეზონი) გახდეს პირველი ფეხბურთელი, ვინც ჩემპიონატს საუკეთესო ბომბარდირისა და საუკეთესო ასისტენტის რანგში დაასრულებს.

**მარტინ შკრტელმა** ჩემპიონატში თავისი მე-5-6 გოლები გაიტანა. იქამდე ჩატარებულ 6 სეზონში კი სლოვაკს სულ 7 გოლი ჰქონდა აქტივში.

■ ■ ■

ევერტონელმა **ლეიტონ ბეინსმა** „სუონსისთან" მატჩში პრემიერლიგაში 12-დან მე-12 პენალტი გაიტანა.

„ევერტონს" „გუდისონ პარკზე" ბოლო 24 მატჩიდან მხოლოდ 1 წაგება აქვს.

■ ■ ■

„ჰალის" მცველმა **ლეროი როსენიორმა** 2009 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. ფეხბურთელმა 157-მატჩიანი მშრალი სერია შეწყვიტა.

„ვესტ ბრომვიჩმა" პრემიერლიგის ბოლო 20-დან 19 შეხვედრაში გაუშვა მინიმუმ 1 გოლი.

„ვესტ ბრომვიჩს" ბოლო 12 ტურში 1 მოგება აქვს (4ფ, 7წ).

■ ■ ■

**იაია ტურემ** კარიერაში პირველი ჰეთთრიკი შეასრულა. ივუარელს 16 გოლი დაუგროვდა, ორით ნაკლები, ვიდრე „სიტიში" იქამდე ჩატარებულ სამ სეზონში ერთად.

ტურეს ჰეთთრიკი პირველია „სიტის" ფეხბურთელებისთვის 2012 წლის აპრილის შემდეგ.

„ფულჰემის" შეხვედრებში 22-ჯერ მოხდა, რომ ანგარიში მეტოქემ გახსნა, რაც ყველაზე ცუდი შედეგია ჩემპიონატში.

■ ■ ■

„ნიუკასლმა" „კრისტალ პალასთან" მე-4 გოლი გაიტანა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში. უკეთესი შედეგი მხოლოდ „მანჩესტერ სიტის" აქვს - 6.

„პალასმა" „ნიუკასლთან" ზედიზედ მე-7 შეხვედრა დაასრულა გოლის გარეშე.

■ ■ ■

ნორვიჩელმა **რობერტ სნოდგრასმა** კარიერაში პირველად შეძლო მიჯრით ორ შეხვედრაში გატანა.

„ნორვიჩი" უკანასკნელ 6 საშინაო შეხვედრაში არ დამარცხებულა (3მ, 3ფ).

**მარკოს ალონსოს** წითელი ბარათი „სანდერლენდისთვის" მე-7 აღმოჩნდა სეზონში.

■ ■ ■

**უეინ რუნიმ** „ვესტ ჰემს" ბოლო 8 მატჩში თავისი 9 გოლიი გაუტანა.

**ეშლი იანგმა** 2012 წლის დეკემბრის შემდეგ პირველი შედეგიანი საგოლე გადაცემა გააკეთა.

„ვესტ ჰემმა" **სემ ელერდაისის** ხელმძღვანელობით, პირველად წააგო მიჯრით 3 შეხვედრა.

■ ■ ■

საუთჰემპტონელმა **ჯეი როდრიგესმა** ზედიზედ 3 შეხვედრაში გაიტანა, რაც ფეხბურთელის კარიერაში მეორედ მოხდა.

„საუთჰემპტონის" 45 პრემიერლიგური გოლიდან 30 ინგლისელებმა გაიტანეს.

**არტურ ბორუცი** მეოთხე მეკარეა, ვინც სეზონში საგოლე გადაცემა გააკეთა. აქამდე ეს შეძლეს **ტიმ ჰოვარდმა** (ევერტონი), **ბრედ გუზანმა** (ასტონ ვილა) და **იუსი იასკელაინენმა** (ვესტ ჰემი).

■ ■ ■

სტოკელმა **პიტერ კრაუჩმა** „ასტონ ვილასთან" ბოლო ორ მატჩში 2 გოლი გაიტანა და 2 საგოლე გადაცემა გააკეთა.

„სტოკს" პრემიერლიგის ბოლო 8 ტურში 1 წაგება აქვს (4მ, 3ფ).

„სტოკმა" პრემიერლიგის გასვლით შეხვედრაში 4 გოლი გოლი პირველად გაიტანა.

### სტატისტიკა XXXI ტურის შემდეგ

#### საუკეთესო ბომბარდირები

28 - ლუის სუარესი (ლივერპული)
19 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
16 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)
15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
14 - ედენ აზარი (ჩელსი)

#### საუკეთესო ასისტენტები

11 - ლუის სუარესი (ლივერპული)
9 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი)
8 - მესუთ იოზილი (არსენალი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი)

#### გოლი+პასი

39 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 28+11
26 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 19+7
22 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 13+9
21 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 16+5, ედენ აზარი (ჩელსი) - 14+7

#### ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები

11 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი), ჯონათან უოლტერსი (სტოკი), რამირესი (ჩელსი)
10 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ვეს ბრაუნი (სანდერლენდი), იონას ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი), მატიო ფლამინი (არსენალი), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1


„ჩელსის" „უსაფრთხოების სამსახური": ჯონ ტერი (მარცხნივ) და გარი კეჰილი

ინგლისი. გამოტოვებული მატ[illegible]


დევიდ მოიესი (მარცხნივ) და მანუელ პელეგრინი

# მანჩესტერული დერბი და მოიესის ლაზარეთი

### 25 მარტი

**არსენალი-სუონსი 23:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კოშელნი, უილშირი, იოზილი, უოლკოტი, რემსი, დიაზი - ბარტლი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-3 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +6=1-4 (14-14)

**ნიუკასლი-ევერტონი 23:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სანტონი, რემი, რ. ტეილორი, ობერტანი, დებუში - გიბსონი, ჯაგიელკა, ოვიედო, კონე, პიენაარი, ტრაორე

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=0-3 | +4=0-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 150 თამაში: +59=32-59 (228-224)

### 26 მარტი

**ვესტ ჰემი-ჰალი 23:45**

**დისკვალიფიკაცია:** - ბოიდი
**ტრავმა:** ობრაიენი, ბორიელო - ბრეიდი, მაკშეინი, ლონგი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=0-3 | +3=0-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 7 თამაში: +4=1-2 (12-6)

**ლივერპული-სანდერლენდი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ხ. ენრიკე - ს. ფლეტჩერი, ვესტვუდი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +6=0-0 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 132 თამაში: +62=29-41 (227-190)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 31 | 21 | 6 | 4 | 62-23 | 69 |
| 2. ლივერპული | 30 | 20 | 5 | 5 | 82-38 | 65 |
| 3. სიტი | 28 | 20 | 3 | 5 | 76-27 | 63 |
| 4. არსენალი | 30 | 19 | 5 | 6 | 53-34 | 62 |
| 5. ტოტენჰემი | 31 | 17 | 5 | 9 | 40-40 | 56 |
| 6. ევერტონი | 29 | 15 | 9 | 5 | 43-30 | 54 |
| 7. იუნაიტედი | 30 | 15 | 6 | 9 | 48-34 | 51 |
| 8. ნიუკასლი | 30 | 14 | 4 | 12 | 38-40 | 46 |
| 9. საუთჰემპტონი | 31 | 12 | 9 | 10 | 45-40 | 45 |
| 11. სტოკი | 31 | 9 | 10 | 12 | 36-45 | 37 |
| 11. ასტონ ვილა | 30 | 9 | 7 | 14 | 33-42 | 34 |
| 12. ჰალი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-37 | 33 |
| 13. ნორვიჩი | 31 | 8 | 8 | 15 | 26-48 | 32 |
| 14. ვესტ ჰემი | 30 | 8 | 7 | 15 | 32-40 | 31 |
| 15. სუონსი | 30 | 7 | 8 | 15 | 40-46 | 29 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 30 | 5 | 13 | 12 | 33-45 | 28 |
| 17. პალასი | 30 | 8 | 4 | 18 | 19-39 | 28 |
| 18. სანდერლენდი | 28 | 6 | 7 | 15 | 26-44 | 25 |
| 19. კარდიფი | 31 | 6 | 7 | 18 | 26-58 | 25 |
| 20. ფულჰემი | 31 | 7 | 3 | 21 | 30-70 | 24 |

**ბომბარდირები:** 28 - ლუის სუარესი (ლივერპული), 19 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 16 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

ჩემპიონთა ლიგაში „ოლიმპიაკოსთან" შეხვედრის მიწურულს „იუნაიტედს" **რობინ ვან პერსი** გამოაკლდა.

25.03. მანჩესტერი ოლდ ტრაფორდი 23:45

**მან. იუნაიტედი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=2-1 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
142 თამაში: +56=45-41

**მან. სიტი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** ვიდიჩი -
**ტრავმა:** ფერდინანდი, ევანსი, სმოლინგი, ვან პერსი, ვალენსია - რიჩარდსი, ჯეკო, აგუერო, ნასტასიჩი

ჰოლანდიელი უახლოესი თვე-ნახევარი ვერ ითამაშებს. მას მერე ჩემპიონმა „ვესტ ჰემს" **უეინ რუნის** დუბლით მოუგო. **დევიდ მოიესს** თავდასხმაში კიდევ შეუძლია ვარირება. შემადგენლობაში ხომ მას **დენი უელბეკი** და **ხავიერ ერნანდესიც** ჰყავს. მაგრამ რა უნდა მოუხერხოს შოტლანდიელმა ცენტრალურ დაცვას, სადაც 5-დან 4 კაცი აკლია? **რიო ფერდინანდი, ჯონი ევანსი** და **კრის სმოლინგი** ტრავმირებულები არიან, **ნემანია ვიდიჩი** - დისკვალიფიკაციას იხდის. სწორედ საკადრო პრობლემების გადამკიდე გახდა იძულებული მწვრთნელი, **ფილ ჯონსისთვის მაიკლ კერიკი** შეეწყვილებინა. ექსპერიმენტმა გაამართლა, მაგრამ „ვესტ ჰემთან". „სიტი" სხვა კალიბრია.

„სიტი" დაკარგული ქულებით ჩემპიონატის ლიდერია და **მანუელ პელეგრინის** ეს უჩვენოდაც ესმის. „ქალაქელებს" ურთულესი კალენდარი დარჩათ („იუნაიტედის" გარდა გასვლითი შეხვედრები ელით „ლივერპულთან" და „არსენალთან") და თითოეული დაკარგული ქულა მათი სტატუსის შერყევის მანიშნებელი იქნება. მზად არის თუ არა უპირველესი ფავორიტი ბრძოლისთვის, ამას დღეს საღამოს ვნახავთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIX ტურის შეჯამება

# ისევ კლასიკოსა და მსაჯებზე




პრიმერა დივიზიონის 29-ე ტურის მთავარი მოვლენა კვირას გამართული „ელ კლასიკო" იყო, რომელზეც მოკლედ გუშინდელ ნომერშიც ვისაუბრეთ. ვფიქრობთ, გოლებზე და შეხვედრის პერიპეტიებზე დაწვრილებით საუბარს დიდი აზრი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამა თუ იმ ეპიზოდზე ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს. გუნდების, ისევე როგორც გულშემატკივართა ბანაკები, ორად არის გაყოფილი - ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ბარსელონას" გამარჯვებაში მთავარი წვლილი არბიტრმა შეიტანა, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ **უნდიანო მალენკოს** შეცდომები არ დაუშვია და კატალონიელებმა დამსახურებულად მოიგეს.

## რეალი

ბუნებრივია, რომ პირველ კატეგორიაში „რეალის" ფეხბურთელები შედიან. **კრიშტიანო რონალდომ** თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ „ბარსელონა" „რეალს" 12 ფეხბურთელით ეთამაშა:

*„უნდიანო მალენკო ასეთი მატჩებისთვის მზად არ არის. დღეს ჩვენ 12-ის წინააღმდეგ ვთამაშობდით. ყოველთვის ასე ხდება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მათ არ უნდათ, რომ ჩვენ მოვიგოთ, დღეს კი აუცილებლად „ბარსელონას" უნდა ემარჯვა, იმისთვის, რომ ტიტულისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა. აქ უკვე ხუთი წელია ვიმყოფები და ვიცი, რა და როგორ ხდება. „ბარსელონას" რომ წაეგო, ისინი საჩემპიონო რბოლას ჩამოშორდებოდნენ. მე არასდროს მინახავს, რომ მსაჯები „რეალს" დახმარებოდნენ,* - აღნიშნა პორტუგალიელმა და დაამატა - *მიუხედავად იმისა, თუ რა მოხდა, ლა ლიგას მაინც „რეალი" მოიგებს".*

არბიტრი გააკრიტიკა გაძევებულმა **სერხიო რამოსმაც**: *„ყოველთვის ერთი და იგივე ხდება. მე ნეიმარს არ შევხებივარ, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს, რადგან არაფერი შეიცვლება. ყველამ კარგად დაინახა რაც მოხდა. ჩვენ შეგვეძლო, რომ ქულები აგვეღო, მაგრამ ხელცარიელნი დავრჩით. არის რაღაც, რის წინააღმდეგაც ვერაფერს გააწყობ - თითქოს, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი".*


მიუხედავად საფეხბურთო სპექტაკლისა, მთავარი სალაპარაკო თემა მაინც უნდიანო მალენკოს მსაჯობა გახდა

აღსანიშნავია, რომ რამოსმა მადრიდული კარიერის განმავლობაში თავისი მე-19 (!) წითელი ბარათი მიიღო. *„მე გავჩერდი, რადგან პენალტს და გაძევებას ისევ 3:3 მერჩივნა. იმედი მაქვს, რომ უნდიანოს სეზონის ბოლომდე არსად შევხვდებით",* - აღნიშნა ესპანელმა.

ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მსაჯები არ გაუკრიტიკებია კარლო ანჩელოტის:

*„არბიტრის გადაწყვეტილებებზე საუბარი გამიჭირდება,* - უთხრა იტალიელმა ჟურნალისტებს - *დღეს მესიმ სამი გოლი გაიტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ნებისმიერ შეცდომას გამოიყენებს, თუ გუნდი ამ შეცდომას დაუშვებს. წინ კიდევ ცხრა მატჩია. ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება და თითოეულ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ადრეც არაერთხელ მითქვამს და ამჯერადაც გავიმეორებ: ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა. დღეს ცუდად არ გვითამაშია, რა თქმა უნდა, იყო შეცდომები, რომელთა გამოც წავაგეთ კიდეც, მაგრამ საბოლოო ჯამში გუნდის ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. ახლა მხოლოდ მომდევნო შეხვედრაზე უნდა ვიფიქროთ - ის მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია".*

შეგახსენებთ, რომ მომდევნო ტური დღეს იწყება, „რეალს" კი ოთხშაბათს, „სევილიასთან" მართლაც საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი მატჩი ელის.

## ბარსელონა

რა თქმა უნდა, რადიკალურად განსხვავებული იყო „ბარსელონას" ფეხბურთელების კომენტარები.

**ჟერარდ პიკე:** *„ძალიან სამწუხაროა, რომ რონალდო ისევ მსაჯობაზე წუწუნებს, თანაც ასეთი საოცარი თამაშის შემდეგ. თუ მსაჯის თითოეულ გადაწყვეტილებაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ, თავად ის პენალტი, რომელიც რონალდომ მოიპოვა, არ უნდა დანიშნულიყო, რადგან წესები საჯარიმოს გარეთ დაირღვა. ჩემი აზრით, მსაჯობაზე საუბარი დიდი უსამართლობაა".*

თანაგუნდელს ეთანხმება **ჩავიც**: *„მსაჯებზე არ უნდა ვისაუბროთ, რადგან ჩვენ მეტოქეს ვაჯობეთ და ყურადღება სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ. ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და საკმარისად კარგად ვითამაშეთ იმისთვის, რომ სამი ქულა აგვეღო. ვფიქრობ, ასეთი საოცარი მატჩი დიდი ხანია არავის უნახავს. ამჟამად, „რეალს" და „ატლეტიკოს" მხოლოდ ქულით ჩამოვრჩებით - ტიტულისთვის ბრძოლა ძალიან საინტერესო იქნება".*

## მესის რეკორდი და 400

**ლიონელ მესიმ** „რეალთან" მორიგი გოლები გაიტანა და „ელ კლასიკოს" ყველა დროის ბომბარდირებში პირველ ადგილზე გადავიდა. 26 წლის არგენტინელის ანგარიშზე 21 გოლია, მეორე ადგილზე მყოფ **ალფრედო დი სტეფანოს** კი 18 ბურთი აქვს გატანილი. გარდა ამისა, მესი ლეგენდარულ თანამემამულეს ლა ლიგის ეგიდით გატანილი ბურთებითაც წამოეწია - ჩემპიონატში „სამეფო კლუბის" კარი „ბარსას" 10-იანმა უკვე 14-ჯერ დალაშქრა. კიდევ 5-ჯერ მან „რეალს" ესპანეთის სუპერთასზე გაუტანა, 2-ჯერ კი ჩემპიონთა ლიგაში.

გარდა ამისა, არგენტინელმა ლა ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა დავაში „რეალის" ლეგენდა **უგო სანჩესს** გადაასწრო და მეორე ადგილზე გადავიდა.

სხვათა შორის, „რეალის" კარში გატანილი მესამე გოლი მესისთვის მე-400 იყო კარიერაში. „ბარსელონას" ძირითად გუნდში „პულგამ" ყველა ტურნირზე 347 ბურთი გაიტანა, 37 კი არგენტინის ნაკრებში; კიდევ 14-ჯერ მან მეტოქეთა კარი არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობისას დალაშქრა, 2-ჯერ კი 23-წლამდელთა ნაკრებში იხეირა. აქ საუბარი მხოლოდ ძირითად გუნდებზეა, თორემ „ბარსელონა" B-ს და C-ს რიგებში მას კიდევ 11 გოლი (6 სეგუნდაში და 5 ტერსერაში) აქვს გატანილი.

### ალმერია-სოსიედადი 4:3

**გოლები:** 0:1 ველა (21-პენ), 1:1 ოსკარ დიასი (29), 1:2 აგირეჩე (58), 2:2 ვერსა (66-პენ), 3:2 ვერსა (71-პენ), 3:3 ბერგარა (85), 4:3 ჰიმამი (90)

**ალმერია** (4-2-3-1): ესტებანი – რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, მანე – ვერსა, კორონა (87. ჰიმამი) – სუსო, სორიანო (76. ტებარი), ალექს ვიდალი – ოსკარ დიასი (81. ელდერ ბარბოსა)

**სოსიედადი** (4-2-3-1): ბრავო – კ. მარტინესი, მ. გონსალესი (81. გ. კასტრო), ი. მარტინესი, დე ლა ბელია – ბერგარა, სურუტუსა (73. ჩაბი პრიეტო) – ველა, კანალესი (72. რუბენ პარდო), გრიზმანი – აგირეჩე

**გაფრთხილება:** ტრუხილიო, ოსკარ დიასი, სორიანო, ვერსა — კ. მარტინესი, მ. გონსალესი, დე ლა ბელია

**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 14-21 (8-10); **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 9 600

### XXX ტური
### 25 მარტი

### მალაგა-ესპანიოლი 23:00

**დისკვალიფიკაცია:** ხესუს გამესი, იგნასიო კამაჩო, სერხიო სანჩესი, დუდა (ყველა „მალაგა")

**ტრავმა:** ტისონე (მალაგა)

ბოლო 6 მატჩი

+2 =2 -2 (5-3) +2 =2 -2 (6-5)

ურთიერთშეხვედრები

სულ 25 თამაში: +13 =3 -9 (38:30)

### ელჩე-ბილბაო 01:00

**დისკვალიფიკაცია:** საპუნარუ (ელჩე)

**ტრავმა:** ა. ხიმენესი, ედუ ალბაკარი, აარონ ნიგესი - იბაი გომესი, კიკე სოლა, გურპეგი

ბოლო 6 მატჩი

+1 =2 -3 (2-7) +3 =2 -1 (10-4)

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0 =1 -0 (2:2)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 29 | 22 | 4 | 3 | 80-30 | 70 |
| 2. ატლეტიკო | 29 | 22 | 4 | 3 | 66-21 | 70 |
| 3. ბარსელონა | 29 | 22 | 3 | 4 | 85-25 | 69 |
| 4. ბილბაო | 29 | 16 | 7 | 6 | 52-32 | 55 |
| 5. სევილია | 29 | 13 | 8 | 8 | 53-44 | 47 |
| 6. სოსიედადი | 29 | 13 | 7 | 9 | 52-43 | 46 |
| 7. ვილიარეალი | 29 | 13 | 6 | 10 | 49-36 | 45 |
| 8. ვალენსია | 29 | 11 | 6 | 12 | 41-40 | 39 |
| 9. ლევანტე | 29 | 9 | 10 | 10 | 26-35 | 37 |
| 10. ესპანიოლი | 29 | 10 | 7 | 12 | 32-34 | 37 |
| 11. გრანადა | 29 | 10 | 4 | 15 | 28-39 | 34 |
| 12. სელტა | 29 | 9 | 6 | 14 | 33-41 | 33 |
| 13. მალაგა | 29 | 8 | 8 | 13 | 28-36 | 32 |
| 14. ვალეკანო | 29 | 9 | 3 | 17 | 33-63 | 30 |
| 15. ელჩე | 29 | 7 | 9 | 13 | 24-41 | 30 |
| 16. ალმერია | 29 | 8 | 5 | 16 | 31-55 | 29 |
| 17. ოსასუნა | 29 | 8 | 5 | 16 | 25-50 | 29 |
| 18. ხეტაფე | 29 | 7 | 7 | 15 | 26-46 | 28 |
| 19. ვალიადოლიდი | 29 | 5 | 12 | 12 | 31-49 | 27 |
| 20. ბეტისი | 29 | 4 | 7 | 18 | 23-58 | 19 |

**ბომბარდირები:** 26 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 21 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა), ქარიმ ბენზემა (რეალი); 15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 - პედრო (ბარსელონა)

### ასისტენტები

12 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა); 11 - გარეთ ბეილი (რეალი), კოკე (ატლეტიკო); 10 - ანხელ დი მარია (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

33 - კრიშტიანო რონალდო (რეალი, 26+7); 31 - ლიონელ მესი (ბარსელონა, 21+10); 26 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო 23+3); 24 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა, 17+7); 23 - ქარიმ ბენზემა (რეალი, 17+6)

არგენტინა. ტორნეო ფინალი. IX ტური


სებასტიან სახამ 9 მატჩში თავისი მესამე გოლი გაიტანა

# ორი კორეა და ბომბარდირი მეკარე

**არგენტინის მორიგ ტურში თავი ორმა კორეამ, ოღონდ არა სამხრეთმა და ჩრდილოეთმა, არამედ ხორხემ და ანხელმა გამოიჩინა. გარდა ამისა, გუნდის ბომბარდირის სტატუსი გაიმყარა სებასტიან სახამ, „კოლონი" კი უკვე ერთპიროვნულად გალიდერდა...**

არგენტინაში გრძელდება „კოლონის" სენსაციური ასპარეზობა. გუნდი, რომელიც წინა ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გავიდა, ამჯერად ნახევარი დისტანციის გასვლის შემდეგ, ერთპიროვნული ლიდერია. მორიგ შეხვედრაში **დიეგო ოსელიას** გუნდმა „ტიგრეს" უმასპინძლა და **ლუკას ალარიოს** მიერ მატჩის დებიუტში გატანილი პენალტით მოუგო. ამ გამარჯვებით „კოლონმა" არა მხოლოდ პირველი პოზიცია გაიმყარა, არამედ სამწლიან ცხრილშიც, რომლის მიხედვითაც ჩემპიონატის ბოლოს ის სამი გუნდი უნდა გაირკვეს, ვინც პრიმერას დატოვებს, ძალიან მნიშვნელოვანი ქულები მოაგროვა.

„ესტუდიანტესმა", რომელიც ამ ტურამდე თანალიდერი იყო, ორი ქულა „ველეს სარსფილდთან" გამართული მატჩის ბოლო წუთებზე დაკარგა. მასპინძლები უპირატესობას მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერაფრით ახერხებდნენ. საბოლოოდ, „ველესი" ცვლილებაზე გამოსულმა **ხორხე კორეამ** იხსნა, ვინც ულამაზესი დარტყმით გაიტანა.

ამ ტურში თავი **ანხელ კორეამაც** გამოიჩინა, მაგრამ მისი „სან ლორენსო" მაინც დამარცხდა. ჩემპიონი სტუმრად „ხიმნასიას" უგებდა, ბოლო 15 წუთში კი საკუთარ კარში ორი ბურთი მიიღო და მე-6 ადგილამდე დაქვეითდა.

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირება კი „მონუმენტალზე" შედგა - „რივერ პლეიტმა" „ლანუსი" მიიღო. მასპინძლებმა **ფერნანდო კავენაგის** და **დანიელ ვილიალბას** გოლებით მოიგეს და „სუპერ კლასიკოს" („ბოკა"-„რივერი" მომდევნო ტურშია) წინ კარგი განწყობაც შეიქმნეს.

აი, „ბოკამ" კი საკუთარი ქომაგები კიდევ ერთხელ გაანბილა. **კარლოს ბიანკის** გუნდმა, ამჯერად, ბოლო ადგილზე მყოფ „კილმესს" ვერ მოუგო და თუ ერთი კვირის შემდეგაც ვერ ივარგა, „პაპა კარლოს" მხარდამჭერთა რიცხვი, რომელიც მიუხედავად წარუმატებელი ასპარეზობისა, მაინც საკმაოდ შთამბეჭდავია, მკვეთრად შემცირდება.

ცალკე უნდა ვთქვათ **სებასტიან სახაზე**: „რასინგის" მეკარემ ჩემპიონატში უკვე მესამე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით ის გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. 34 წლის კარის დარაჯს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ „ბელგრანოსთან" გამართულ შეხვედრაში მეორე პენალტი ველარ გაიტანა.

### ოლიმპო-ატლ. რაფაელა 2:1

**გოლები:** 1:0 ჯისი (6), 1:1 ფ. გონსალესი (54), 2:1 ხ. ვალენსია (73)

### კოლონი-ტიგრე 1:0

**გოლი:** 1:0 ალარიო (4-პენ)

### რასინგი-ბელგრანო 2:0

**გოლები:** 1:0 სახა (35-პენ), 2:0 გაბრიელ აუჩე (89)

**გაძევება:** ხ. ველასკესი (79. ბელგრანო)

### როსარიო-ოლ ბოისი 2:0

**გოლები:** 1:0 აბრეუ (37-პენ), 2:0 ვ. აკუნია (57)

**გაძევება:** ნ. კამბიასო (33. ოლ ბოისი)

### ველესი-ესტუდიანტესი 1:1

**გოლები:** 0:1 კარილიო (46), 1:1 ხ. კორეა (88)

### გოდოი კრუსი-არსენალი 2:1

**გოლები:** 1:0 ობოლო (43), 1:1 სპერდუტი (72), 2:1 ობოლო (83)

### ხიმნასია-სან ლორენსო 2:1

**გოლები:** 0:1 ა. კორეა (48), 1:1 ბარსოტინი (79), 2:1 ლ. პერალტა (88)

### რივერი-ლანუსი 2:0

**გოლები:** 1:0 კავენაგი (35), 2:0 დ. ვილიალბა (71)

### კილმესი-ბოკა 0:0

**გაძევება:** ბრავო (90. ბოკა ხუნიორსი)

### არ. ხუნიორსი-ნიუელსი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლონი | 9 | 5 | 3 | 1 | 9-5 | 18 |
| 2. ესტუდიანტესი | 9 | 4 | 4 | 1 | 7-4 | 16 |
| 3. გოდოი კრუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-8 | 15 |
| 4. ველესი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-13 | 14 |
| 5. რივერი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-9 | 14 |
| 6. სან ლორენსო | 9 | 4 | 2 | 3 | 8-7 | 14 |
| 7. ოლიმპო | 9 | 4 | 2 | 3 | 8-7 | 14 |
| 8. ნიუელსი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-7 | 13 |
| 9. ლანუსი | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 10. ხიმნასია | 9 | 3 | 3 | 3 | 11-9 | 12 |
| 11. ატლ. რაფაელა | 9 | 3 | 3 | 3 | 12-11 | 12 |
| 12. ბოკა | 9 | 3 | 3 | 3 | 8-7 | 12 |
| 13. როსარიო | 9 | 3 | 3 | 3 | 10-10 | 12 |
| 14. ოლ ბოისი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-11 | 12 |
| 15. ბელგრანო | 9 | 2 | 5 | 2 | 13-15 | 11 |
| 16. არ. ხუნიორსი | 9 | 2 | 4 | 3 | 5-7 | 10 |
| 17. ტიგრე | 9 | 1 | 6 | 2 | 2-3 | 9 |
| 18. რასინგი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-11 | 7 |
| 19. არსენალი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-13 | 7 |
| 20. კილმესი | 9 | 2 | 1 | 6 | 4-9 | 7 |

**ბომბარდირები:** 6 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 4 - ბლანდი (სან ლორენსო), კარილიო (ესტუდიანტესი), კასტელანი (გოდოი კრუსი), კავენაგი (რივერ პლეიტი), გრაციანი (კოლონი), პისკულიჩი (არ. ხუნიორსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)

### გასავარდნი ცხრილი

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ტიგრე | 104 | 131 | 1.260 |
| 16. კოლონი | 104 | 130 | 1.250 |
| 17. ოლ ბოისი | 104 | 129 | 1.240 |
| 18. გოდოი კრუსი | 104 | 126 | 1.212 |
| 19. კილმესი | 66 | 78 | 1.182 |
| 20. არ. ხუნიორსი | 104 | 121 | 1.163 |

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტურის წინ

# ომი დორტმუნდში, ზეიმი ბერლინში?

## ბრძოლები გადარჩენისთვის და ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის

25.03. დორტმუნდი
სიგნალ იდუნა პარკი 23:00

**დორტმუნდი**

ბოლო 6 მატჩი
+4=0-2 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები
83 თამაში: +30=24-29

**შალკე**

სავარაუდო შემადგენლობები

დორტმუნდი: ვაიდენფელერი; სოკრატისი, ჰუმელსი, პიშჩეკი, დურმი; კელი, შაჰინი; მხითარიანი; როისი, გროსკროიტცი; ლევანდოვსკი

შალკე: ჰუნტელაარი; დრაქსლერი, მაიერი, გორეტცკა; ნოიშტედტერი, კ. ბოატენგი; კოლაშინაცი, ჰუგლანდი, მატიპი, აიჰანი; ფერმანი

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: [illegible]

**ინგლისური** კვირა გერმანიაში: ბუნდესლიგის 27-ე ტურის მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება. უმთავრესი დღევანდელი მატჩებია, რადგან სწორედ დღეს ვნახავთ გერმანული ფეხბურთის მშვენებას, რურის დიდ დერბის და დღესვე თამაშობს „ბაიერნიც“ - მიუნხენელებს ბერლინში გერმანიის ჩემპიონობის ოფიციალურად განაღდება შეუძლიათ. ხვალინდელი შეხვედრების მთავარი თემა კი გადარჩენისთვის ბრძოლა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის პაექრობებია.

### 25 მარტი

**ვერდერი-ვოლფსბურგი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარგფრედე - დე ბრუინი
**ტრავმა:** გარსია, იგნიოვსკი - ვიეირინია, დოსტი

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +13=7-13, (59:53)

**ბრაუნშვაიგი-მაინცი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** თოიერკაუფი - მორიტცი
**ტრავმა:** პეტკოვიჩი, რაიხელი, ბელარაბი, ერვიგ-დრიუპელი, ხელიფი, კორტე, იორლი - ბაუმგარტლინგერი, დ. შაპინი

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 1 თამაში: +0=0-1, (0:2)

**ჰერტა-ბაიერნი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ს. ლანგკამპი (ჰერტა)
**ტრავმა:** ბურხერტი, ბაუმიოჰანი, ლუსტენბერგერი - ბადშტუბერი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები
სულ 57 თამაში: +9=16-32, (67:137)

### 26 მარტი

**ნიურნბერგი-შტუტგარტი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** პინოლა (ნიურნბერგი)
**ტრავმა:** ჩენდლერი, მარკოს ანტონიო, ნილსონი, გებჰარტი, ჰასებე, პეტრაკი, გინჩეკი - კირშბაუმი, როხასი, აბდელაუ

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 63 თამაში: +17=16-30, (69:107)

**ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კასტეელსი, ვიზე, აბრაამი, ვუკჩევიჩი - მილერი, ჩერუნდოლო, ფელიპე, მ. დიუფი, ა. ზობიეხი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +6=2-3, (22:12)

**აუგსბურგი-ლევერკუზენი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვერჰეგი, მორავეკი, ჯი - პალოპი, ჰეგელერი, კრუსი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +0=5-5, (5:15)

**ჰამბურგი-ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჩალჰანოღლუ (ჰამბურგი)
**ტრავმა:** იანსენი, ლამი, რაიკოვიჩი, დემირბაი, ილიჩევიჩი, ბაისტერი - პილარი, ფრაისი, ჰანკე

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 29 თამაში: +13=9-7, (48:24)

**აინტრახტი-გლადბახი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ანდერსონი, კიტელი, როდე - ვენდტი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 79 თამაში: +30=22-27, (126:117)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 26 | 24 | 2 | 0 | 76-12 | 74 |
| 2. დორტმუნდი | 26 | 16 | 3 | 7 | 59-29 | 51 |
| 3. შალკე | 26 | 15 | 5 | 6 | 51-37 | 50 |
| 4. ლევერკუზენი | 26 | 14 | 2 | 10 | 43-32 | 44 |
| 5. გლადბახი | 26 | 12 | 6 | 8 | 46-32 | 42 |
| 6. ვოლფსბურგი | 26 | 12 | 5 | 9 | 43-40 | 41 |
| 7. მაინცი | 26 | 12 | 5 | 9 | 37-40 | 41 |
| 8. აუგსბურგი | 26 | 11 | 6 | 9 | 39-37 | 39 |
| 9. ჰერტა | 26 | 10 | 6 | 10 | 35-34 | 36 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 26 | 8 | 8 | 10 | 57-58 | 32 |
| 11. ჰანოვერი | 26 | 8 | 5 | 13 | 34-46 | 29 |
| 12. აინტრახტი | 26 | 7 | 8 | 11 | 33-46 | 29 |
| 13. ვერდერი | 26 | 7 | 8 | 11 | 30-50 | 29 |
| 14. ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 29-47 | 25 |
| 15. შტუტგარტი | 26 | 6 | 6 | 14 | 40-52 | 24 |
| 16. ჰამბურგი | 26 | 6 | 5 | 15 | 41-55 | 23 |
| 17. ნიურნბერგი | 26 | 4 | 11 | 11 | 30-49 | 23 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 26 | 4 | 6 | 16 | 21-48 | 18 |

**ბომბარდირები:** 17 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 15 - ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი)



დღეს რურის დიდი დერბია: ნური შაჰინი (თეთრი) და კევინ ბოატენგი

### ლევანდოვსკი: ძალიან მოტივირებულები ვართ!

დავიწყოთ იმ მატჩით, რომელსაც მთელი საფეხბურთო გერმანია მოუთმენლად ელის. „დორტმუნდისა“ და „შალკეს“ უმძაფრესი დაპირისპირება ამჯერად მხოლოდ რურის დიდი დერბი არ არის - ახლა საქმე მეორე ადგილის დაკავებას და, შესაბამისად, გერმანიის ვიცე-ჩემპიონობას ეხება, რაც „ბაიერნის“ დომინაციის ხანაში ასევე მნიშვნელოვანი გახდა.

„ჩვენ ყოველთვის მოტივირებულები ვართ ხოლმე, მაგრამ როცა საქმე „შალკესთან“ მატჩს ეხება, მოტივაცია ყოველთვის გვიორმაგდება. მას მერე, რაც „დორტმუნდში“ ვარ, „შალკესთან“ უმეტესად ძალიან კარგად ვთამაშობთ ხოლმე და იმედი მაქვს, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდება,“ - აცხადებს „ბორუსიას“ პოლონელი გოლეადორი **რობერტ ლევანდოვსკი.**

შესაძლოა, ზემოთ თქმული სიმართლესთან ახლოს იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ „დორტმუნდს“ „შალკესთან“ საკუთარ მოედანზე მოგება არც ისე უადვილდება, როგორც ლევანდოვსკიმ თქვა: დორტმუნდში ჩატარებული ბოლო 14 დერბიდან „ბორუსიამ“ მხოლოდ და მხოლოდ ორის მოგება შეძლო (5 ფრე, 7 წაგება). ამიტომაცაა, რომ „შალკეს“ თავკაცი **იენს კელერი** ოპტიმისტურადაა განწყობილი, ნახევარმცველი **კევინ ბოატენგი** კი დაძაბულ, დრამატულ და დაუნდობელი ორთაბრძოლებით აღსავსე მატჩს ელის. აქვე ვთქვათ, რომ კევინი ახლო წარსულში სწორედ „დორტმუნდში“ თამაშობდა.

გამარჯვების შემთხვევაში **იურგენ კლოპის** გუნდი ვიცე-ჩემპიონობისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს, ფრე ვითარებას უცვლელს დატოვებს („ბორუსია“ „შალკეს“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს) და თუ „შალკემ“ მოიგო, მაშინ მეორე ადგილზე გელზენკირხენელები გადაინაცვლებენ.

### დაბანენ პეპს ლუდით?

„ოთხი თამაშია, აღარ მოგვიგია, რაც ძალიან ცუდია, მაგრამ მაინც არ უნდა ავფორიაქდეთ, რადგან პირველ ბუნდესლიგაში ახალი დაბრუნებულები ვართ და ჩვენგან სასწაულებს არც არავინ ითხოვს. იმედი მაქვს, რომ ქულების დაგროვებას განვაახლებთ,“ - ეს ბერლინის „ჰერტას“ მთავარი მწვრთნელის, **იოს ლუჰუკაის** სიტყვებია. შანსი იმისა, რომ „ჰერტამ“ ვითარება ამ ტურიდან გამოასწოროს, უმცირესია, რადგან ბერლინელები დღეს თვით მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობენ - თანაც იმ „ბაიერნს“, რომელსაც ამ თამაშის მოგებით გერმანიის ჩემპიონობის ოფიციალურად განაღდება შეუძლია.

„თუ მოვიგებთ, რა თქმა უნდა, ძალიან მაგრად უნდა ვიზეიმოთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ლუდის შხაპის მიღება არ მინდა. ასე რომ, თუ მოვიგებთ, საფინალო სასტვენის შემდეგ პირდაპირ გასახდელისკენ მოვკურცხლავ,“ - აცხადებს „ბაიერნის“ დამრიგებელი **ხოსეპ გვარდიოლა.**

### შიში ნიურნბერგში

ოთხშაბათს ხუთი მატჩია, რომელთა შორის გადარჩენისთვის ბრძოლის უშუალო დუელი ნიურნბერგში შედგება, სადაც მე-17 ადგილზე მყოფი ფრანკები მე-15 პოზიციაზე მყოფ „შტუტგარტს“ უმასპინძლებენ. „ნიურნბერგმა“ ზედიზედ ოთხი თამაში წააგო და, თანაც, აქედან სამჯერ უშუალო კონკურენტებთან დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგისკენ მიექანება. თუმცა, „შტუტგარტთან“ გამარჯვებით ნიურნბერგელებს ვითარების გამოსწორება შეუძლიათ.

### აუგსბურგი ევროპაში?

ძალიან საინტერესო მატჩია აუგსბურგში, სადაც „ლევერკუზენი“ ჩადის. ლევერკუზენელები ჯერ კიდევ მეოთხე ადგილზე, ანუ ჩემპიონთა ლიგის ზონაში არიან, მაგრამ მე-8 ადგილზე მყოფ „აუგსბურგს“ სულ რაღაც ხუთი ქულითღა უსწრებენ. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ „ლევერკუზენს“ ჩემპიონთა ლიგა კი არა, შესაძლოა, ევროპალიგაც სანატრელი გაუხდეს, „აუგსბურგს“ კი თეორიულად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი უჩნდება. თვითონ აუგსბურგელები ევროპალიგაზე მოხვედრაზე უკვე თამამად ლაპარაკობენ და თუ დღეს საშინელ ფორმაში მყოფი „ლევერკუზენი“ („ბაიერს“ 6 თამაშია, არ მოუგია) დაამარცხეს, მერე შეიძლება კიდევ უფრო გათამამდნენ. აღსანიშნავია, რომ თუ „ლევერკუზენმა“ მოიგო, ეს ამ გუნდის ისტორიაში ბუნდესლიგაში მე-500 გამარჯვება იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**

სიმბოლური ნაკრები

ლევანდოვსკი (დორტმუნდი), რაფაელი (გლადბახი); მხითარიანი (დორტმუნდი); არანგო (გლადბახი), აიგნერი (აინტრახტი); შვაინშტაიგერი (ბაიერნი); როდრიგესი (ვოლფსბურგი), შვაბი (შტუტგარტი), მატიპი (შალკე), ჰუმელსი (დორტმუნდი); კარიუსი (მაინცი)

4-1-2-1

#### ტურის გმირი

**რაფაელი (გლადბახი)**

„გლადბახმა“ „ჰერტა“ რომ დაარბია, ეს, პირველ რიგში, მიონხენგლადბახელთა ბრაზილიელი შემტევის, რაფაელის დამსახურება გახლდათ, რომელმაც მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში გამორჩეული იყო. თანაც, რაფაელი ყოფილი ბერლინელია და ექსთანაგუნდელების კარში გატანილი გოლი მოკრძალებულად აღნიშნა.



საუკეთესო ფეხბურთელები „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 17 | 2.18 |
| 2. არიენ რობენი | ბაიერნი | 21 | 2.21 |
| 3. რალფ ფერმანი | შალკე | 14 | 2.57 |
| 4. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 26 | 2.62 |
| 5. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 22 | 2.64 |
| 6. მარკო როისი | დორტმუნდი | 22 | 2.70 |
| 7. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 15 | 2.71 |
| 8. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 26 | 2.73 |
| 9. ტონი კროოსი | ბაიერნი | 24 | 2.76 |
| 10. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 25 | 2.78 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 25 | 16 | 10 | 26 |
| 2. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 25 | 17 | 6 | 23 |
| 3. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 25 | 13 | 9 | 22 |
| 4. ადრიან რამოსი | ჰერტა | 26 | 15 | 6 | 21 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 24 | 12 | 8 | 20 |
| 6. რაფაელი | გლადბახი | 26 | 13 | 6 | 19 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 17 | 8 | 11 | 19 |
| 8. მაქს კრუზე | გლადბახი | 26 | 10 | 8 | 18 |
| 9. მარკო როისი | დორტმუნდი | 22 | 9 | 9 | 18 |
| 10. ანდრე ჰანი | აუგსბურგი | 25 | 10 | 7 | 17 |

#### ამბები

### რეკორდმაისტერში არჩევნები დაიგეგმა

გერმანული „ბაიერნის“ პრეზიდენტის არჩევნები 2 მაისს ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს კლუბის დირექტორთა საბჭოზე. შეგახსენებთ, რომ **ული ჰიონესს** სამწლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, გადასახადების დამალვისთვის და მას შემცვლელი სჭირდება. ფავორიტი **კარლ ჰოპფნერია.** თუმცა ამბობენ, რომ შესაძლოა კანდიდატურა **პაულ ბრაიტნერმაც** წამოაყენოს.

### ბაიერნი დაისაჯა

მიუნხენის „ბაიერნი“ უეფამ 10 ათასი ევროთი დააჯარიმა. გარდა ამისა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩისას „ალიანს არენაზე“ ერთ-ერთი ტრიბუნა ულტრასებისთვის დახურული იქნება. ამის მიზეზი, „არსენალთან“ მატჩისას ფანების მიერ გამოფენილი ერთ-ერთი ბანერია, რომელიც თან ჰომოფობიური იყო და თან პირადად **მესუთ იოზილს** აყენებდა შეურაცხყოფას.



ბანერი, რომელიც გერმანელებს 10 ათასი ევრო დაუჯდათ

**გიორგი პაპაბაძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იტალიური ამბები

# პრანდელისა და აძურის რომანი გაგრძელდება


ჩეზარე პრანდელი

როგორც ირკვევა, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია **ჩეზარე პრანდელის** ახალ კონტრაქტზე შეუთანხმდა. აქამდე, 56 წლის სპეციალისტის „სკუადრა აძურადან" წასვლა მომავალი მუნდიალის დასრულებისთანავე იგეგმებოდა, მაგრამ მხარეები კონტრაქტის 2016 წლის ზაფხულამდე (ევრო 2016-ის ჩათვლით) გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ და იტალიური პრესის ცნობით, ეს ყველაფერი ოფიციალურად ამ კვირაში უნდა გაფორმდეს. პრანდელი ნაკრებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ჩაუდგა სათავეში და მისმა განვრთნილმა „სკუადრა აძურამ" ევრო 2012-ზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

## გუარინმა ინტერი გაიხანგრძლივა

მილანის „ინტერმა" **ფრედი გუარინთან** კონტრაქტი 2017 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. მოგეხსენებათ, რომ 27 წლის კოლუმბიელი იანვარში ტურინის „იუვენტუსში" გადასვლასთან იყო ძალიან ახლოს, მაგრამ მისი **მირკო ვუჩინიჩში** გაცვლა ბოლო მომენტში აღარ ისურვა „ნერაძურის" ახალმა პრეზიდენტმა **ერიკ ტოჰირმა**. გუარინი „ინტერში" 2010 წელს პორტუდან გადავიდა და „სან სიროს" ბინადრებში 84 მატჩი აქვს ჩატარებული, მის ანგარიშზე 14 გოლია.

## რუდი გარსია: ტოტი ნაკრებისთვის მზადაა

იტალიური „რომას" მთავარი მწვრთნელი **რუდი გარსია** მიიჩნევს, რომ გუნდის ვეტერანი ლიდერი და კაპიტანი **ფრანჩესკო ტოტი** მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ მზად არის. 37 წლის „ერ პუპონემ" თავადვე აღნიშნა, რომ ნაკრებში დაბრუნება უნდა, თუ „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის **ჩეზარე პრანდელის** სურვილი იქნება.

*„თუ ტოტი ბრაზილიაში გაემგზავრება, ეს მისთვისაც და „რომასთვისაც" ძალიან კარგი იქნება. თუმცა გადაწყვეტილება პრანდელიმ უნდა მიიღოს. ახლა ფრანჩესკო კარგად თამაშობს და ყველანი ვხედავთ, რომ იგი კარგ ფორმაშია, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. მას ისევ სიამოვნებს ფეხბურთის თამაში"* - აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

## რიერა უდინეზეში ითამაშებს

**ალბერტ რიერამ** „უდინეზესთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც ძალაში 1 ივლისიდან შევა. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ნახევარმცველი იანვრის მერე უკლუბოდაა, ანუ მას მერე, რაც „გალათასარაიმ" მასთან კონტრაქტი იმის გამო გაწყვიტა, რომ კლუბში ლეგიონერისთვის ადგილი გამონთავისუფლებულიყო. ამჟამად რიერა, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში 18 მატჩი აქვს ჩატარებული და 4 გოლი გატანილი, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს, რადგან მომავალ სეზონს ფორმაში შეხვდეს.

## გომესი ერთი თვე იუქმებს

ფლორენციის „ფიორენტინას" ძალიან არ უმართლებს, ისევე როგორც პირადად **მარიო გომესს**. გერმანელი ფორვარდი ისევ დაშავდა, მან დაზიანება „ნაპოლისთან" მოგებული მატჩისას მიიღო. ყველაზე ცუდი ის არის, რომ გომესს ძველი ტრავმის რეციდივი ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ მას მუხლი აწუხებს. ახლა 28 წლის ფორვარდმა დამატებითი გამოკვლევები უნდა ჩაიტაროს, მაგრამ ექიმების წინასწარი დიაგნოზი უკვე ცნობილია - იგი ერთი თვე დაისვენებს.

## დე შილიო მილანს ორი კვირა დააკლდება

**მატია დე შილიო**, რომელიც ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და მადრიდის „რეალს" დაუკავშირეს, ისევ ტრავმირებულია. „მილანის" 21 წლის მცველი „ლაციოსთან" შეხვედრისას დაშავდა. მედიკოსების თქმით, „როსონერის" ახალგაზრდა ტალანტი დაახლოებით ორი კვირა ვერ ითამაშებს. ცხადია, ეს ისედაც არასასიამოვნო სიტუაციაში მყოფი „მილანისთვის" კიდევ ერთი ცუდი ამბავია.

**გიორგი კაკაბაძე**

ამბები

# როჯერსს რიდი უნდა

„ლივერპული" ახალი ფეხბურთელების ძიებას აგრძელებს და მერსისაიდელების სამიზნეში ამჯერად **უინსტონ რიდი** მოხვდა. „ვესტ ჰემის" 25 წლის მცველი ამ სეზონში ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და მომჯობინების მერე, **სემ ალარდაისის** ნდობა ველარ დაიმსახურა, რის გამოც, ახალზელანდიელი წასვლაზე ფიქრობს და თანაც მსურველებად უფრო ძლიერი გუნდები ჰყავს, ვიდრე „ვესტ ჰემია" - მერსისაიდელების გარდა, რიდით „არსენალიც" არის დაინტერესებული. თუმცა ბრიტანული პრესის ცნობით, **ბრენდან როჯერსის** ინტერესი გაცილებით სერიოზულია.

# ვერტონგენი კლუბშიც კომპანის მეწყვილე იქნება?

ლონდონის „ტოტენჰემის" მცველს **იან ვერტონგენს** ძალიან ბევრმა გუნდმა დაადგა თვალი. „ნაპოლისა" და „ლივერპულის" შემდეგ „მანჩესტერ სიტი" გააქტიურდა. „ქალაქელებს" დაცვაში სიტუაციის დალაგება უნდათ და ცენტრში **ვენსან კომპანის** მეწყვილედ მისი თანამემამულე და ბელგიის ნაკრებში პარტნიორი ვერტონგენი ესახებათ. თავად ეს უკანასკნელი „დეზებში" არც ისე კმაყოფილი ჩანს და სავარაუდოდ, ჩამოთვლილი გუნდებიდან ნებისმიერის შემოთავაზებით დაინტერესდება.

# ჯერარდი ოჯახს ინგლისში დატოვებს

**სტივენ ჯერარდი** ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის მეუღლესა და სამ ქალიშვილს არ წაიყვანს. *„ვფიქრობ, რომ ეს ყურადღებას გიფანტავს და კონცენტრაციას გაკარგვინებს. ამიტომაც, 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში ოჯახი არ წავიყვანე და არც ბრაზილიაში წავიყვან. შედეგად ბოლომდე თამაშზე გახლდით გადართული და ნორმალურ ფორმაში ვიყავი. როგორც წესი, დღე, რომელსაც ოჯახთან ერთად ატარებ, მატჩისშემდგომი დღეა და სწორედ მაშინ იღლები ყველაზე მეტად. უკანასკნელი, რაც მინდა იქ მოხდეს, ის არის, რომ სამმა პატარა გოგონამ აქეთ-იქით მატაროს, ეს მათი ბრალი არ არის, მაგრამ მომიწევს 6-8 კვირა ამაზე უარი ვთქვა, იმ იმედით, რომ წარმატებას მივაღწევთ"* - თქვა ჯერარდმა, რომელიც 30 მაისს 34 წლის გახდება.

# სპარტაკული ამბები

მოგეხსენებათ, რომ 2018 წელს რუსეთში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით, „ლუჟნიკების" რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, მაგრამ თუ ადრე ცნობილი იყო, რომ მხოლოდ ვიზუალური მხარე შეიცვლებოდა და გაუმჯობესდებოდა, ახლა ირკვევა, რომ ახალი „ლუჟნიკები" უფრო მეტ მაყურებელსაც დაიტევს. ამ სტადიონის ბინადრის მოსკოვის „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელად კი დღეს დირექტორთა საბჭოზე სავარაუდოდ **სტანისლავ ჩერჩესოვი** დამტკიცდება. 50 წლის სპეციალისტი, რომელმაც „ამკარში" კარგი მუშაობით გამოიჩინა თავი, გუშინ ავსტრიიდან დაბრუნდა და „სპარტაკის" მფლობელ **ლეონიდ ფედუნთან** შეხვედრაც მოასწრო.

# უორნოკი ნოტინგემ ფორესტში მიდის

„ნოტინგემ ფორესტს" ალბათ ახალი მწვრთნელი ეყოლება. ჩემპიონთა თასის ორგზის გამარჯვებული კლუბი, რომელიც ახლა ჩემპიონშიპშია, „დერბისთან" განადგურდა (0:5) და პლეი ოფის ზონიდან გამოვიდა, არადა გუნდის ქუვეითელ მფლობელს **ფავას ალ-ჰასავის** სურვილი აქვს, რომ „ნოტინგემი" პრემიერლიგას დაუბრუნდეს და ამისთვის სულ მინიმუმ პლეი ოფის ზონაში მოხვედრაა საჭირო, რადგან „ფორესტმა" ბრძოლა გააგრძელოს. ასე რომ, გუნდის მმართველს **ბილი დევისის** ჩანაცვლება **ნილ უორნოკით** გადაუწყვეტია, რომელიც ადრე „ლიდსს", QPR-სა და „კრისტალ პალასს" თავკაცობდა. 65 წლის სპეციალისტსა და ალ-ჰასავის შორის მოლაპარაკებები უკვე დაიწყო.

**გიორგი კაკაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXIX ტურის შეჯამება

# სამეული დალაგდა

## ზეედორფი და მაცარი ბეწვის ხიდზე

სიმბოლური ნაკრები




გასულ ტურში „იუვენტუსმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ. „რომა" „ნაპოლის" დაუსხლტა და მეორე ადგილზე უფრო მყარად მოიკიდა ფეხი, რამაც „ნაპოლის" უმთავრეს მიზნად მესამე ადგილის შენარჩუნება აქცია. თუმცა, სამხრეთელები გვარიანად უსწრებენ ტოსკანელებს და მცირეა იმის შანსი, რომ პოზიცია დათმონ. მოკლედ, დიდი ალბათობით, სამეული დალაგდა. განვლილ უქმეებზე სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა, რომლებზეც ქვემოთ მოგითხრობთ...

### ზეედორფი ბეწვის ხიდზე

გასულ კვირაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თუ „მილანი" „ლაციოსთან" და „ფიორენტინასთან" სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, **კლარენს ზეედორფი** დატოვებს გუნდს და მის ადგილს სეზონის ბოლომდე **მაურო ტასოტი** დაიკავებს. „როსონერიმ" რომში მორიგი უსახური მატჩი ჩაატარა, ქულასაც იღბლის წყალობით გამოკრა ხელი და კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ღრმა კრიზისშია. მომდევნო ტურში ლომბარდიელები ფლორენციაში ჩადიან, იქ კი ფავორიტად სწორედ „ფიორენტინაა" მიჩნეული... ანუ, კლარენს ზეედორფი ბეწვის ხიდზე გადის და არ არის გამორიცხული, პოსტი იმაზე ადრე დატოვოს, ვიდრე ეს თავად წარმოედგინა, როდესაც „მილანელოს" მწვრთნელის რანგში დაუბრუნდა. „ლაციოსთან" გამართული უფერული მატჩის შემდეგ, ზემ უტიფარი კომენტარი გააკეთა:

*„დღეს დავინახეთ „მილანი", რომელიც მოტივირებულია, მატჩიდან მატჩამდე მოუმატოს. ვფიქრობ, სწორ გზას ვადგავართ და თუ ასე გავაგრძელებთ, შედეგი აუცილებლად მოვა. წინ რთული კალენდარი გვაქვს, მაგრამ ქულები უნდა ავკრიფოთ და ჩემპიონატი რაც შეიძლება მაღალ ადგილზე დავასრულოთ".*

### ნაპოლის სტაგნაცია

მართალია, გასულ ზაფხულს „ნაპოლიმ" **ედინსონ კავანი** გაყიდა, მაგრამ შევსებაც სოლიდური მიიღო და მთლიანობაში **აურელიო დე ლაურენტისის** შემოსავალი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დანახარჯი. ნეაპოლში ახალი მწვრთნელი ჩავიდა, რომელსაც გუნდი განვითარების ახალ ეტაპზე უნდა აეყვანა. გასულ უქმეებზე, „ნაპოლი" „ფიორენტინასთან" დამარცხდა და პრაქტიკულად დაემშვიდობა მეორე ადგილზე აღზევების შანსს. შუა კვირაში, ნეაპოლური გუნდი ევროპალიგის გათამაშებასაც გამოეთიშა, ამ ყველაფერს კი ერთ დასკვნამდე მივყავართ: „ნაპოლი" ერთ ადგილს ტკეპნის და **რაფაელ ბენიტესის** ხელში გუნდს დიდი პროგრესი არ განუცდია. ნეაპოლელები თასის ფინალში არიან და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურისთვის იბრძვიან, ეს კი **ვალტერ მაცარის** დროსაც ხდებოდა. ფაქტია, რაფას პირველ სეზონში, აურელიო დე ლაურენტისის მრავალმილიონიანმა დანახარჯებმა შედეგი ვერ გამოიღო.

### მონტელას იმედი

ამასობაში, **ვინჩენცო მონტელას** გაუჩნდა იმედი, რომ მისი „ფიორენტინა" „ნაპოლისთან" 7-ქულიან ფორას აღმოფხვრის და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. როგორც აღვნიშნეთ, „ვიოლამ" ნეაპოლში 6-ქულიანი მატჩი მოიგო და შეინარჩუნა შანსი მესამე ადგილისთვის იბრძოლოს. შანსი მცირეა, მაგრამ არის და სწორედ ამას ამბობს მონტელაც:

*„უნდა გვჯეროდეს, რომ სამეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეგვიძლია. თითოეულ შეხვედრაზე ამ რწმენით უნდა გავიდეთ და არაა გამორიცხული, მიზანს მივაღწიოთ. ჩემპიონატის დასრულებამდე არაერთი ტურია დარჩენილი და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შანსი მცირეა, მაგრამ სანამ არის, უნდა ვიბრძოლოთ".*

### იმობილეს ველარ აჩერებენ

„ტორინოს" თავდამსხმელმა **ჩირო იმობილემ** „ლივორნოსთან" შეხვედრაში ჰეთთრიკი შეასრულა, მიმდინარე სეზონში 16 გოლს მოუყარა თავი და ბომბარდირთა დავაში **კარლოს ტევესთან** ერთად ლიდერობს. იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი ამბავია ატეხილი, **ჩეზარე პრანდელის** მოუწოდებენ, რომ ჩირო აუცილებლად წაიყვანოს ბრაზილიაში. მაგალითად, „კორიერე დელო სპორტში" დაიწერა, რომ ამ ეტაპზე, იმობილე საუკეთესო იტალიელი ცენტრფორვარდია და სწორედ ის უნდა იყოს „სკუადრა აძურას" მთავარი ფორვარდი და არა **მარიო ბალოტელი**. მოკლედ, ჩირომ გაიბრწყინა და სამუნდიალე განაცხადი გააკეთა.


რა ბედი ელით მილანური გრანდების მწვრთნელებს?

### სინიშას შოუ

„ატალანტასთან' განადგურების შემდეგ, „სამპდორიას" მთავარი მწვრთნელი **სინიშა მიხაილოვიჩი** შეგირდებს დაერია და განაცხადა, გუნდში კაცები მჭირდება და არა თავში ავარდნილი ბიჭებიო... სინიშას განრისხებამ შედეგი გამოიღო - „სამპამ" „ვერონას" უმასპინძლა და მეტოქეს ბრდღვინი ადინა. გენუელებმა სტუმრებს ხუთი უპასუხო გოლი აგემეს და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, სხვაობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. თუ ტურის ფეხბურთელი ჩირო იმობილეა, ტურის გუნდად „სამპდორია" უნდა დავასახელოთ.

### ტოჰირის დილემა

მიმდინარე სეზონში, „ინტერის" პროგრამა მაქსიმუმი ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა, ეს კი მილანელთათვის საოცნებო შედეგი ნამდვილად არაა. **ვალტერ მაცარი** იმისთვის არ მიუყვანიათ „ნერაძურიში", რომ გუნდი ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე გაიყვანოს. გასაგებია, რომ მილანელებს არ ჰყავთ ზევარსკვლავური შემადგენლობა, მაგრამ არც ისე დაბეჩავებულან, რომ „ნაპოლის" და „რომას" ტოლ-სწორად ვერ ეჭიდაონ. მოკლედ, მაცარის პირველ მილანურ სეზონს წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ და კლუბის პრეზიდენტიც დილემის წინაშეა. კითხვა ასეთია: უნდა დარჩეს თუ არა სენიორ ვალტერი „ნერაძურის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე? - უკვე ბევრს საუბრობენ **დიეგო სიმეონეზე**...

### იუვეს სიცილიელებმა შეუტიეს

„იუვენტუსმა" ჩვეულ სტილში მოიგო, ერთი გოლი შეუგდო „კატანიას" და კარიც მშრალად შეინახა. **ანტონიო კონტე** ისევ არ მოერიდა როტაციას - დაცვაში **მარტინ კასერესი** ვიხილეთ, ნახევარდაცვაში **სიმონე პადოინი** და **მაურისიო ისლა**, შეტევაში კი **პაბლო ოსვალდო**. ერთადერთი გოლი **კარლოს ტევესის** ანგარიშზეა, რომელმაც ჩირო იმობილეს გასწრების საშუალება არ მისცა. მატჩის შემდეგ ტურინული გრანდის ავტობუსზე სიცილიელმა ქომაგებმა იერიში მიიტანეს - ესროდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ და შედეგად, ერთი მინაც ჩაამსხვრიეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ კატანიელები სასჯელს მაინც ვერ ასცდებიან. სავარაუდოდ, სიცილიურ კლუბს ფინანსურ სანქციას დაუწესებენ. „იუვეს" ავტობუსზე იერიშის მიტანა ჩვეულებრივი ამბავია, განსაკუთრებით ხშირად კი ეს ნეაპოლში ხდება.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

ნეტო (ფიორენტინა) - ბენატია (რომა მარჯვ.), გასტალდელო (სამპდორია ცენტრი), ნატალი (ბოლონია მარცხ.) - სორიანო (სამპდორია მარჯვ.), გონსალესი (ლაციო ცენტრი), პერეირა (უდინეზე ცენტრი), ბონავენტურა (ატალანტა მარცხ.) - ხოაკინი (ფიორენტინა მარჯვ.), ტევესი (იუვენტუსი მარცხ.), იმობილე (ტორინო ფორვ.).

XXX ტური

25 მარტი

| რომა–ტორინო | 23.45 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** ბენატია - ჟილე.
**ტრავმა:** მაიკონი, ბალცარეტი, სტროტმანი - ლარონდო, მაზიელო, პასკუალე, ბაშა.

ბოლო 6 შეხვედრა

| | |
|---|---|
| 4-1-1 | 2-0-4 |

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +14=7-2, (37-18)

**ლაშა წიკლაური**




ამბები


დანტე (მარჯვნივ)

## დანტე კმაყოფილია და რჩება

დანტემ „ბაიერნთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა და ახლა 2017 წლის ზაფხულამდე მიუნხენელთა საკუთრებაშია. 30 წლის ბრაზილიელს ბევრი მსურველი ჰყავდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" თამადობით, მაგრამ მან რეკორდმაისტერში დარჩენა გადაწყვიტა.

*„აქ გადმოსვლა ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. „ბაიერნში" ყველაფერი მაკმაყოფილებს - ატმოსფერო, ისტორია, შემადგენლობა, ტიტულები... ამიტომაც ვრჩები"* - განაცხადა დანტემ.

სამაგიეროდ, კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას თუ ვენდობით, „ბაიერნმა" შეწყვიტა მოლაპარაკებები **ტონი კროოსთან**, რადგან მხარეები რიგ საკითხებში ვერ შეთანხმდნენ და ნახევარმცველი გუნდიდან წავა. როგორც იცით, კროოსს ბევრი მთხოვნელიც ჰყავს, რომელთა შორისაც ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედი" აქტიურობს.

## ბუნდესლიგაში ტექნოლოგიებს ეწინააღმდეგებიან

გერმანიაში რეფერენდუმი ჩატარდა, რომელშიდაც მონაწილეობა პირველი და მეორე ბუნდესლიგის კლუბებმა მიიღეს. საქმე ეხებოდა სპეციალური სისტემის დანერგვას, რომელიც ბურთის მიერ ხაზის გადაკვეთას და გოლს ავტომატურად დააფიქსირებს. ეს თემა გერმანიაში განსაკუთრებით აქტუალური „ლევერკუზენისა" და „ჰოფენჰაიმის" მატჩში ჩათვლილი კურიოზული გოლის მერე გახდა, როდესაც **შტეფან კისლინგის** დარტყმული კარში გვერდიდან, გახეული ბადიდან ამოჩნდა. თუმცა იმისთვის, რომ ცვლილება ძალაში შესულიყო, ხმების 2/3 იყო საჭირო, მაგრამ ამდენმა გუნდმა თანხმობა არ განაცხადა. იდეა მეორე ბუნდესლიგის გუნდებმა არ მოიწონეს (18-დან 3) და ეს გადამწყვეტი გამოდგა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო


ირაკლი უზნაძე

# გოგოჭურის გაბრწყინება
## უზნაძე გამოსვლით კმაყოფილია

მოგეხსენებათ, ამ უქმეებზე საქართველომ პირველად უმასპინძლა ძიუდოისტთა „დიდ პრიზს", რომელიც საქართველოს ნაკრებმა 9 მედლით და გუნდური გამარჯვებით დაასრულა. ეს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო, რადგან დიდწილად მისი შედეგები განსაზღვრავდა ევროპის პირველობაზე წასაყვან შემადგენლობას. ბუნებრივია, ყველა კითხვას ეს ერთი შეჯიბრება ვერ მოაგვარებდა და მომავალ უქმეებზე ჩვენი გუნდი უკვე სამსუნში იასპარეზებს ანალოგიურ შეჯიბრებაზე. თბილისის ტურნირის დასრულების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ვაჟთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ირაკლი უზნაძეს.**

**- როგორ აფასებთ თქვენი შეგირდების გამოსვლას, რამდენად გაგიმართლეს იმედები?**

- ამ დონის ტურნირი საქართველოში პირველად ტარდებოდა და ორმაგად სასიხარულოა, რომ გუნდმა გაამართლა იმედები. ასეთ შეჯიბრებაში 4 ოქროს მოპოვება ძალიან რთულია. აქედან გამომდინარე, გუნდის გამოსვლას წარმატებულად ვაფასებ. ვინმეს გამოყოფა რთულია, მაგრამ იყო წონები, სადაც სპორტსმენები უფრო მობილიზებულნი იყვნენ თავიანთი მონდომებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე. ასეთი წონა იყო, მაგალითად, 73 კილოგრამი, სადაც კონკურენცია პიკს აღწევს. აქედან გამომდინარე, ყველა სპორტსმენი მობილიზებული იყო, რაც შედეგზეც აისახა. მინდა, ჭრიკიშვილის დამაჯერებელი გამოსვლაც გამოვყო, გოგოჭურის გამობრწყინება და ადამ ოქრუაშვილის დაგვირგვინება.

**- გოგოჭურის გამობრწყინებაო, ბრძანეთ. არ ელოდით მისგან ასეთ კარგ ჭიდაობას?**

- გოგოჭური წლის დასაწყისიდანვე ავლენდა იმ პოტენციალს, რაც აქ დააგვირგვინა. მას გამოცდილება საკმარისი აქვს, მაგრამ ამ დონეზე, ასე პროფესიულად ჭიდაობა მაინც ძნელია. აქამდე მასთან რაღაც კითხვის ნიშნები ისევ ჩნდებოდა, მაგრამ ახლა დაამტკიცა, რომ მზადაა დიდი სპორტისთვის. მან არა მარტო დენისოვი, სხვებიც გააჩერა, ხოლო ასეთი უმნეო დენისოვი ბევრი არ მინახავს.

**- ისეთი წონებიც იქნებოდა, სადაც მოსალოდნელზე ნაკლები შედეგი მიიღეთ...**

- ერთადერთი, 60 კილოგრამში ველოდით ამირან პაპინაშვილისგან მეტს, მაგრამ ვერ იასპარეზა სათანადო დონეზე. თუმცა არა უშავს – იმედია, ის პიკს ევროპის ჩემპიონატზე მიაღწევს და შედეგს აჩვენებს.

**- ახალგაზრდებზე რას იტყვით? მათი ნაწილი საკმაოდ კარგად გამოვიდა.**

- ახალგაზრდები ჯერ კიდევ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ გამოიკვეთნენ. ისინი კარგად ჩაერთნენ გუნდის იმ მოსამზადებელ ციკლში, ნოემბრის შემდეგ რომ დაიგეგმა და გავიარეთ. მას შემდეგ 3 შეკრება გვქონდა, ამდენივე ტურნირი გავიარეთ, რაც მათ უნაკლოდ გაიარეს. მონდომება არ აკლიათ და, იმედია, ღირსეულად დაიმკვიდრებენ ადგილს ნაკრებში.

**- ნაკრების უახლოეს მოსამზადებელ გეგმაზეც ვთქვათ...**

- კვირის ბოლოს სამსუნში მივდივართ, სადაც „დიდ პრიზზე" ვიჭიდავებთ. იქ საბოლოოდ ჩამოვაყალიბებთ გუნდს, რამდენიმე წონის საკითხი ჯერ ისევ გადასაწყვეტია. იმის შემდეგ მივდივართ უნგრეთში ერთკვირიან შეკრებაზე, მერე დავბრუნდებით საქართველოში და დასკვნით ეტაპს აქ ჩავატარებთ. საფრანგეთში, ევროპის პირველობაზეც აქედან გავემგზავრებით.

**- საევროპოდ უკვე შერჩეულ ხალხს ხომ არ დააკონკრეტებთ?**

- ჯერ არ მინდა დასახელება. მართალია, ბევრი უკვე ცნობილია, მაგრამ რამდენიმე წონის მონაწილე ისევ გასარკვევია, მეორე ნომრებზეც ბოლომდე არ ვართ ჩამოყალიბებულნი და მირჩევნია, როცა ყველაფერი გაირკვევა, გუნდი ერთიანად დავასახელო.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი
### თბილისის „დიდი პრიზი".
### ვაჟები

**60 კგ.** 1. ორხან საფაროვი (აზერბაიჯანი); 2. იერკებულან კოსაევი (ყაზახეთი); 3. არსენ გალსტიანი (რუსეთი), **ლუხუმ ჩხვიმიანი; 5. ამირან პაპინაშვილი (ორივე – საქართველო).**

**66 კგ.** 1. ნიჯატ შიხალიზადა (აზერბაიჯანი): 2. გიორგი ზანთარაია (უკრაინა); 3. ბატგერელ ბატცეცეგი (მონღოლეთი), ალიმ გადანოვი (რუსეთი); **7. შალვა ქარდავა, ტრისტან ფეიქრიშვილი (ორივე – საქართველო).**

**73 კგ. 1. ნუგზარ ტატალაშვილი; 2. ლაშა შავდათუაშვილი; 3. ზებედა რეხვიაშვილი (სამივე – საქართველო)**, მუსა მოგუშკოვი (რუსეთი).

**81 კგ. 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (საქართველო)**; 2. ტრევის სტივენსი (აშშ); **3. უშანგი მარგიანი (საქართველო)**, ასაფ ჩენი (ისრაელი).

**90 კგ. 1. ზვიად გოგოჭური (საქართველო)**; 2. ვალტერ ფაკენტი (იტალია); 3. ვადიმ სინიავსკი (უკრაინა), კირილ დენისოვი (რუსეთი); **5. პაატა ლვინიაშვილი (საქართველო).**

**100 კგ.** 1. არტემ ბლოშენკო (უკრაინა); 2. ივან რემარენკო (არაბეთის გაერთიანებული საემიროები); 3. ელმარ გასიმოვი (აზერბაიჯანი), ჯავად მაჰჯოუბი (ირანი); **5. გურამ თუშიშვილი, დავით ლორიაშვილი (ორივე – საქართველო).**

**+100 კგ. 1. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)**; 2. ანტონ კრივობოკოვი (რუსეთი); 3. სტანისლავ ბონდარენკო (უკრაინა), **ლევან მატიაშვილი; 8. როსტომ ხახალეიშვილი (ორივე – საქართველო).**

### ქალები

**48 კგ.** 1. ნატალია კონდრატიევა (რუსეთი); 2. მარინა ჩერნიაკი (უკრაინა); 3. დილარა ლოკმანეკიმი (თურქეთი), ამელიე როსენეუ (ისრაელი).

**52 კგ.** 1. გილი კოენი (ისრაელი); 2. როსაბლა ფორცინიტი (იტალია); 3. ნატალია კუზუტინა (რუსეთი), ტატიანა ლევიცკა (უკრაინა).

**57 კგ.** 1. ირინა ზაბლუდინა (რუსეთი); 2. ჯოვანა როგიჩი (სერბეთი); 3. კიფაიატ გასიმოვა (აზერბაიჯანი), შუშანა ჰევონდიანი (უკრაინა).

**63 კგ.** 1. ედვიგ გვენდი (იტალია); 2. იარდინ გერბი (ისრაელი); 3. ნინა მილოშევიჩი (სლოვენია), პარი სურაკატოვა (რუსეთი); **7. შორენა შარაძე (საქართველო).**

**70 კგ.** 1. ბარბარა მატიჩი (ხორვატია); 2. ეკატერინა დენისენკოვა; 3. ირინა გაზიევა (ორივე – რუსეთი), ლიორ ვილდიკანი (ისრაელი).

**78 კგ.** 1. ასუნტა გალეონე (იტალია); 2. ვიქტორია თურქსი (უკრაინა); 3. ივანა მარანიჩი, ბრიგიტა მატიჩი (ორივე – ხორვატია).

**+78 კგ.** 1. გულსაჰ კოცათურქი (თურქეთი); 2. სანდრა იაბლონსკიტე (ლიტვა); 3. ქსენია ჩიბისოვა, მარია შეკეროვა (ორივე – რუსეთი).

# თურქული შემადგენლობაც დაასახელეს

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 28-30 მარტს სამსუნში „დიდ პრიზზე" იასპარეზებს. **ლაშა გიუნაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი** (ორივე – 60), **თორნიკე თათარაშვილი, მინდია ლილუაშვილი** (66), **ზებედა რეხვიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი** (73), **უშანგი მარგიანი** (81), **ბექა ღვინიაშვილი** (90), **გურამ თუშიშვილი, იოსებ მსხალაძე** (ორივე - 100), **ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი** (+100) – ასეთია უზნაძის რჩეულთა სია.

უზნაძისთვის ახლა მთავარი საზრუნავი მეორე ნომრების გარკვევაა, თორემ ლიდერები ყველა წონაში, სავარაუდოდ, გამოვლენილია. ვფიქრობთ, ამ მხრივ გამონაკლისი 100 კილოგრამია, სადაც ორი ფალავანი მიჰყავს – თუშიშვილმა და მსხალაძემ თბილისის ტურნირზე თითქმის ერთნაირი შედეგი აჩვენეს, მეხუთეზე გავიდნენ. სავარაუდოდ, უპირატესობა იმას მიენიჭება, ვინც სამსუნში უკეთ გამოვა. უზნაძე არ ამხელს, ვინ დაიბევა ადგილი ნაკრებში, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ რამდენიმე ლიდერი სამსუნში არ მოჰყავს, მათი გამოცნობა არაა ძნელი. **ამირან პაპინაშვილი** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (ორივე – 90) – სავარაუდოდ, ესენი ნამდვილად იასპარეზებენ 24-27 აპრილს ფრანგულ მონპელიეში, კონტინენტის პირველობაზე. თუმცა ლიპარტელიანზე თავს ვერ დავდებთ, რადგან თბილისში არ უასპარეზია. სავარაუდოდ, არც პაპინაშვილს დაუდებს კვანტს შიდა შეჯიბრებაზე წარუმატებლობა. თურქეთში ოქრუაშვილიც მიდის, თუმცა მაინც გვგონია მონპელიეში წამსვლელი – სავარაუდოდ, ისიც და მატიაშვილიც უზნაძეს ახლა სატურნირო პრაქტიკისთვის მიჰყავს. შეიძლება ითქვას, ეს მათთვის სასტარტო შეჯიბრება იქნება იმის მიუხედავად, დადგება თუ არა ორივე ევროპაზე. ამავე სიაში გვგონია ღვინიაშვილიც და მჩატე წონების ახალგაზრდებიც – არა გვგონია, მათ ამ ეტაპზე ეროვნულში მოხვედრის დიდი შანსი ჰქონდეთ, მაგრამ გამოიწვრთნებიან ანუ მწვრთნელი სამომავლოდ იხედება. თუმცა მჩატე წონების ოთხეულიდან ჩხვიმიანი გამონაკლისია – მან ახლაც თუ გამოიჩინა თავი, ალბათ, ნაკრებშიც დადგება.

საინტერესოა 73-ის დუეტიც – ვფიქრობთ, მწვრთნელი რეხვიაშვილს კიდევ აძლევს შანსს და სრულიად სამართლიანადაც. ისევ გავიმეორებთ გუშინ დაწერილს – საცოდაობაა, ასეთი შესაძლებლობების სპორტსმენი სახლში დატოვო. თავის მხრივ, შეჯიბრება ახლა ჰაერივით სჭირდება ოლიმპიურ ჩემპიონ შავდათუაშვილსაც – რეაბილიტაციის, ახალ წონაში დამკვიდრება-ადაპტაციის პერიოდი სწორედ ასე ჭიდაობა-ტურნირებში უნდა გადალახოს, სწორედ ასე უნდა „მოვიდეს" ხელახლა დიდ სპორტში. ნუ დაგვავიწყდება, რომ მან მხოლოდ წონა კი არ შეიცვალა, არამედ ოპერაციებიც გაიკეთა, ეს კი ადაპტაციას ორმაგად აძნელებს.

შესაძლოა, სამსუნში ჩვენგან გოგოებიც გამოვიდნენ, ოღონდ საკუთარი ხარჯით და ისიც აჭარის წარმომადგენლები, რადგან ფედერაციამ აქცენტი ახალგაზრდებზე გადაიტანა და უფროსებიდან ამ ეტაპზე არავის აფინანსებს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ლიდერებს მიუახლოვდა

კოლკატაში (ინდოეთი) გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. 6 ტურის შემდეგ **ლევან ფანცულაია** ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ გუშინ მათთან ქულებით გათანაბრების შანსი გაუშვა ხელიდან — შავი ფიგურებით ოლივერ ბარბოსასთან (ფილიპინები) დამარცხდა. სამაგიეროდ, მორიგი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში **მიხეილ მჭედლიშვილმა**, რომელმაც შავებით ალ-ბაკირ აბდულას (ბანგლადეში) აჯობა. ლიდერები — აბჯით კუნტე და სანტოშ ვიდითი (ორივე-ინდოეთი) დაზავდნენ. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ კონსტანტინ ლანდა (რუსეთი) და ჩეკრავართი დიპენი (ინდოეთი), ზაურ რაჰმანმა (ბანგლადეში) სერგეი ფედორჩუკს (უკრაინა) მოუგო.

შვიდი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით დაწინაურდა ოთხეული — კუნტე, ვიდითი, ბარბოსა, რაჰმანი. რვა მოჭადრაკეს, მათ შორის - მჭედლიშვილს, 5-5 ქულა აქვს, ფანცულაიას — 4,5 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ინტერესს იწვევს ვიდითი-ბარბოსას, რაჰმან-კუნტეს, მჭედლიშვილი-სეთურამანის (ინდოეთი), ფანცულაია-ნაიჯელ შორტის (ინგლისი) შეხვედრები.


მიხეილ მჭედლიშვილი

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# შაფათავა ძირითად ბადეში


სოფიო შაფათავა

თბილისელი **სოფიო შაფათავა** ჩოგბურთელ ქალთა საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) კვალიფიკაციაში ცდიდა ძალებს. როგორც გაუწყეთ, მან ზედიზედ ორი მეტოქე — უნგრელი რეკა-ლუკა იანი და იტალიელი ჯულია გატომონტიკონე დაამარცხა. გუშინ მათს გზას გაუყენა მესამე ნომრად განთესილი ლატვიელი დიანა მარცინკევიცა, რომელსაც ორ სეტში 6:2, 6:4 აჯობა და მთავარ ბადეში გააღწია.

წყვილებში შაფათავა გერმანელ კრისტიან შაკოვეცთან ერთად იასპარეზებს და სტარტზე ფრანგების — ჯული კოინისა და პაულინა პარმენტიერის დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

ანტალიის 10.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციოდან დაიწყო პაექრობა **სოფიო ქვაცაბაიამ.** პირველ წრეში სოფი არნუტის (საფრანგეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი — 6:3, 6:3, მერე ბულგარელი ჯულია ტერზისკა დაჯაბნა — 6:2, 6:4. მთავარ ბადეში მოსახვედრად ჰოლანდიელ ბიბიან შუუფს გაუწევს მეტოქეობას.

ანტალიის ტურნირის ძირითად ბადეში მერვე ნომრადაა განთესილი **ეკატერინე გორგოძე,** რომელიც სტარტზე ჩანტალ სკამლოვას (სლოვაკეთი) გამოცდის.

წყვილებში მეორე განთესვა აქვთ გორგოძესა და ქვაცაბაიას. პირველ წრეში მათი მეტოქე ასელ ჯუმამუხამბეტოვას (ყაზახეთი) და საბინა შაიდულინას (რუსეთი) ტანდემი იქნება.

■ ■ ■

ანტალიის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) რეიტინგფავორიტია **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** იგი პირველ წრეში კვალიფიკაციიდან ალზევებულ ალექსანდრ ვასილენკოს (რუსეთი) შეხვდება. წყვილებში ბასილაშვილი და იაჰორ იაციკი (ბელარუსი) პირველ ნომრად განთესილ მიჰალო კონეჩნისა (ჩეხეთი) და მაქსიმილიან ნეუჩრისტთან (ავსტრია) გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა

# ოცდამეორეზე

რუსეთის დედაქალაქში მოხმალავეთა საერთაშორისო ტურნირზე („მოსკოვის ხმალი") მხოლოდ ერთი ქართველი მოფარიკავე **სანდრო ბაზაძე** ცდიდა ძალებს. ჩვენებურმა შესანიშნავად იასპარეზა ჯგუფში, სადაც ზედიზედ დაამარცხა მატიას ვილაუ (ავსტრია, 5:3), პაველ გალუშკინი (რუსეთი, 5:2), დრაგოშ სირბუ (რუმინეთი, 5:4, ზაკერი ბრაუნი (აშშ, 5:0), დიმიტრიოს კაფატარიდისი (საბერძნეთი, 5:1), კენტა ტოკუნანი (იაპონია, 5:1) და პლეი ოფში გავიდა. იქ კი მხოლოდ ერთ მეტოქეს სძლია - ალი პაკდამანს (ირანი, 15:13), მეორე წრეში თავადაც წააგო გერმანელ მატიას საბოსთან (9:15) და 22-ე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. ტიბერიუ დოლნიჩეანუ (რუმინეთი), 2. ჰვან იუნგ კიმი (კორეა), 3. მატიას საბო და ბენიამინ რეშეტნიკოვი (რუსეთი).

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# პეგასი ლიდერია

სასპორტო კომპლექს "არენაში" დასრულდა 2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის აღმოსავლეთი ზონის მეორე ტური. ასპარეზობის ბოლო დღეს „ქარიშხალამ" „თელავი" დაამარცხა - 21:6, ხოლო „პეგასმა" „გორს" აჯობა - 35:19.

სატურნირო მდგომარეობა: „პეგასი"- 6 ქულა (3 თამაშიდან), „სამტრედია"- 4 (3), „ფოთი"- 4 (3), „გორი" - 4 (3), „ზუგდიდი"- 2 (2), „ქარიშხალა"- 2 (3), „ქუთაისი"- 0 (2), „თელავი"- 0 (3).

საქართველოს ჩემპიონი გამოვლინდება 15-18 აპრილს, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გუნდების საერთო ტური გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ძალოსნობა

# შვილები მამის კვალზე

გლდანის ოლიმპიური მზადების ეროვნულ ცენტრში ჭაბუკ ძალოსანთა საქართველოს პირველობა გაიმართა ორ ასაკში: 1997-1998 და 1999 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა შორის 8 რეგიონის 84 წარმომადგენლის მონაწილეობით. განსაკუთრებით 17-წლიანებში ზუგდიდელმა **გიორგი ჩხეიძემ** და ქუთაისელმა **დავით ხეცურიანმა** (ორივე — 100კგ) გამოიჩინეს თავი. მათი პაექრობა ჩხეიძის გამარჯვებით (332 კილოგრამით) დამთავრდა, არადა, აქამდე ხეცურიანი პირველობდა. ამჯერად იგი ორჭიდში 321 კილოგრამით დაკმაყოფილდა. შეიძლება თბილისელი **რევაზ დავითაძის** (69 კგ) გამოყოფაც. მან ორჭიდში 225 კილოს მოუყარა თავი. ბოლო ნახევარ წელიწადში საკუთარი მაჩვენებლები 25 კილოთი გაზარდა.

ამ შეჯიბრებაზე 15-წლიანებში გამოდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონის, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **გიორგი ასანიძის** ვაჟები — 11 წლის საბა და 13 წლის კახი, რომლებმაც, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.



საბა ასანიძე

**15-წლიანები**

**35 კგ.** 1. გოგიტა შარაშიძე (ხელვაჩაური, 71 კგ=30+41), 2. საბა ასანიძე (71=30+41), 3. მალხაზ ვარსემაშვილი (ორივე-თბილისი, 61=28+33).

**40 კგ.** 1. გურამ გიორბელიძე (124=46+58), 2. დავით ბენიძე (ორივე-ქუთაისი, 92=40+35), 3. მანუჩარ გოგოხია (ზუგდიდი, 88=38+50).

**45 კგ.** 1. ვეფხია თებიძე (119=53+66), 2. აჩიკო მალაყმაძე (ორივე-აჭარა, 115=53+62), 3. კახი ასანიძე (თბილისი, 113=48+65).

**50 კგ.** 1. ლომია თებიძე (135=60+75), 2. ნიკა ჯინჭარაძე (ორივე-აჭარა, 115=55+60), 3. ბონდო მესხი (საჩხერე, 105=45+60).

**56 კგ.** 1. ედუარდ კაკაბაძე (ქუთაისი, 165=75+90), 2. ალკაზარ გოგიტიძე (აჭარა, 132=57+75), 3. საბა კერესელიძე (საჩხერე, 80=35+45).

**62 კგ.** 1. ირაკლი ჩხეიძე (ზუგდიდი, 203=93+110), 2. ბეგლარ სოლომონიძე (აჭარა, 190=90+100), 3. შალვა ჩუბინიძე (ქუთაისი, 145=65+80).

**69 კგ.** 1. ნოდარ კაკაბაძე (ქუთაისი, 207=95+112), 2. დავით ცირდავა (თბილისი, 150=70+80), 3. რამინ გელაშვილი (ხაშური, 146=66+80).

**77 კგ.** 1. თორნიკე კაპანაძე (საჩხერე, 98=43+55), 2. დავით ბახტაძე (აჭარა, 95=40+55), 3. ლევან კირვალიძე (თბილისი, 93=40+53).

**+77 კგ.** 1. გიორგი ჯიბლაძე (ქუთაისი, 160=70+90), 2. თორნიკე ტაბატაძე (ხაშური, 146=65+81), 3. გიორგი ბუზალაძე (საჩხერე, 137=60+77).

**გუნდური.** 1. აჭარა (112 ქულა), 2. ქუთაისი (109), 3. თბილისი (79).

**17-წლიანები**

**50 კგ.** 1. გიორგი დოკვაძე (საჩხერე, 145=65+80), 2. გია ნათიძე (აჭარა, 113=47+56), 3. ლევან ძნელაძე (ქუთაისი, 96=43+53).

**56 კგ.** 1. ირაკლი მოსიძე (აჭარა, 152=67+85), 2. გიორგი თოდაძე (საჩხერე, 149=65+84), 3. თემურ მჭედლიშვილი (ხაშური, 149=65+84).

**62 კგ.** 1. ირაკლი ფაჩულია (ქუთაისი, 167=75+92), 2. ელიზბარ მოსიძე (აჭარა, 140=60+80), 3. ლაშა ლომთაძე (ქუთაისი, 90=40+50).

**69 კგ.** 1. რეზო დავითაძე (თბილისი, 225= 102+123), 2. გიგი პატარაშვილი (თბილისი, ოლიმპიური ცენტრი, 200=90+110), 3. ზაურ რატია (ზუგდიდი, 170=75+95).

**77 კგ.** 1. გოგიტა კაკიაშვილი (აჭარა, ოლიმპიური ცენტრი, 215=95+120), 2. ილია კობაიძე (დუშეთი, 162=75+87), 3. თამაზ ჭანიძე (აჭარა, 67=27+40).

**85 კგ.** 1. თედო თოდაძე (საჩხერე, 200=90+110), 2. ვასილ მაღრაძე (თბილისი, ოლიმპიური ცენტრი, 136=61+75), 3. ვასილ დვალაშვილი (თბილისი, 127=55+72).

**94 კგ.** 1. მამუკა ალიშანიძე (აჭარა, 223=102+121), 2. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი, 210=93+117), 3. მირზა დავითაძე (აჭარა, 210=95+115).

**+94 კგ.** 1. გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი, 332=146+186), 2. დავით ხეცურიანი (321=145+176), 3. დიმიტრი კოხრეიძე (ორივე-ქუთაისი, 190=85+105).

**გუნდური.** 1. აჭარა (97), 2. ქუთაისი (86), 3. საჩხერე (46).

ვაჟა დანელია

80

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა“ და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასაწყისი „ლელო“ № 16-19,21-23,38-39,41-43,46-49,51-52,55

### ათენის ოლიმპიადა

ახლოვდებოდა ათენში 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. უკან დარჩა ჩვენი ლატაკი ქვეყნის ოლიმპიადისთვის მზადების უმძიმესი წლები. „ლელო“ ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ინფორმირებული ობიექტურად ყოფილიყო ჩვენი ოლიმპიელების თამაშებისთვის მზადებასათან დაკავშირებით. ცხადია, გულგატეხილობას არ ვნერგავდით, მაგრამ არც ის გვინდოდა, ცრუ მოლოდინი გასჩენოდა ხალხს. ჩვენი დამოკიდებულება დაახლოებით იგივე იყო, როგორი ნდობაც ამინდის პროგნოზთან დაკავშირებით არის ხოლმე. ამ დროისთვის სუვერენულ საქართველოს ჯერაც არ ჰყავდა ოლიმპიური ჩემპიონი. მოლოდინი ყოველთვის იყო და ახლა ათენის ოლიმპიადას უკავშირდებოდა ჩვენი გენეტიკური თვისება — იმედი და გაუნელებელი ოპტიმიზმი.

ათენში ალსრულდა ოცნება — 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ძიუდოს ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა 23 წლის ახმეტელი ფალავანი **ზურაბ ზვიადაური.** ოლიმპიური ჩემპიონის და მისი ქვეყნის პატივსაცემად ეროვნული ჰიმნის თანხლებით აფრიალებული ქართული დროშა მსოფლიომ პირველად ამ თამაშებზე იხილა.

ათენის ოლიმპიადის პერიპეტიებს „ლელო“ პირდაპირი რეპორტაჟებით აშუქებდა. ჩემთვის ეს ოლიმპიადა რიგით მეექვსე იყო, რომელზედაც, როგორც ჟურნალისტი, „ლელოდან“ ვიყავი აკრედიტებული.

საბერძნეთს ძალიან სურდა 1996 წლის თამაშებისთვის ემასპინძლა, მაგრამ არ გამოვიდა. სურდა იმიტომ, რომ იმ წელს საუკუნე სრულდებოდა ოლიმპიურ თამაშების აღორძინებიდან — პირველი თამაშები ბერძნების საპატივცემლოდ ათენში 1896 წელს ჩატარდა..

2004 წელს ათენში გამართულ რიგით 28-ე ოლიმპიადაში ქვეყნებისა და სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა მონაწილეობდა — შესაბამისად 201 და 11 099. საქართველო წარმოდგენილი იყო 33 სპორტსმენით. როგორც უკვე ვთქვით, ჩემპიონი გახდა **ზურაბ ზვიადაური,** კიდევ ერთი ოქროს მედალი კი ჩვენს ქვეყანას მოუტანა ძალოსანმა **გიორგი ასანიძემ.** ვერცხლის პრიზიორები გახდნენ **ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო) და **რამაზ ნოზაძე** (ბ/რ ჭიდაობა).



ზურაბ ზვიადაური

### პეკინი ომის ფონზე

ნამდვილად ვერ გეტყვით, უბრალოდ დამთხვევა იყო თუ წინასწარ ჩაფიქრებული და რალაც ფარული პოლიტიკური ავანტიურის გამოძახილი, მაგრამ ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ძმათა შორის ორ სისხლისმღვრელ ომში აღმოჩნდა ჩათრეული და ორივე ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს დაემთხვა. თანაც, ორივე აგვისტოთი თარიღდება. მე პირადად საომარი მოქმედებების შესახებ ამბავი ორივე შემთხვევაში 1992 წელს ჯერ ბარსელონაში და შემდეგ კი 2008 წელს პეკინში, ოლიმპიურ თამაშებზე შევიტყვე, სადაც ჟურნალისტის აკრედიტაციით მივლინებული „ლელოდან“ ვიყავი.

ცხინვალში საომარი მოქმედებები პეკინის ოლიმპიადის გახსნის დღეს დაიწყო, 2008 წლის 8 აგვისტოს. საომარი მოქმედებები რატომ მაინცდამაინც ოლიმპიადის დღეებში იწყებოდა, ოლიმპიზმის ფუძემდებლური პრინციპის — მშვიდობის და მეგობრობის საწინააღმდეგოდ?

პეკინში ლამის შარში გავეხვიეთ. თბილისი კატეგორიულად მოითხოვდა, დაუყონებლივ დაბრუნებულიყო სამშობლოში საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ქარტიის ქვეთავში „სოკ-ის როლი“ ვკითხულობთ: „წინააღუდგება სპორტისა და სპორტსმენების პოლიტიკური ან კომერციული მიზნებით გამოყენებას“. გასაგებია, რომ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, ოლიმპიადის დატოვების შემთხვევაში, სანქცია არ ასცდებოდა. კიდევ კარგი, რომ სეოკ-ის გენერალური მდივნის **ემზარ ზენაიშვილის,** ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის წევრების - **ვაჟა შუბლაძისა** და **ნანა ალექსანდრიას** ძალისხმევით თბილისმა გადაიფიქრა და უკან წაილო ემოციით მილებული გადაწყვეტილება.

ოლიმპიადის დღეებში იკრძალება საპროტესტო აქციების გამართვაც. ჩინეთში საქართველოს საელჩომ ამ საქმეში დახმარება საქართველოდან აკრედიტებულ ჟურნალისტებს გვთხოვა — ჩვენ უნდა გამოგვეხატა პროტესტი პეკინში რუსეთის საელჩოს წინ. მანქანით მოგვაკითხეს, მოგვცეს ინგლისურენოვანი ტრასფარანტები წარწერით „სტოპ რაშა“ და რუსეთის საელჩოსთან მოშორებით, მანქანა რომ არ დაფიქსირებულიყო, დაგვტოვეს.

დიდი ხანი არ იყო გასული, პოლიციამ რომ ალყა შემოგვარტყა და ასე გაგვარიდა იქაურობას. არც ვიცოდით, რას გვიპირებდნენ. ბოლოს გამოჩდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები. ისეთი „გაოცებულები“ იყვნენ და გამომეტყველებაც ისეთი ჰქონდათ, თითქოს მათ საერთოდ არაფერი იცოდნენ.

გადავრჩით, პოლიციამ საქართველოს საელჩოს ჩააბარა ჩვენი თავი.

პეკინში საქართველოს 35 ოლიმპიელიდან მედალს ექვსი დაეუფლა. ჩემპიონობა ხვდათ წილად **ირაკლი ცირეკიძეს** (ძიუდო), **რევაზ მინდორაშვილსა** (თავ. ჭიდაობა) და **მანუჩარ კვირკველიას** (ბ/რ ჭიდაობა); სამი მედალიც ბრინჯაოსი იყო — **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **გიორგი გოგშელიძე** და **ოთარ თუშიშვილი** (ორივე — თავ. ჭიდაობა).

### ურთიერთობა კოლეგებთან

„ლელოს“ ჟურნალისტებმა საფუძველი პირველებმა ჩაუყარეს თბილ ურთიერთობას კოლეგებთან. სხვა სფეროს ჟურნალისტებისგან განსხვავებით, ჩვენს თემში არ იყო შუღლი და შური, ჯიბრს ვერ დავარქმევ, მაგრამ ჯანსაღი კონკურენცია ნამდვილად არსებობდა და ერთმანეთის წარმატებითაც გულწრფელად ხარობდნენ. არ ვლაპარაკობ მხოლოდ პრესის წარმომადგენლებზე, მას შემდეგ, რაც ელექტრონულმა მედიამ ფეხი მყარად მოიკიდა, შესანიშნავი კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ტელევიზიის სპორტულ რედაქციასთან. არა მხოლოდ კონკრეტულ თემატურ გადაცემებში გვიწვევდნენ, საავტორო პროგრამებიც ჰქონდათ „ლელოს“ ჟურნალისტებს. მე პირადად 1960-იან წლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების სატელევიზიო გადაცემების ციკლი მიმყავდა. **თენგიზ გიორგაძემ** სულაც სატელევიზიო საჭადრაკო ჟურნალი „სამორინე“ ჩამოაყალიბა და ძალიან დიდხანსაც იყო მისი ავტორი და წამყვანი. **თამაზ ხომერიკი, გივი ჭელიძე, დავით ქლიბაძე** უნარიანად, სიახლის გამუდმებული ძიებით ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო ტელევიზიის სპორტულ რედაქციას. ბუნებრივია, რომ ტელევიზიამდე ახლო ურთიერთობა „ლელოს“ ჟურნალისტებს ჩამოუყალიბდათ საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციასთან, რომლის ლიდერები სხვადასხვა დროს იყვნენ მართლაც რომ თავისი საქმის გამორჩეული სპეციალისტები - **რევაზ ურუშაძე, გივი ჭელიძე, ლერი ჩანტლაძე, ვალერიან სულაკაური...** სხვადასხვა დროს რადიოში სპორტულ გადაცემათა რედაქციას ხელმძღვანელობდნენ **ნოდარ (აშხენ) გიორგობიანი, გიორგი გიგაური, არჩილ გოგელია, თამილა კახიძე...**

ხელბურთი ახალი დანერგილი იყო, როცა ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის დაკვეთით, სპორტის ამ სახეობის ხალხისთვის ახლოს გაცნობის მიზნით, პირველი გადაცემა მოვამზადეთ მე და **ჯამლეტ ხუხაშვილმა** კიროვის (ახლანდელი ვერის) პარკიდან. თანამშრომლობა თითქმის არასდროს შეწყვეტილა. ასე მხარში ვედექით ერთმანეთს.

„ლელოში“ გადადგა სპორტულ ჟურნალისტიკაში პირველი ნაბიჯები **ბიძინა ბარათაშვილმა.** თავად მას მოვუსმინოთ: „... ჩემი თანამშრომლობა ამ გაზეთთან იმით დაიწყო, რომ რამდენიმე შეცდომა ვიპოვე გაზეთში და წერილებს ვუგზავნიდი რედაქციას. ბოლოს მითხრეს, ან მოდი იმუშავე, ან დაგვანებე თავიო. ჩემი მეუღლის მამა, ნოდარ გუგუშვილი, ჩემი აზრით, უპირველესი ქართველი სპორტული ჟურნალისტი იყო, რომლისგანაც უამრავი რამ ვისწავლე, სამწუხაროდ, აღარ არის ცოცხალი. როცა ნანა შევირთე ცოლად, უფრო პროფესიულად დავიწყე თანამშრომლობა „ლელოსთან“ (ჟურნალი „რეიტინგი“, 2011).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ქართველი ლიბანში

# დაჯეჯილი ბეჯეპი


გიორგი ცინცაძე

ლიბანში გადაბარგების შემდეგ **გიორგი ცინცაძემ** პირველი მატჩი მოიგო. მისი „ჩამპვილის" მონინაალმდეგე „ბეჟეპი" იყო, რომელმაც, ადგილობრივი პუბლიკის მხარდაჭერის მიუხედავად, ვერაფერი დაუპირისპირა ჩამპვილელებს და 20 ქულის სხვაობით დამარცხდა - 51:71.

ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 36 წუთი ითამაშა, რა დროშიც 14 ქულა, 7 შედეგიანი გადაცემა, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. გიორგიმ 9 სამქულიანი და 2 საჯარიმო სტყორცნა, საიდანაც 2-2 გამოიყენა, რასაც 3 ორქულიანი მიამატა.

მატჩის მოგებაში დიდი წვლილი მიუძღვის „ჩამპვილის" თავდამსხმელ **ვლადან ვუკოსავლიევიჩს**, რომლის ანგარიშზეც 18 ქულა და 16 მოხსნაა.

ლიბანის ჩემპიონატში, 10 გუნდს შორის „ჩამპვილი" მერვე ადგილზეა. მხოლოდ ორი მოგებით ჩამორჩება მეექვსეადგილოსან „ჰომენეტმს", რომელსაც 6 მოგება უწერია.

25 მარტს ცინცაძისა და მწვრთნელი **გიორგიოს კეცელიდისის** გუნდი ლიგის აუტსაიდერ „ჰუპსს" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

● ფიგურული ციგურაობა


ანგელინა ტელეგინა, ოთარ ჯაფარიძე

# მხოლოდ მოცეკვავეთა იმედად

იაპონური საიტამა 26-30 მარტს ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 710.000 დოლარი. თითოეულ სახეობაში 12-12 პრიზი გაიცემა. პირველ-მეხუთე ადგილებზე გასული ქალები და მამაკაცები, შესაბამისად, 45.000-27.000-18.000-13.000 და 10.000 დოლარით, ხოლო წყვილები და მოცეკვავეები 67.000-40.500-27.000-19.000 და 15.000 დოლარით დაჯილდოვდებიან.

წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა **ელენე გედევანიშვილმა** 29-ე ადგილი დაიკავა და, ახალი დებულებით, ამომავალი მზის ქვეყანაში საასპარეზოდ სარეიტინგო ქულები უნდა მოეგროვებინა, რაც მან ევროპის ჩემპიონატსა და სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ შეძლო და ამჯერად მსოფლიოს მიღმა აღმოჩნდა. მოცეკვავეებმა - **ანგელინა ტელეგინამ** და **ოთარ ჯაფარიძემ** შარშან შემოდგომაზე კიევის სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვეს ჩემპიონატის საგზური. ისინი იაპონიაში 28 მარტს მოკლე, ხოლო 29 მარტს თავისუფალი პროგრამით მოსინჯავენ ძალებს.

**კალენდარი**

**26 მარტი.** წყვილები და ვაჟები მოკლე პროგრამით;

**27 მარტი.** წყვილები თავისუფალი და ქალები მოკლე პროგრამით;

**28 მარტი.** მოცეკვავეები მოკლე და ვაჟები თავისუფალი პროგრამით;

**29 მარტი.** მოცეკვავეები და ქალები თავისუფალი პროგრამით.

ვაჟა დანელია

● ქართველი NBA-ში

# მეფე მაინც მეფეა...

მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი გასვლა გამოუვიდა **ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი ბაქსს" საკრამენტოში, სადაც „კინგსთან" პირველივე მეოთხედში 16:39 დათმო და ვერც დარჩენილ დროში მოახერხა მეტოქის შეჩერება. საბოლოოდ 124:107 „მეფეების" სასარგებლოდ.

კარგი მონადირესავით ისროდა მასპინძელთა მეფარე **დემარკუს კაზინსი**, რომელიც ქულებს უმთავრესად საშუალო დისტანციიდან ტყორცნებით აგროვებდა და პირველ ტაიმში 10-დან 9 ორქულიანი ჰქონდა გამოყენებული. მან საბოლოოდ 32 ქულას მოუყარა თავი, ხოლო გამთამაშებელმა **აიზია ტომასმა** 30 ჩააგდო.

ზაზა ფაჩულიას მონაგარი ასეთი იყო: 20 წუთი, 8 ქულა (8-დან 4 ორქულიანი) და 3 მოხსნა. მილუოკელებს დაუბრუნდათ ტრავმირებული **ოჯეი მეიო**, რომელიც 21 ქულამდე ავიდა.

„ბაქსს" 14 მოგების წილ 60 წაგება აქვს. იგი მომდევნო შეხვედრას დღეს გამთენიისას, ლოს ანჯელესში „კლიპერსთან" გამართავდა.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველები ესპანეთში

# სანიკიძე ბურჯანაძეს ესტუმრება

გუშინდელ „ლელოში" ნამყვან ლიგებში მოასპარეზე ქართველებზე თხრობისას, მოგახსენეთ, რომ **ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსამ" სტუმრად „ბრუისა" 74:71 დაამარცხა. ისიც გემახსოვრებათ, რომ ვიქტორმა 6 ქულა ჩააგდო. თუმცა ადგილი გაზეთში არ გვაძლევდა საშუალებას, ყურადღება გაგვემახვილებინა სატურნირო მდგომარეობაზე.

„სარაგოსას" 15 მოგება აქვს (24 ტურის შემდეგ) და ესპანეთის ჩემპიონატში მეხუთე პოზიციაზეა, ერთი გამარჯვებით ჩამორჩება „გრან კანარიას", სამით - „ბარსელონას". არაგონელები რეგულარულის ბოლოს კატალონიელებს ალბათ, ვერ გაასწრებენ, მაგრამ ნამდვილად კარგი იქნება, საბოლოოდ მეოთხეზე თუ აინაცვლებენ და მეოთხედფინალში მოედნის უპირატესობას დაიბევებენ. თუმცა რეგულარულის დასრულებამდე 10 ტურით ადრე პლეი ოფში გუნდების განაწილებაზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია. „სარაგოსას" უახლოეს ტურში სერიოზული ბრძოლა მოუწევს - 29 მარტს **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლს" სტუმრად ეთამაშება. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება არაგონში სევილიელების გამარჯვებით დასრულდა.

ბოლო ტურში კი „კახასოლმა" ბასკეთში ვერაფერი მოუხერხა „ლაბორალს", რომელმაც ევროლიგაზე **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსთან" წაგების გამო რეაბილიტაცია სწორედ სევილიელებთან სცადა და „კახასოლი" 101:65 დაამარცხა.

ბასკეთში ბურჯანაძემ 7 წუთი ითამაშა, ერთი ორქულიანი მიზანში მოარტყა და 2 ქულას ამდენივე მოხსნა „შეაწება".

12-12 მოგება-წაგებით „კახასოლიც" საპლეიოფო ზონაში მერვე ადგილზეა.

ვაჟა სიმონიშვილი


ბექა ბურჯანაძე (შუაში)

● ქართველი ამერიკაში

# თორმეტიანი დაბრუნება და ნახევარფინალი


დუდა სანაძე (№10)

კოლეჯების ლიგაში მოასპარეზე **დუდა სანაძეს** ტრავმა ჰქონდა და „სან დიეგოს" მიერ ჩატარებული ბოლო მატჩების გამოტოვებამ მოუწია. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ არის და დუდა მოედანს დაუბრუნდა „ჰიუსტონ სტეიტთან" მატჩში, რომელიც სანდიეგოელების გამარჯვებით დასრულდა - 77:72.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო მატჩში და მოედანზე მთლიანობაში 18 წუთი გაატარა. სანაძემ 2-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ჯამში დუდას 12 ქულა და 2 მოხსნა დაუგროვდა. ბომბარდირი **კრისტოფერ ანდერსონი** გახდა 19 ქულით, **ჯონი დიმ** კი სანდიეგოელებს 15 ქულა მიაშველა.

შეგახსენებთ, რომ „სან დიეგომ" ამერიკის კოლეჯების ლიგაზე ასპარეზობა უკვე დაასრულა და ამჟამად მონაწილეობს შეჯიბრებაში, რომლის სახელწოდებაა „კოლეჯინსაიდერი". „ჰიუსტონ სტეიტთან" სანაძის გუნდმა მეოთხედფინალი მოიგო, ნახევარფინალში კი 26 მარტს „პასიფიკს" დაეჭიდება.

ვაჟა სიმონიშვილი

● სამთო თხილამურები

GSF საქართველოს სათხილამურო ფედერაცია

# გუდაურში საქართველოს თასზე

გუდაურში სამ დღეს გრძელდებოდა სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი სლალომსა და გიგანტურ სლალომში. შეჯიბრებაში სამი ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. ასპარეზობის პირველი დღის (ვატო ფიფიას სახელობის) შედეგები უკვე გაუწყეთ, ახლა კი მომდევნო ორი დღის (აბუს სახელობისა) გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობთ:

**პირველი დღე**

**გოგონები. 2000-2001 წლებში დაბადებულნი.** 1. თამარ ბარბარიანი (02:02,25), 2. ქეთი მიქაბერიძე (ორივე-ბაკურიანი, 02:12,28), 3. რიმა ჯორბენაძე (აჭარა, 02:47,97). **1998-1999 წ.წ.** 1. ზეინაბ ჯორბენაძე (02:24,86), 2. დიანა ჯორბენაძე (ორივე-აჭარა, 02:56,77). **1997 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 01:57,49), 2. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური, 02:14,72), 3. ნატა მგელაძე (გუდაური, 02:21,22).

**ვაჟები. 2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 01:52,13), 2. დათო ნაზლაიძე (გუდაური, 01:57,62), 3. სანდრო ყორყოლიანი (სვანეთი, 01:57,79). **1998-1999 წ.წ.** 1. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 01:55,49), 2. გოჩა ჯორბენაძე (02:00,63), 3. ლაშა მეხეშიძე (ორივე-აჭარა, 02:07,40), **1997 წ.** 1. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 01:45,43), 2. დავით სეთურიძე (გუდაური, 01:55,61), 3. თენგო მეხეშიძე (აჭარა, 02:02,31).

**მეორე დღე**

**გოგონები. 2000-2001 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 01:01,14), 2. კატო გოცირიძე (გუდაური, 01:06,48), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბაკურიანი, 01:06,71), **1998-1999 წ.წ.** 1. სალომე კვიციანი (02:03,75), 2. მარიამ ჭკადუა (ორივე-სვანეთი, 02:09,28), 3. ზეინაბ ჯორბენაძე (აჭარა, 02:26,39). **1997 წ.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 02:02,89), 2. ელზა ჭალალიძე (აჭარა, 02:21,64), 3. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური, 02:22,46).

**ვაჟები. 2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (01:01,02), 2. ლევან ბოგიშვილი (01:02,82),

3. გიორგი ქურდოლლიანი (სამივე-ბაკურიანი, 01:02,92), **1998-1999 წ.წ.** 1. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 02:00,49), 2. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური, 02:02,24), 3. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 02:05,85). **1997 წ.** 1. სოსლან ბაკაევი (01:51,83), 2. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 01:57,39), 3. დავით სეთურიძე (გუდაური, 02:06,12).

ვაჟა დანელია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ლიდერები არ იცვლებიან, ყველა ჩვენიანია

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატი ევროპული სარაგბო ბატალიებით გამოწვეული შესვენების შემდეგ 22-ე ტურის მატჩებით განახლდა. ელიტარულ, პირველ დივიზიონში პლეი ოფში მოხვედრის შანსს ერთბაშად ათი გუნდი ინარჩუნებს. ამათგან ცხრა ქართველი მორაგბეებისაა.


ბურთით კარლენ ასეიშვილი

გათამაშების სატურნირო ცხრილს სათავეში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" ჩაუდგა, რომელმაც პირველი საფეხური **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს" დაათმობინა. „ვულკანებმა" ტულონელებს საკუთარ მოედანზე უმასპინძლეს და 22:16 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და მე-18 წუთისთვის 13:0 იგებდნენ.

„ტულონმა" თამაშის გათანაბრება ნელ-ნელა მინც მოახერხა და მე-60 წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა - 16:16. თუმცა, დასკვნით ათ წუთში ისევ კლერმონელებმა ივარგეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მიითვალეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს, ჩილაჩავა თადარიგში გახლდათ, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა, მიქაუტაძე განაცხადში არ იყო.

„ტულონის" მსგავსად 61 ქულა აქვს, მაგრამ მესამე ადგილზეა **მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც სტუმრად შეძლო ერთ-ერთი აუტსაიდერისა და დივიზიონის დებიუტანტ „ოიონაქსის" დამარცხება - 22:8. პირველი ტაიმი მონპელიელებმა სამი ქულის სხვაობით 6:3 მოიგეს. მეტოქის საბოლოოდ გატეხვა კი მეორე ტაიმის საწყის 20 წუთში მოახერხეს.

ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

„მონპელიეს" ერთი ქულით ჩამორჩება საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც შინ დამაჯერებლად სძლია **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივს" - 38:6.

ანგარიშში დიდი სხვაობის მიუხედავად, თამაში ერთობ ნერვიული და სხვადასხვა ფერის ბარათების ფრიალით უხვი გამოდგა. მატჩის არბიტრმა მორაგბეებს სამი წითელი და ამდენივე ყვითელი ბარათი უჩვენა. მათ შორის ერთი ფეიქრიშვილს ერგო, რომელიც სინბინში 26-ე წუთზე გაუშვეს. ჩვენებური თამაშში მე-3 წუთზე ტრავმირებული თანაგუნდელის ნაცვლად ჩაერთო. ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, შველიძეს არ უთამაშია.

დრამატულად განვითარდა მოვლენები **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს" საშინაო დაპირისპირებაში **ჯაბა ბრეგვაძის** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზთან". პარიზელებმა ასპარეზობა ჰიპერაქტიურად დაიწყეს და 32-ე წუთისთვის 27:5 იგებდნენ.

მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ დროში „სტად ფრანსემ" მონაგარს ვეღარაფერი შემატა. „ტულუზი" კი, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, შესანიშნავად ათამაშდა და მატჩის ბოლო წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეძლო - 27:27.

ბრეგვაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, კაკოვინი და ქუბრიაშვილი ტრავმირებულნი არიან, ჟვანიას არ უთამაშია.

მეექვსეადგილოსან „ტულუზს" ერთი ქულით ჩამორჩება **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი", რომელმაც სტუმრად მოუგო „გრენობლს" - 26:13. ხინჩაგიშვილი თადარიგში იყო და მოედანზე 64-ე წუთიდან გამოჩნდა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოც", რომელმაც სტუმრად დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი, ბასკური „ბაიონი" - 23:22. შერკინების ქართველ ბურჯს არ უთამაშია.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანმა" შინ მოუგო გასავარდნად განწირულ ბასკურ „ბიარიცს" - 16:10. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს. ფრანგულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამ ქართველი მორაგბით ფრანგული რაგბის გრანდი, „ტულუზი" დაინტერესდა.

**I დივიზიონი**

**XXII ტური**

**კლერმონი-ტულონი 22:16, სტად ფრანსე-ტულუზი 27:27, კასტრი-ბრივი 38:6, პერპინიანი-ბიარიცი 16:10, ბაიონი-ბორდო 22:23, ოიონაქსი-მონპელიე 8:22, გრენობლი-მეტრო რასინგი 13:26.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კლერმონი - 64 ქულა, 2. ტულონი - 61, 3. მონპელიე - 61, 4. კასტრი - 60, 5. სტად ფრანსე - 58, 6. ტულუზი - 57, 7. მეტრო რასინგი - 56, 8. ბორდო - 54, 9. ბრივი - 51, 10. გრენობლი - 50, 11. პერპინიანი - 46, 12. ბაიონი - 44, 13. ოიონაქსი - 39, 14. ბიარიცი - 24.**

**XXIII ტური**

**ბრივი-კლერმონი, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი, მონპელიე-ბაიონი, ბიარიცი-კასტრი, ოიონაქსი-გრენობლი, ბორდო-პერპინიანი, ტულონი-ტულუზი.**

მეორე დივიზიონში დამაჯერებლად ლიდერობს **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი", რომელმაც 93 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარ „ლა როშელს" 13 ქულით უსწრებს. 24-ე ტურში ლიონელებმა შინ დიდი ანგარიშით დაამარცხეს **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი" - 45:16. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელმა" კი შინ მოუგო **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიეს" - 27:7. ლანგედოკელები 48 ქულით მე-11 ადგილზე არიან და დივიზიონიდან გავარდნა არ ემუქრებათ. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლას განაგრძობს **ირაკლი მირცხულავას, გიორგი ჩხაიძისა და გიორგი ნემსაძის** „ტარბი", რომელმაც შინ მოუგო უშუალო კონკურენტ „ნარბონს" - 19:12. მირცხულავა ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მოედანზე ჩხაიძე და ნემსაძე.

**გიორგი თეთრაშვილის, ალექსანდრე თოდუას, ხვიჩა ბუჯიაშვილისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბიმ" შინ დაამარცხა „დაქსი" 36:5 და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. თეთრაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, სხვა ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**გურამ კავთიძის, თამაზ მჭედლიძისა** და **მერაბ შარიქაძის** „ბურგ ან ბრესი" სტუმრად დამარცხდა „მონ დე მარსანთან" - 6:29. კავთიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს.

**XXIV ტური**

**ლიონი-ორიაკი 45:16, ლა როშელი-ბეზიე 27:7, მონ დე მარსანი-ბურგ ან ბრესი 29:6, პო-ბურგუენი 33:20, ოში-კოლომიე 28:28, ალბი-დაქსი 36:5, კარკასონი-აჟენი 12:26, ტარბი-ნარბონი 19:12.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლიონი - 93 ქულა, 2. ლა როშელი - 80, 3. აჟენი - 75, 4. პო - 73, 5. ნარბონი - 72, 6. ტარბი - 66, 7. კოლომიე - 55, 8. ბურგუენი - 55, 9. ორიაკი - 53, 10. მონ დე მარსანი - 52, 11. ბეზიე - 48, 12. დაქსი - 48, 13. ალბი - 45, 14. ბურგ ან ბრესი - 32, 15. კარკასონი - 29, 16. ოში - 29.**

**XXV ტური**

**ნარბონი-ალბი, ბურგ ან ბრესი-ოში, დაქსი-კარკასონი, კოლომიე-ლა როშელი, ბეზიე-მონ დე მარსანი, ორიაკი-ტარბი, ბურგუენი-ლიონი, აჟენი-პო.**


გიორგი ჟღენტი (მარცხნივ)

ზე რაგბი


ბლუ ბულზის სალელოვე შეტევა

# ლურჯი ხარები ძალას იკრებს

**ზე რაგბის** გათამაშების მე-6 ტურში კონფერენციების ლიდერებიდან მხოლოდ კანბერას „ბრამბიზმა" გაიმარჯვა. ნელ-ნელა დაალაგა თამაში და ზედიზედ მესამედ მოიგო ყველაზე ტიტულოვანმა სამხრეთაფრიკულმა გუნდმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა".

ავსტრალიის კონფერენციაში, როგორც უკვე ვთქვით, ლიდერმა, კანბერას „ბრამბიზმა" მორიგი გამარჯვება მიითვალა. „გაუხედნავმა ცხენებმა" შინ დაამარცხეს სამხრეთ აფრიკის კონფერენციის წარმომადგენელი კეიპთაუნის „სტორმერზი" - 25:15. მასპინძელთა გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა გარემარბის **რობერტ კოლემანისა** და ცხრა ნომრის **ნიკოლას ვაითის** შესანიშნავმა თამაშმა. პირველმა ორი ლელო გაიტანა, მეორემ კი ორივე გარდასახა და ზედ ორი საჯარიმოც მიაყოლა.

„ბრამბიზს" კვალში უდგას სიდნეის „ვორათაზი", რომელმაც შინ მოუგო „მელბურნ რებლზს" - 32:8. სიდნეელთა რიგებში კვლავ შესანიშნავად გაისარჯა ფულბეკი **იზრაელ ფოლაუ**, რომელმაც სტუმრებს ორი ლელო გაუტანა.

კიდევ ერთმა ავსტრალიურმა კლუბმა, პერთის „ფორსმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში სძლია ახალი ზელანდიის კონფერენციის ლიდერს, ჰემილთონის „ჩიფსს" - 18:15. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩშიც ერთმა მოთამაშემ დუბლი გააკეთა. პერთელთაგან თავი მესამეხაზელმა **მეთ ჰოჯსონმა** გამოიჩინა.

**ავსტრალია**

**ვორათაზი-მელბურნ რებლზი 32:8, ბრამბიზი-სტორმერზი 25:15, ფორსი-ჩიფსი 18:15.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 17 ქულა, 2. ვორათაზი - 16, 3. ფორსი - 13, 4. რედსი - 10, 5. მელბურნ რებლზი - 6.**

**VII ტური**

**მელბურნ რებლზი-ბრამბიზი, რედსი-სტორმერზი.**

ახალი ზელანდიის კონფერენციაში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" მე-6 ტურში ისვენებდა. ლიდერის მარცხის შესახებ უკვე ვთქვით. მეორეადგილოსანმა ოქლენდის „ბლუზმა" კი შინ სამხრეთაფრიკულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზს" მოუგო - 40:30.

მასპინძლები 30-ე წუთისთვის საგრძნობლად დაწინაურდნენ - 30:13. თუმცა, ბლუმფონტეინელებმა ნელ-ნელა ანგარიშში სხვაობის შვიდ ქულამდე შემცირება შეძლეს და 67-ე წუთზე უკვე 30:37 აგებდნენ. თუმცა, ოქლენდელებმა დროულად მოახერხეს მობილიზება და მეტოქეს მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცეს. „ბლუზის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი **საიმონ ჰიკი** გახლდათ, რომელმაც ოთხი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა გაიტანა (20 ქულა).

წლევანდელ სეზონში შარშანდელზე უკეთ თამაშობს დანიდინის „ჰაილენდერზი", რომელმაც შინ დედაქალაქის, ველინგთონის „ჰარიკენზი" დაამარცხა - 35:31. მატჩი მგეზავების **ლიმა სოპოაგასა** და **ბოდენ ბარეტის** დუელად გადაიქცა. მასპინძელთა მგეზავმა და მთავარმა დამრტყმელმა სოპოაგამ შვიდი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (25 ქულა). ბარეტის ანგარიშზე კი ორი ლელო, ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმოა (26 ქულა). მართალია, დუელი ბარეტმა მოიგო, მაგრამ გამარჯვება სოპოაგას გუნდს დარჩა.

**ახალი ზელანდია**

**ჰაილენდერზი-ჰარიკენზი 35:31, ბლუზი-ჩიტაზი 40:30**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 14 ქულა, 2. ბლუზი - 12, 3. ჰაილენდერზი - 11, 4. კრუსეიდერზი - 8, 5. ჰარიკენზი - 7.**

**VII ტური**

**კრუსეიდერზი-ჰარიკენზი, ბლუზი-ჰაილენდერზი.**

როგორც უკვე ვთქვით, სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში ზედიზედ მესამე თამაში მოიგო პრეტორიის „ბლუ ბულზმა". „ლურჯმა ხარებმა" ამჯერად შინ დაამარცხეს კონფერენციის ლიდერი დურბანის „ნატალ შარქსი" - 23:19. გუნდის თამაში მნიშვნელოვნად გამოსწორდა პრეტორიელთა რიგებში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეორეხაზელის **ვიქტორ მეტფილდის** დაბრუნების შემდეგ. ისევ კარგად გაისარჯა მასპინძელთა მგეზავი **იაკუს პოთხიტერი**, რომელმაც ორი საჯარიმო, ერთი არეკნი და ორი გარდასახვა გაიტანა (13 ქულა).

ამავე კონფერენციაში იოჰანესბურგის „ლაიონზმა" შინ მოუგო ავსტრალიურ ბრისბენის „რედსს" - 23:20. მასპინძლებმა პირველი ტაიმი 6:20 წააგეს. თუმცა, შესვენების შემდეგ მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს.

**სამხრეთ აფრიკა**

**ლაიონზი-რედსი 23:20, ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი 23:19**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნატალ შარქსი - 19 ქულა, 2. ლაიონზი - 17, 3. ბლუ ბულზი - 14, 4. სტორმერზი - 5, 5. ჩიტაზი - 5.**

**VII ტური**

**ბლუ ბულზი-ჩიფსი, ნატალ შარქსი-ვორათაზი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



ვლადიმერ კლიჩკო

# კლიჩკოსთვის რიო გამოირიცხა

უკრაინელი სუპერმძიმეწონოსანი ვლადიმერ კლიჩკო ვერ შეძლებს მონაწილეობას რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე, რომელიც 2016 წელს გაიმართება.

*„ამჟამინდელი წესების თანახმად, კლიჩკოს ზაფხულის თამაშებში მონაწილეობის უფლება არ აქვს. მას შეეძლო განაცხადის შეტანა 2013 წლის ნოემბრამდე, მაგრამ ეს არ გააკეთა“*, - ამბობს გერმანიის კრივის ფედერაციის სპორტული დირექტორი **მიხაელ მიულერი**.

შეგახსენებთ, რომ კლიჩკომ არაერთხელ გამოთქვა რიოს ოლიმპიადაზე გამოსვლის სურვილი და თუ უკრაინის სახელით არ გამოუვიდოდა ჩანაფიქრის ასრულება, გერმანიის მოქალაქეობის მიღებასა და ამ ქვეყნის დროშით აპირებდა სამოყვარულო რინგზე დაბრუნებას.

# ჰეი დასასრულს მიაუახლოვდა



დევიდ ჰეი

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა, სკანდალურად ცნობილმა ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** აღიარა, რომ მისი პროფესიული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. როგორც ცნობილია, ბოლოს ჰეი რინგზე 2012 წლის შუაში ავიდა, როცა შესანიშნავ სტილში გაუსწორდა დერეკ ჩისორას. მას შემდეგ, ბრიტანელმა ორჯერ დანიშნა ბრძოლა **ტაისონ ფიურისთან**, მაგრამ ყოველ ჯერზე შეხვედრა დევიდის ტრავმის გამო გაუქმდა. 2014 წლის დასაწყისში ჰეიმ მხარზე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ტკივილი დღემდე აწუხებს.

*„ძალიან დიდი სურვილი მაქვს გავაგრძელო ეს საქმე, მაგრამ ჩემი სხეული საპირისპიროს მეუბნება*, - ამბობს ჰეი. - *საკუთარ ორგანიზმს უნდა მოუსმინო. დღეს ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ რვა აზიდვაზე მეტს ვერ ვაკეთებ. საერთო ჯამში, კიდევ რამდენიმე თვე მჭირდება იმისთვის, რომ ელემენტარული სავარჯიშო პროცესი დავიწყო. ასეთ პირობებში მაღალი დონის ბრძოლაზე ლაპარაკიც ზედმეტია“*.

# ორი ბრძოლა ხუთ დღეში

მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **შენონ ბრიგსი** ხუთი დღის განმავლობაში ორი ბრძოლის ჩატარებას აპირებს. შეხვედრები 6 და 11 აპრილს უნდა გაიმართოს ამერიკის ქალაქებში - როლისა და ტამპაში. ამის შესახებ იტყობინება ვებგვერდი Fightnews.com. 42 წლის ამერიკელის მეტოქეთა ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

ამ რამდენიმე დღის წინ, ბრიგსი სკანდალში გაეხვა - 20 მარტს, ის **ვლადიმერ კლიჩკოს** ვარჯიშზე მივიდა და ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა უკრაინელ მოკრივეს, შემდეგ კი სპორტული ფეხსაცმელი ესროლა მას. თუმცა უმცროსი კლიჩკო პროვოკაციას არ წამოეგო. ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბრიგსმა რინგზე დაბრუნების შესახებ გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ შენონს პროფესიულ რინგზე 2010 წლის 16 ოქტომბრის შემდეგ არ უჩხუბია, როცა ქულებით დამარცხდა ვლადიმერ კლიჩკოსთან.

ბრიგსი 2006-07 წლებში ფლობდა საჩემპიონო ტიტულს WBO-ის ვერსიით. სულ მას პროფესიონალებში ჩატარებული აქვს 59 ბრძოლა და მოგებული აქვს 51 (45 - ნოკაუტით).



შენონ ბრიგსი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დაბრუნება დალასში

რეგულარული ჩემპიონატის გასულ სათამაშო დღეს მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, რომ „ბრუკლინ ნეტსის“ მთავარი მწვრთნელი **ჯეისონ კიდი** დალასში დაბრუნდა - იმ ქალაქში, სადაც კარიერაში ერთადერთი საჩემპიონო ტიტული მოიგო. თან ახალგაზრდა მწვრთნელს დაბადების დღე ჰქონდა (41 წლის გახდა) და „მავერიქსზე“ გამარჯვება საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა.



ნიუ იორკი-კლივლენდი

თუმცა თავიდან „დალასი“ დომინირებდა და **მონტა ელისის** ზუსტი სროლებითა და სამწამიანში **სამუელ დალემბერის** ეფექტური მოქმედებებით (15 მოხსნა, 7 დაფარება) ორნიშნა უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ მესამე და მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე „ნეტსმა“ 14 უპასუხო ქულა დააგროვა და პირველად წაიყვანა ანგარიში. უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა და გამარჯვებულის გამოვლენა ძირითად დროში არ მოხერხდა: სირენამდე 10 წამით ადრე „დალასი“ ორ ქულას იგებდა, მაგრამ **ჯო ჯონსონმა შონ მერიონს** აუარა გვერდი და ორქულიანი ჩააგდო. ელისმა საპასუხო შეტევაში სამქულიანი ვერ ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებით დროში კი თამაში „ბრუკლინის“ კარნახით წარიმართა და სტუმარმა რვა ქულით შეძლო წინ გასვლა. თუმცა ელისმა 7 წამში ორი ზუსტი სამქულიანით თამაშის გადარჩენის შანსი მისცა „დალასს“. მაგრამ მასპინძლები მაინც დამარცხდნენ. „მავერიქსი“ სამ ქულას აგებდა და 5.4 წამი ჰქონდა მარაგში. ელისმა თავის თავზე აიღო თამაში, მთელი მოედანი ბურთით გაიარა და ცალ ფეხზე მდგომმა ისროლა სამქულიანი. სროლა მიზანს აცდა, არადა, **დირკ ნოვიცკი** სრულიად თავისუფალი ელოდა პასს.

■ ■ ■

ყველაზე მხიარული მატჩი მინეაპოლისში გაიმართა. იქ სათამაშოდ ჩავიდა „ფინიქსი“, რომელიც პლეი ოფის საგზურისთვის ებრძვის „მემფისსა“ და „დალასს“. შესაბამისად, „სანზს“ მოგების მეტი სურვილი აღმოაჩნდა და გაიმარჯვა კიდეც.

თუმცა თავიდან „მგლები“ იგებდნენ, თანაც ძალიან დამაჯერებლად. მეორე 12-წუთეულის მსვლელობისას, მათი უპირატესობა 22 ქულას აღწევდა. მაგრამ „ფინიქსმა“ თანდათან მოუმატა თამაშს, „მინესოტა“ კი მოდუნდა და კონცენტრაცია დაკარგა. მეოთხე მეოთხედის სტარტზე, „სანზი“ 16:3 გაიქცა და გაათანაბრა ანგარიში. შეხვედრის დასკვნით ნაწილში „მინესოტა“ **კევინ ლავმა** დაალალატა. მას შესანიშნავი სტატისტიკა ჰქონდა და სამმაგ-დუბლამდე ერთი შედეგიანი პასი დააკლდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მისმა შეცდომებმა მასპინძლების მარცხი გამოიწვია. 118:118-ზე მან ბურთი დაკარგა, რასაც „ფინიქსის“ სწრაფი შეტევა მოჰყვა, საპასუხო იერიშში კი ლავმა კუთხიდან ააცილა ბურთი. ამის შემდეგ, „სანზმა“ იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

■ ■ ■

შეწყდა „ნიუ იორკ ნიქსის“ რვამატჩიანი მოგებათა სერია. თავდაპირველად, „ნიქსმა“ „მედისონ სკვერ გარდენში“ დამაჯერებლად წაიყვანა ანგარიში, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი **კარმელო ენტონის** ჰქონდა - მან პირველ მეოთხედში 14 ქულა ჩააგდო. რაღაც მომენტში „ნიქსს“ 17-ქულიან უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ეს სხვაობა თანდათან ნულამდე დავიდა.

„კლივლენდის“ წარმატების მთავარი მიზეზი ფენომენალური სიზუსტე იყო - სტუმრებმა თამაშიდან 30-ჯერ ისროლეს და 23 ბურთი მოათავსეს კალათში. ყველაზე მეტად აქტიურობდა **ჯარეტ ჯეკი**. მან ბოლო მეოთხედში 13 ქულა დააგროვა და სამი პასიც დაუმატა, სულ კი მატჩში 31 ქულა და 10 გადაცემა ჰქონდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი ზუსტი ტყორცნა სირენამდე 24 წამით ადრე, რის შემდეგაც ანგარიში გახდა 104:100 „კავალიერზის“ სასარგებლოდ. სასწაულის მოსახდენად „ნიუ იორკს“ ძალა არ ეყო. ენტონიმ შეტევაში დაარღვია წესი და „კლივლენდმა“ უპრობლემოდ შეინარჩუნა უპირატესობა, რითაც „ნიუ იორკს“ პირველი მარცხი აგემა 3 მარტის შემდეგ.

**ტორონტო-ატლანტა 96:86**

16:25, 26:24, 18:22, 36:15

ტ: ლოური (25+4 ჩაჭრა), დეროზანი (21), ვალანჩუნასი (13+13 მოხსნა), ვასკესი (12), როსი (10).

ა: მილსეპი (17), კეროლი (17+5 ჩაჭრა), ტიგი (16), ანტიჩი (4+10 მოხსნა).

**მინესოტა-ფინიქსი 120:127**

41:27, 32:35, 30:31, 17:34

მ: ლავი (36+14 მოხსნა+9 პასი), მარტინი (25), რუბიო (19+9 პასი), ბრიუერი (14).

ფ: მარკიფ მორისი (25), ბლედსოუ (21), ტაკერი (19), დრაგიჩი (18), გრინი (14), მარკუს მორისი (11).

**დენვერი-ვაშინგტონი 105:102**

21:29, 26:20, 30:24, 28:29

დ: ფარიდი (20), ფოიე (17), არტური (15), ბრუქსი (13+7 პასი), ვესელი (10).

ვ: ბილი (21), არიზა (18), გორტატი (16+10 მოხსნა), უოლი (15), გუდენი (15).

**საკრამენტო-მილუოკი 124:107**

39:16, 31:28, 34:26, 20:37

ს: კაზინსი (32+12 მოხსნა), ტომასი (30+8 პასი), გეი (24), მაკლემორი (15), რ. ევანსი (6+10 მოხსნა).

მ: მაიო (21), ილიასოვა (14), სეშენსი (13), ედრიენი (13).

**დალასი-ბრუკლინი 104:107 (ო)**

29:15, 19:26, 24:24, 19:26, 13:16

დ: ელისი (32), დალემბერი (12+15 მოხსნა+7 დაფარება), კარტერი (12+10 მოხსნა), მერიონი (12), ჰარისი (11), ნოვიცკი (10).

ბ: ჯონსონი (22), ტორნტონი (20), პირსი (15), უილიამსი (15), ლივინგსტონი (12).

**ნიუ იორკი-კლივლენდი 100:106**

34:27, 27:19, 23:31, 16:29

ნ-ი: ენტონი (32), სმიტი (18), ფელტონი (14+8 პასი), სტაუდმაიერი (12), ჰარდუეი (12).

კ: ჯეკი (31+10 პასი), უეიტერსი (22), დენგი (13), ჯი (11).

**ლეიკერსი-ორლანდო 103:94**

29:24, 26:24, 20:25, 28:21

ლ: ჰილი (28+13 მოხსნა), ნ. იანგი (26), მიქსი (13+6 ჩაჭრა).

ო: ოლადიპო (21+10 პასი), აფლალო (18), ჰარისი (16+9 მოხსნა), ო'ქუინი (14), ვუჩევიჩი (4+11 მოხსნა).

ამბები

## პაუ საავადმყოფოში

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ესპანელმა ცენტრმა **პაუ გასოლმა** ვერ შეძლო „ორლანდოსთან“ გუშინდელი მატჩის დასრულება, რადგან შეხვედრის მსვლელობისას თავბრუსხვევა ჰქონდა.

როგორც ESPN-ის მიმომხილველი **დეივ მაკმენამინი** წერს, გასოლი პირდაპირ მოედანიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

„ორლანდოს“ წინააღმდეგ ესპანელმა 18 წუთი და 39 წამი ითამაშა და 6 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი დააგროვა.

## ყველაზე უარესი ბოლო ოთხ სეზონში

კვირას, „ჰიუსტონთან“ მარცხის შემდეგ, ამერიკელმა ანალიტიკოსებმა დაითვალეს, რომ „კლივლენდია“ ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე უარესი გუნდი. ეს სტატისტიკა მას შემდეგ დაფიქსირდა, რაც კლუბი დატოვა და „მაიამიში“ გადავიდა ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი**.

ჯეიმსთან ერთად ბოლო ორ რეგულარულ ჩემპიონატში „კლივლენდმა“ საერთო ჯამში 127 მატჩი მოიგო, რის შემდეგაც, ლებრონი ფლორიდაში გადაბარგდა. ამის შემდეგ, გუნდმა 90 მატჩი მოიგო და 209-ჯერ დამარცხდა.

დღეს, „კლივლენდი“ მოგება-წაგების ბალანსით ბოლო წლების მთავარ აუთსაიდერს „შარლოტსაც“ (95-204) ჩამორჩება.

## ჰიქსონმა სეზონი დაასრულა

„დენვერ ნაგეტსმა“ სეზონის ბოლომდე დაკარგა თავისი ერთ-ერთი ლიდერი **ჯეი-ჯეი ჰიქსონი**. კალათბურთელმა პარასკევს, „დალასთან“ მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა

ჰიქსონს უკვე ჩაუტარდა ოპერაცია და სავარაუდოდ, ის შემდეგი რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე დაუბრუნდება მოედანს.



მანუ ჯინობილი

# მანუს გაისადაც ვნახავთ

„სან ანტონიო სპურსის“ მცველმა **მანუ ჯინობილიმ** გადაწყვიტა, კიდევ ერთი წლით გააგრძელოს გამოსვლა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. არგენტინელმა ვეტერანმა გასულ ზაფხულს ორწლიანი და 14-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა ტექსასურ კლუბთან და მის ბოლომდე გამომუშავებას აპირებს.

*„სპურსს“ სურდა, ორი წლით გამეფორმებინა კონტრაქტი და მეც დავთანხმდი. თუმცა მაშინ ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ორივე სეზონს ბოლომდე ვითამაშებდი. მაგრამ ჩემი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ მომავალ სეზონში აუცილებლად ვითამაშებ. მით უმეტეს, რომ კალათბურთისგან ძველებურად სიამოვნებას ვიღებ“*, - განაცხადა USA Today-სთან კომენტარში 36 წლის არგენტინელმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩემპიონი მოგებით იწყებს

კატარის გრანპრით გაიხსნა მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი მოტოგრანპრის კლასში. ტექნიკურ რეგლამენტში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ლიდერი პელოტონში უცვლელი დარჩა. მთელი უქმეების განმავლობაში დომინირებდა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, „ჰონდას" ნევრი **მარკ მარკესი**. მან შაბათს მოიგო პოული და სტარტი პირველი პოზიციიდან აიღო.


მარკ მარკესი

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდებოდა გასულ სეზონში, მარკესმა ჩააგდო რბოლის პირველი მეტრები და მას რამდენიმე პილოტმა გაასწრო. სტარტის გმირი კი ესპანელი **ხორხე ლორენსო** გახდა, რომელმაც მეხუთედან პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა და სათავეში ჩაუდგა პელოტონს. თუმცა „იამაჰას" ესპანელი ნევრის ლიდერობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა - პირველი წრის შუაში ლორენსო ერთ-ერთ მოსახვევში შეცდა და ტრასიდან გადავარდა. ამით მისთვის ბრძოლა დასრულებული იყო. პირველი წრის შემდეგ, ლიდერების თანამიმდევრობა ასეთი იყო: **ბრადლი**, მარკესი, **სმიტი, დოვიციოზო, იანონე, როსი, პედროსა, ბაუტისტა** და **ესპარგარო**.

განვლილ ეტაპზე გასწრებებისა და გამოვარდნების რაოდენობა სარეკორდო იყო. სადღაც რბოლის შუაში არ გაუმართლა კიდევ ერთ ლიდერს - ბრადლი იმავე მოსახვევში შეცდა, რომელშიც ლორენსომ დაკარგა წონასწორობა და გერმანელმა ესპანელის ბედი გაიზიარა. ასევე დაზარლდნენ იანონე, სმიტი, ბაუტისტა...

საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ მაყურებელმა პირველობისთვის ფანტასტიკური ბრძოლა იხილა მარკესსა და მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონ ვალენტინო როსის შორის. გარკვეული ხანი ლეგენდარული იტალიელი წინ იყო, მაგრამ მარკესის მონდომებამ თავისი გაიტანა. ბრწყინვალე მანევრით მან ბოლოსწინა წრეზე გადაინაცვლა პირველ ადგილზე და ფინიშამდე შეინარჩუნა უპირატესობა.

მესამე ადგილი დაიკავა დანი პედროსამ - მას პოდიუმზე ასვლაში სმიტისა და ბაუტისტას პრობლემები დაეხმარა. მეოთხე იყო ალეშ ესპარგარო, რომელმაც კვალიფიკაციამდე სამივე თავისუფალი პრაქტიკა მოიგო.

**I ეტაპი**

**კატარის გრანპრი**

1. **მარკ მარკესი** (ჰონდა) - 22 წრე; 2. **ვალენტინო როსი** (იამაჰა) - +0,259; 3. **დანი პედროსა** (ჰონდა) - +3,370; 4. **ალეშ ესპარგარო** (ფორვარდ-იამაჰა) - +11,623; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (დუკატი) - +12,159; 6. **კელ კრატჩლოუ** (დუკატი) - +28,526; 7. **სკოტ რედინგი** (გრეზინი-ჰონდა) - +32,593; 8. **ნიკი ჰეიდენი** (ასპარ-ჰონდა) - +32,628...

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ოლიმპიური ჩემპიონის 600 ქულა


რაიან გეტცლაფი

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი სათამაშო დღის მთავარი მოვლენა გახდა „ანაჰაიმ დაქსის" ფორვარდის **რაიან გეტცლაფის** სტატისტიკური მიღწევა. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა „ფლორიდასთან" მატჩში სამი ქულა (1+2) დააგროვა, რისი წყალობითაც კარიერაში 600-ქულიან ზღვარს მიაღწია. გეტცლაფი გახდა მესამე ჰოკეისტი „დაქსის" ისტორიაში, ვინც მსგავს შედეგამდე მივიდა. მანამდე ეს შეძლეს **ტეემუ სელიანემ** და **პოლ კარიამ**.

*„ამ სტატისტიკური მიღწევის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ეს „ანაჰაიმში" თამაშისას მოვახერხე. აქ შესანიშნავი თანაგუნდელები მყავს",* - აღნიშნა გეტცლაფმა.

*„პირადად მე ყოველთვის ვამბობდი, რომ გეტცლაფს აქვს ყველაფერი იმისთვის, რათა ლიგის საუკეთესო ჰოკეისტი გახდეს. დღეს ის უკეთ თამაშობს, ვიდრე ორი წლის წინ, როცა ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ეს სირთულე გადალახა",* - განაცხადა „ანაჰაიმის" ვეტერანმა ტეემუ სელიანემ.

**აილენდერსი-კოლამბუსი 2:0**

**1:0, 1:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 კლატერბეკი-10 (ნილსენი-28, სანდსტრომი-1), 2:0 ჰამონიკი-2 (დე ჰაანი-11).

**პიტსბურგი-სტ ლუისი 0:1**

**0:0, 0:0, 0:1**

**გოლი:** 0:1 ბეკსი-24 (სტინი-24, პიეტრანჯელო-40).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 3:2**

**1:0, 2:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ბრუნერი-11 (ენრიკე-18, ჟილდიცკი-27), 2:0 ელიაში-17 (მერილი-7), 3:0 მერილი-2 (ქლოუ-17, ჰაროლდი-3), 3:1 ბოჟაკი-17 (რაილი-23, გარდინერი-13), 3:2 კესელი-36 (ფანოფი-23).

**ჩიკაგო-ნეშვილი 0:2**

**0:1, 0:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ფიშერი-18 (ელისი-16, ეკჰოლმი-6), 0:2 გ. ბურკი-7 (იანგროკი-2).

**დეტროიტი-მინესოტა 3:4 (ო)**

**2:0, 0:1, 1:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 ნიკუისტი-22 (კრონვალი-37, ალფრედსონი-26), 2:0 ნიკუისტი-23 (ტატარი-14), 2:1 პომინვილი-27 (რ. სუტერი-33, მ. კოივუ-33), 2:2 კოილი-9 (მოულსონი-25, მ. კოივუ-34), 2:3 პარიზე-24 (მიკაელ გრანლუნდი-31, სპარჯონი-18), 3:3 ტატარი-16 (ბ. სმიტი-14), 3:4 მოულსონი-21 (ბროდინი-11, კოილი-14).

**ვანკუვერი-ბაფალო 4:2**

**2:2, 1:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 ენისი-19 (ფოლინო-10, ერჰოფი-25), 0:2 მაკბეინი-4 (ფლინი-6, დ'აგოსტინი-6), 1:2 რიჩარდსონი-9 (კასიანი-9, მატიასი-9), 2:2 მატიასი-11 (კასიანი-10, რიჩარდსონი-10), 3:2 ი. უებერი-4 (კასიანი-11, მატიასი-10), 4:2 ბუტი-6 (კასიანი-12).

**ანაჰაიმი-ფლორიდა 6:2**

**1:0, 4:2, 1:0**

**გოლები:** 1:0 მარუნი-7 (გეტცლაფი-48, პერი-34), 2:0 სელიანე-9 (პერი-35, გეტცლაფი-49), 3:0 სილფვერბერგი-8, 3:1 ჰეიესი-10 (ბერჩი-4, კულიკოვი-10), 3:2 ფლიშმანი-8 (ტროჩეკი-1), 4:2 პალმიერი-12 (მ. პერი-20, მარუნი-12), 5:2 პერი-37 (ვატანენი-9, ალენი-9), 6:2 გეტცლაფი-30 (სელიანე-15, რობიდასი-2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ამბები

**ფორმულა 1**

### მარუსია სერბზე იყიდება?

უახლოეს პერიოდში, ფორმულა 1-ის რუსულ გუნდს - „მარუსიას", შესაძლოა, მფლობელი შეეცვალოს, - იტყობინება Motorsport. კერძოდ, საჯინიბოს აქციების შეძენის სურვილი გამოთქვა სერბმა ბიზნესმენმა **ზორან სტევანოვიჩმა**. ეს უკანასკნელი დიდი ხანია ცდილობს ფორმულა 1-ში შეღწევას, მაგრამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მისი ყველა პროექტი დაიწუნა.

ახლა, სერბმა „მარუსიას" შეძენის შანსი მიიღო, რადგან რუსული გუნდი რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდა ახალი რეგლამენტის შემოღების შემდეგ. კერძოდ, საჯინიბოს შენახვასა და განვითარებას უფრო მეტი სახსრები სჭირდება, ვიდრე წინა სეზონებში.

**მძლეოსნობა**

### გრძელი სპრინტი ერთი წლის შემდეგ

თანდათან ძალას იკრებს 2014 წლის სეზონი მძლეოსნობაში. წელს პირველი სტარტი ჰქონდა სახელგანთქმულ იამაიკელ სპრინტერს **იოჰან ბლეკს**, რომელმაც გასული სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა. შეგახსენებთ, რომ ბლეიკმა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატზე გამოსვლაც ვერ შეძლო.

24 წლის სპრინტერმა იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ გაირბინა 200 მეტრი და 20.49 წამი დააფიქსირა. უფრო ადრე, კერძოდ კი თებერვალში, 100 მეტრზე მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მისთვის უჩვეულო დისტანციაზე - 400 მეტრზე მოსინჯა ძალები და 42.70 წამი აჩვენა.

**კალათბურთი**

### ფანების შეტევა მაკაბიზე

თელ-ავივის „მაკაბის" რამდენიმე გულშემატკივარმა გუნდის გასახდელში შეღწევა სცადა მას შემდეგ, რაც „მაკაბიმ" ისრაელის ჩემპიონატში გამანადგურებელი ანგარიშით დათმო შეხვედრა იერუსალიმის „ჰაპოელთან" - 65:93.

თუმცა განრისხებული ქომაგების შეჩერება პოლიციამ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ისრაელის ჩემპიონის ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი საშინაო მოედანზე ისრაელის ლიგის არსებობის ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ „მაკაბი" პარალელურად გამოდის ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| რუმინეთი-ბელგია | 0:0 |
| შოტლანდია-ბოსნია | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| საუთენდი-ოქსფორდი | 3:0 |
| **კონფერენსი** | |
| ჰალიფაქსი-ალფრეტონი | 2:0 |
| **ესპანეთი** | |
| ალმერია-სოსიედადი | 4:3 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| მეპენი-სტ. პაული II | 0:4 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეცი-ბრესტი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| სეტუბალი-ეშტორილი | 1:1 |
| **სეტანტას თასი** | |
| შემროკი-დანდალკი | 1:2 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-ესბერგი | 0:3 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-აუსტია (ლ) | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-ვოლენი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ფენერბაჰჩე | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| შანლიურფა-ბალიქესირი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ტეპლიცე-ბოლესლავი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| შენიცა-ტრნავა | 0:1 |
| **რუსეთი** | |
| ანჟი-ცსკა | 0:3 |
| ზენიტი-კრილია | 2:1 |
| **პოლონეთი** | |
| პიასტი-ლეგია | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| პოლი ტიმიშოარა-ვასლუი | 0:2 |
| ბრაშოვი-ჩახლაული | 1:0 |
| კლუჟი-უნივერსიტატეა | 1:2 |
| **ჩინეთი** | |
| ბეიჯინგი-შანხაი | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| რადნიჩკი-ზადარი | 79:74 |
| შიროკი-ციბონა | 73:84 |
| ბუდუჩნოსტი-პარტიზანი | 61:65 |
| **იტალია** | |
| მონტეგრანარო-მილანი | 76:88 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 69:65 |
| ეფესი-მერსინი | 77:71 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-გრაველენი | 81:60 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 1:2 (ო) |
| ს. იულიაევი-ბარისი | 5:2 |
| ლოკომოტივი-სკა | 1:6 |
| დონბასი-ლევი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-პიესტანი | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ჰპკ | 3:2 (ო) |
| ლუკო-ბლუზი | 3:5 |
| სეიპა-იუვიასკიულა | 3:2 |
| ტაპარა-პელიკანსი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-ფერიესტადი | 3:4 (ო) |
| ვექსიო-ლულეა | 2:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| **რაონიჩი**-გარსია ლოპესი | 6:1, 6:2 |
| ბედენე-**ბეკერი** | 3:6, 5:7 |
| **დოლგოპოლოვი**-ლაიოვიჩი | 3:6, 6:0, 7:6 |
| **ვავრინკა**-როჟე ვასელენი | 7:5, 6:4 |
| **WTA. მაიამი** | |
| მაკაროვა-**კერბერი** | 4:6, 6:1, 3:6 |
| **შარაპოვა**-ფლიპკენსი | 3:6, 6:4, 6:1 |
| **ს. უილიამსი**-ვანდევეგე | 6:3, 6:1 |
| ივანოვიჩი-**კვიტოვა** | 6:3, 0:6, 0:6 |

## TV პროგრამა

**25 მარტი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIV ტური. სეტუბალი-ეშტორილი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ნიურნბერგი-აინტრახტი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი.ველეს სარსფილდი-ესტუდიანტესი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. მაინცი-ბაიერნი.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-როდა.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. დორტმუნდი-შალკე (LIVE).
**01:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ჰერტა-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. მილანი-პანათინაიკოსი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ფიორენტინა-იუვენტუსი. საპასუხო მატჩი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
**20:00** ქართული სპორტის დიდი სახელები. ბორის პაიჭაძე.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**23:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ჰერტა-ბაიერნი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
**16:00** ჩოგბურთი. ახალი ამბები.
**16:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
**18:30** სპორტ-NEWS.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 17 | (უნალექოდ) |
| ქუთაისი | 14 | 25 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 21 | (მზე) |
| ფოთი | 10 | 25 | (მზე) |
| ზუგდიდი | 9 | 26 | (მზე) |
| გორი | 4 | 19 | (მზე) |
| თელავი | 3 | 15 | (ნისლი) |
| სიღნაღი | 2 | 14 | (ნისლი) |
| გუდაური | -4 | 11 | (მზე) |
| ბაკურიანი | -2 | 16 | (მზე) |
| ბორჯომი | 0 | 19 | (მზე) |
| მესტია | -2 | 17 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4047 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7463 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8798 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8285 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# მარეიმ მოუგაგა

მაიამის მასტერსზე ჩოგბურთელებმა მესამე წრე დაიწყეს და დღემ კვლავ სენსაციების გარეშე ჩაიარა. ნოვაკ ჯოკოვიჩმა უბრძოლველად გაიარა ეს ბარიერი, რადგან მისმა მეტოქემ - გერმანელმა **ფლორიან მაიერმა** მხარის ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა. სერბი ჩოგბურთელის შემდეგი ბარიერი იქნება ესპანელი **ტომი რობრედო**, რომლის მშვიდი და მოზომილი სტილი იდეალურად ერგება ჯოკოვიჩის სათამაშო მანერას.

მეოთხედფინალში კი ნოვაკს უფრო სერიოზული გამოცდა უნდა ჰქონდეს - იქ მსოფლიოს მეორე ჩოგანი **ენდი მარეის** ან **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვდება. ბრიტანელი ტრავმის შემდეგ თანდათან კრეფს სპორტულ ფორმას და ბოლო მატჩში ძალიან იოლად გაუსწორდა ესპანელ **ფელისიანო ლოპესს** - 6:4, 6:1. ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო ბრიტანელისთვის, რადგან მანამდე ჩატარებულ შვიდ შეხვედრაში ექვსჯერ მოუწია სამი სეტის თამაშმა.

რაც შეეხება ცონგას, მან ძალიან სანახაობრივ შეხვედრაში სძლია **მარკოს ბაღდატისს**. კვიპროსელმა კარგად წარმოაჩინა თავი კრიტიკულ სიტუაციებში: თავდაპირველად, **სანტიაგო ხირალდოს** მოუგო გადამწყვეტ სეტში 7:5, შემდეგ ზედიზედ ორი ტაი-ბრეიკი აიღო **ფილიპ კოლშრაიბერის** წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ასეთი თვისებები ვერ გამოავლინა მან ცონგასთან მატჩში. პირველი პარტიის მოგების შემდეგ, კუნძულელმა მეორე პარტიის ტაი-ბრეიკზე ექვსიდან ხუთი ქულა აიღო მოედნის შეცვლამდე, მაგრამ ამის შემდეგ, ბაღდატისმა ზედიზედ ხუთი გათამაშება დათმო და სეტი ორმაგი შეცდომით დაასრულა. მესამე სეტში ცონგამ სამი საკუთარი გეიმი გადაარჩინა ბრეიკ-პოინტებიდან, მათ შორის, 3:4-ზე, შემდეგ კი გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

■ ■ ■

აგრძელებს ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას **როჯერ ფედერერი**. თუ პირველ სეტში მან ასე თუ ისე მისცა საშუალება **ტიემო დე ბაკერს** მიღებაზე ებრძოლა, მეორე პარტიაში ჰოლანდიელმა ფედერერის გეიმებზე მხოლოდ ერთი ქულა აიღო. შეგახსენებთ რომ **ივო კარლოვიჩმა**, რომელიც როჯერს წინა ეტაპზე დაუპირისპირდა, მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ სამი ქულა აიღო მიღებაზე. ბოლო ორი ტურნირია შვეიცარიელი ბრწყინვალედ გადაადგილდება, შესანიშავად აწვდის და პრაქტიკულად არ უშვებს შეცდომებს. მეოთხედფინალში გასასვლელად როჯერი **რიშარ გასკეს** შეხვდება, რომელმაც ბრძოლას გამოთიშა **კევინ ანდერსონი**. დაბოლოს, **დავიდ ფერერმა**, რომელმაც საზარდულის ტრავმის გამო გამოტოვა მაიამის ტურნირი, მერვედფინალში იაპონელ **კეი ნიშიკორთან** თამაშის უფლება მიიღო. აზიელმა **გრიგორ დიმიტროვს** აჯობა - ორივე სეტი რთულ ბრძოლაში აიღო.

**III წრე**

**ტომი რობრედო (ესპ, 16)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:3, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 5)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:3, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 4:6, 7:6(6), 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ფლორიან მაიერი (გერ, 30) უარი; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ანდრეას სეპი (იტა, 31) 6:3, 6:2; **ენდი მარეი (ბრიტ, 6)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 32) 6:4, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 9)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 17) 6:3, 6:4; **კეი ნიშიკორი (იაპ, 20)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 15) 7:6(1), 7:5.



კეჰილი და აგასი

# ლენდლის შემცვლელი უპოვეს

ბრიტანული პრესის ცნობით, **ენდი მარეი** სულ მალე გამოაცხადებს თანამშრომლობის დაწყებას ავსტრალიელ მწვრთნელთან **დარენ კეჰილთან**. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას 26 წლის ბრიტანელმა შეწყვიტა თანამშრომლობა **ივან ლენდლისთან**, რომლის დახმარებით მოიგო ოლიმპიური თამაშები, აშშ-ის ღია პირველობა და უიმბლდონი.

კეჰილი კომპანია „ადიდასის" სამწვრთნელო პროგრამის წევრია და ერთხელ უკვე მუშაობდა მარეისთან. ასევე ავსტრალიელი მწვრთნელის სიაშია თანამშრომლობა მსოფლიოს ყოფილ პირველ ნომრებთან - **ლეიტონ ჰიუიტთან** და **ანდრე აგასისთან**.

სხვათა შორის, ენდი მარეიმ ჟურნალისტებს მოუყვა ივან ლენდლისთან განშორების მიზეზებზე.

*„კვირას ივანთან ერთად ვვახშმობდით და სამომავლო გეგმებზე ვსაუბრობდით. ჩვენი საუბარი ერთი საათი გაგრძელდა. ყოფილ ჩოგბურთელებთან თანამშრომლობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დიდი ხნით ვერ შორდებიან ოჯახებს. ერთი ან ორი კვირის განმავლობაში კი რთულია კორექტივების შეტანა და რაიმე ახლის სწავლება. მე მინდა, რომ მწვრთნელი ჩემთან მუდმივად იყოს, ივანს კი ასეთი შესაძლებლობა არ აქვს"*, - განაცხადა მარეიმ ამერიკულ პრესასთან კომენტარში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# ასეთი კარგო დიდი ხანია, არ გვინახავს



სლოუნ სტივენსი

ქალები მაიამიში ერთი ნაბიჯით წინ არიან მამაკაცებზე და მათ უკვე ყველა მერვედფინალისტი გამოავლინეს. აქაც გუშინდელმა დღემ მოულოდნელი შედეგების გარეშე ჩაიარა.

ინდიან უელსის ტურნირის ფინალისტი **აგნიეშკა რადვანსკა** რუს **ელენა ვესნინას** ხვდებოდა, რომელთანაც ხუთიდან ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული, მათ შორის ბოლოს ცინცინატის შარშანდელ ტურნირზე, როცა ვესნინამ მხოლოდ ორი გეიმი აიღო.

ამჯერად, ბრძოლა უფრო დაძაბული გამოვიდა. პოლონელმა ცუდად დაიწყო მატჩი და რუსმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში. თუმცა ვესნინა საკუთარ მოწოდებაზე ვერ ბრწყინავდა - ის ორჯერ იგებდა სეტს ბრეიკით, სეტზეც აწვდიდა, მაგრამ 4:5-ზე ზედიზედ სამი გეიმი წააგო და მეტოქეს მესამე სეტბოლის გამოყენების საშუალება მისცა.

მეორე პარტიაში რადვანასკამ გამოასწორა მოწოდება და სამი ეისით დაიწყო სეტი. თუმცა პირველი ბრეიკი მაინც ვესნინამ გააკეთა. პოლონელმა მაშინვე დაიბრუნა დაკარგული გეიმი, როცა ნულზე აიღო რუსის მოწოდება და საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა. მატჩზე ჩაწოდებისას რადვანსკამ სამი ბრეიკპოინტი მისცა მეტოქეს, მაგრამ გადაარჩინა გეიმი და მერვედფინალში გავიდა - 7:5, 6:3. ამ ეტაპზე ის უკრაინელ **ელინა სვიტოლინას** შეხვდება, რომელმაც რთულ ბრძოლაში მოუგო **ბარბორა ზახვალოვას** - 4:6, 6:4, 6:1.

■ ■ ■

ჩინელი **ნა ლი** ისევ ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რომლითაც მან ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. აზიელს აშკარად უჭირს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ახერხებს კლასით დაბალი მეტოქეების დამარცხებას. მაგალითად, ვერ შეძლო ნა ლის ძლევა ნიჭიერმა **მედისონ კისმა**. პირველ სეტში 19 წლის ამერიკელმა რამდენჯერმე წაიყვანა ანგარიში ბრეიკით და საკუთარ მოწოდებაზე ორი სეტბოლიც მოიპოვა, მაგრამ, საბოლოოდ, იოლად დათმო ტაი-ბრეიკი. მეორე სეტში ამერიკელს მარტივ სიტუაციებში ძალიან ბევრი ჩავარდნა ჰქონდა და სერიოზული ბრძოლა ველარ მოახვია თავს მეტოქეს. ახლა, ლი **კარლა სუარეს ნავაროს** შეხვდება. ეს უფრო სერიოზული გამოცდაა და არავინ არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანი ამ გამოცდას გაუმკლავდება.

■ ■ ■

**კაროლინ ვოზნიაცკიმ მონიკა პუიგთან** სამსეტიანი მატჩის შემდეგ, უბრალოდ გაანადგურა **სლოუნ სტივენსი**. ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელმა ნახევარფინალისტმა მხოლოდ 55 წუთი გაძლო კორტზე და ერთადერთი გეიმი აიღო - 1:6, 0:6. ასეთი იოლი გასეირნება გამოუვიდა მესამე წრეში ვოზნიაცკის. ახლა, მისი მომდევნო მეტოქე იქნება **ვარვარა ლეპჩენკო**, რომელმაც ერთ-ერთ წინა ეტაპზე **ელენა იანკოვიჩს** აჯობა.

**ვინუს უილიამსმა** ამასწინ დუბაის ტურნირის მოგებით დაამტკიცა, რომ ისევ შერჩა ძალა და ოსტატობა ახალგაზრდობის გასახსენებლად. ვეტერანმა სამ პარტიაში დაამარცხა **კეისი დელაკუა**. ვინუსის რეალური მზადყოფნა მერვედფინალში გამოჩნდება, როცა 33 წლის ამერიკელი სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვას** შეხვდება.

**III წრე**

**ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-ალია ტომლიანოვიჩი (სერ) 6:4, 6:7(4), 7:6(2); **ნა ლი (ჩინ, 2)**-მედისონ კისი (აშშ) 7:6(3), 6:3; **ელინა სვიტოლინა (უკრ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 4:6, 6:4, 6:1; **ვინუს უილიამსი (აშშ, 29)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:4, 5:7, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ელენა ვესნინა (რუს, 32) 7:5, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 10)**-ალიზ კორნე (საფ, 22) 7:6(6), 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 11)**-სლოუნ სტივენსი (აშშ, 17) 6:1, 6:0; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 15)**-კაია კანეპი (ესტ, 24) 6:2, 6:1.

**1/8 ფინალი**

ს. უილიამსი (1)-ვანდევეგე; კერბერი (5)-მაკაროვა (23); შარაპოვა (4)-ფლიპკენსი (19); ივანოვიჩი (12)-კვიტოვა (8); ვ. უილიამსი (29)-ციბულკოვა (10); სვიტოლინა-ა. რადვანსკა (3); ლეპჩენკო-ვოზნიაცკი (11); ნა ლი (2)-სუარეს ნავარო (15).




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608